



# საჯარო დაჯიხი

მედი, ვიღრა ინფორმაცია

**საჯარო  
ლექსიები  
2019**

მეტი, ვიდრე ინფორმაცია

კრებული - „საჯარო ლექციები“ - გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის პროექტის - „უნივერსიას“ ფარგლებში გამოიცემა, რომელშიც უნივერსიტეტის პროფესორთა საჯარო ლექციებია შესული. საჯარო ლექციები, რეგიონული მაუწყებლობის ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, რეგიონული ტელევიზიების ეთერში გადაიცემა და მეცნიერების პოპულარიზაციას ემსახურება.

კრებულში მკითხველი გაეცნობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საუბრებს, სამეცნიერო და ექსპერტულ მოსაზრებებს საინტერესო საკითხებზე.

კრებული განკუთვნილია უნივერსიტეტის სტუდენტების, საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

## **პროექტის ხელმძღვანელი:**

ნინო კაკულია

## **კრებულის შემდგენელი და რედაქტორი:**

მანანა ტორაძე

## **სარედაქციო ჯგუფი:**

ნინო კაკულია

მანანა ჯურხაძე

თეა სულაძე

## **კომპ. უზრუნველყოფა:**

ზაზა გულაშვილი

## **უდის დიზაინი:**

ლიანა მარჭარიანი

# სარჩევი

**ვახტანგ ლიჩელი,**  
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა  
ფაკულტეტის პროფესორი, არქეოლოგი  
**საუკუნის აღმოჩენა — ბრაკლიანი გორა .....5**

**ვლადიმერ პაპავა,**  
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
პროფესორი, აკადემიკოსი, ეკონომისტი  
**ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და  
ახალი პარადიგმის ძიება .....26**

**მარინე ჩიტაშვილი,**  
თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების  
მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,  
ფსიქოლოგი  
**ფსიქოლოგიური კონსულტაცია,  
როგორც სერვისი.....41**

**ზურაბ დავითაშვილი,**  
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ  
მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი  
**ნაციონალიზმი, როგორც  
ეთნოკონფლიქტების წყარო.....55**

**როზეტა გუჯეჯიანი,**  
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა  
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ეთნოლოგი  
**ტრადიციული ქართული სულიერი  
კულტურა .....69**

**ვაჟა ლორთქიფანიძე,**  
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ  
მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი  
**დამომბრავიული ქცევის ტრანსფორმაციაში  
თანამედროვე საქართველოში ..... 86**

**მანანა შამილიშვილი,**  
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი  
კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული  
პროფესორი  
**„მელოდრამატული მედიაკულტურის“  
ქართული პარადიგმაში ..... 96**

**იაგო კაჭკაჭიშვილი,**  
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ  
მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,  
სოციოლოგი  
**თავისუფლების კულტურა  
საქართველოში ..... 107**

**ნოდარ ხადური,**  
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის  
ფაკულტეტის პროფესორი, ეკონომისტი  
**პოლიტიკური იდეოლოგია და  
მაკროეკონომიკური პოლიტიკის  
ტრანსფორმაცია საქართველოში ..... 118**

**ლევან გიგინეიშვილი,**  
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
პროფესორი  
**იონაე პატრიონის პლატონური თეოლოგია  
და ინტელექტუალური ცხოვრება  
ბიზანტიაში ..... 123**

## საუკუნის აღმოჩენა — გრაკლიანი გორა



**ვახტანგ  
ლიჩელი,**  
თსუ-ის  
ჰუმანიტარულ  
მეცნიერებათა  
ფაკულტეტის  
პროფესორი,  
არქეოლოგი

მინდა გესაუბროთ ისეთი ცნობილი არქეოლოგიური ძეგლის შესახებ, როგორცაა გრაკლიანი გორა. მე, ძირითადად, წარმოგიდგინებ მხოლოდ განსაკუთრებულ, მნიშვნელოვან შედეგებს და იმ აღმოჩენებს, რომელიც საზოგადოებისათვის ჯერაც ნაკლებად არის ცნობილი. პირველ რიგში, მინდა შეგახსენოთ, რომ გრაკლიანი გორა მდებარეობს სტრატეგიულად უაღრესად მნიშვნელოვან წერტილში. პრაქტიკულად, ეს არის ამიერკავკასიის ცენტრალური ადგილი ანუ კასპიისა და შავ ზღვებს შორის მოქცეული ცენტრალური ადგილი, სადაც, დღესაც, ამ ორი ზღვის შემაერთებელი ცენტრალური ავტომაგისტრალი გადის. ეს ძეგლი კი წარმოადგენს გორას, რომელსაც, ერთის მხრივ, ჩამოუდის პატარა მდინარე – თორთლა, რომელიც, როგორც პალენოლოგიური კვლევების შედეგად არის დადგენილი (გამოკვლევები ჩაატარა ქალბატონმა ელისო ყვავაძემ),


ძველი ნელთალრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისში წყალუხვი მდინარე უნდა ყოფილიყო, ისევე, როგორც მეორე მდინარე – ლეხურა. სხვათა შორის, ის ეკოლოგიური ნიშა, რომელიც ამ პალეოლოგიური კვლევის შედეგად არის რეკონსტრუირებული, გვიხსნის იმ მიზეზს, თუ რატომ მოსახლეობდნენ ამ ბორცვზე ათასწლეულების მანძილზე. საქმე ისაა, რომ დღეისათვის არსებული მონაცემების მიხედვით, სტრატეგრაფიულად ანუ ერთმანეთისაგან განსხვავებული კულტურული ფენების მიხედვით, დადგენილი არის ადამიანის ცხოვრების 11 სხვადასხვა პერიოდი.



ეს არის ყველაზე ძველი, ანუ ქვის ხანა, პალეოლითი, რომელიც მეტ-ნაკლებად შეესაბამება თქვენთვის კარგად ცნობილ და ძალიან მნიშვნელოვან ძეგლს – დმანისს. აქ, გრაკლიანზე, არის აღმოჩენილი უაღრესად პრიმიტიული იარაღები, ჯერ-ჯერობით, მხოლოდ ქვის იარაღი და არ არის ჰომინიდების ნაშთები. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდიდან, ანუ ქვის ხანიდან მოყოლებული, პრაქტიკულად ყველა ეტაპი, რაც საზოგადოებამ გაიარა ათასწლეულების მანძილზე, ასახულია ვიდრე ახალი ნელთალრიცხვის მე-4, მე-5 საუკუნეებამდე, ანუ ქრისტიანობის შემოსვლამდე საქართველში.

ველოში. ამასაც თავისი ახსნა აქვს, რადგან – როგორც არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგად დგინდება, გრაკლიანი გორა მთელი ამ პერიოდის მანძილზე გახლდათ, ძირითადად, საკულტო-რელიგიური დანიშნულების ძეგლი და სრულიად ბუნებრივია, რომ ახალმა რელიგიამ ანუ ქრისტიანობამ თავისი ფუნქციონირებისათვის შეარჩია სხვა ადგილი და ეს ადგილი გახლავთ სამთავისი, რომელიც გრაკლიანი გორასაგან ორიოდ კილომეტრის მოშორებით მდებარეობს და სადაც შესანიშნავი, ქართული ხელოვნების უბრწყინვალესი ხუროთმოძღვრული ნაშთები არის შემორჩენილი.

საინტერესოა ის, რომ გრაკლიან გორაზე არის როგორც ნამოსახლარის ნაშთები (ნამოსახლარში ვგულისხმობ არა მარტო საცხოვრებელ სახლებს, არამედ საკულტო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებსაც), ასევე სამარხები ანუ სამაროვანი.



დღეისათვის სამაროვანზე გათხრილი არის 325 სამარხი, რომელიც ქრონოლოგიურად სხვადასხვა პერიოდს განე-




კუთვნება: ძველი ნელთაღრიცხვის მე-4 ათასწლეულიდან მოყოლებული, ვიდრე ახალი ნელთაღრიცხვის მე-4-5 საუკუნეების ჩათვლით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამარხების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ორმო-სამარხები, რომლებიც ძველი ნელთაღრიცხვის მე-3, მე-4, მე-5 საუკუნეებს განეკუთვნება. ამ სამარხებში სრულიად ბუნებრივია, რომ აღმოჩენილია სრულიად განსხვავებული არტეფაქტები, განსხვავებული არქეოლოგიური მასალა.



ბრინჯაოს ხანის სამარხებში, რა თქმა უნდა, ჭარბობს ბრინჯაოს ინვენტარი, რომელიც წარმოდგენილია როგორც სამკაულებით, ისე საბრძოლო იარაღის სახით. მომდევნო პერიოდის არქეოლოგიურ მასალაში ჭარბობს კერამიკული

ნანარმი, ისევე, როგორც სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული სამკაული.



ეს არის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ფიბულები ანუ საკინძები, მძივები, ბეჭდები და ა.შ. განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა კერამიკული ნანარმი, რომელიც უაღრესად მრავალფეროვანია და ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ქართლის ტერიტორიაზე იწყება შეღებილი და მოხატული კერამიკის წარმოება. უნდა გითხრათ, რომ ძალიან ხშირ შემთხვევაში ეს მოხატულობა უაღრესად შთამბეჭდავი გახლავთ.

მაგალითისთვის შემიძლია დავასახელო ერთი დოქი, რომელზეც არხარი არის გამოსახული და ამ არხარის რქებს შორის მოქცეულია გაკაშკაშებული მზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე, ის მცირე ზომის ინვენტარი, რომელიც სამარხეულ კომპლექსებში გვხვდება და რომლებიც დამზადებულია საქართ-



ველოს ფარგლებს გარეთ, რაც მანიშნებელია იმისა, რომ ძველი ნელთადრიცხვის მე-4 ათასწლეულიდან მოყოლებული, ვიდრე ძველი ნელთადრიცხვის მე-4-მე-3 საუკუნეებამდე, ქართლის ტერიტორიაზე მოსახლე საზოგადოებას ძალიან ფართო ურთიერთობები ჰქონდა ყველა ცივილიზებულ რეგიონთან, რომელიც კი ხელმისაწვდომი იყო იმდროინდელი საზოგადოებისათვის. მაგალითისათვის შემოიძლია დაგისახელოთ ბერძნული წარმოების საბეჭდავი ბეჭედი, რომელზეც პანის გამოსახულება არის შემორჩენილი (პანი სალამურზე უკრავს); ეგვიპტური წარმოების სამკაული, ე.წ. ხოჭოს გამოსახულება, რომელზეც იეროგლიფური ნიშ-

ნები არის შემორჩენილი; დასავლეთ ირანის ტერიტორიაზე დამზადებული მინის ჭურჭელი, ე.წ. კოლ-ტუბი, რომელიც პარფიუმერიისათვის იყო განკუთვნილი და რომელშიც წამნამების შესაღები შავი ფხვნილი აღმოჩნდა. ეს ჭურჭელი დამზადებულია ძველი ნელთაღრიცხვის მე-5 საუკუნის შუა ხანებში.


ვფიქრობ, რომ თქვენთვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს იმ ანალიზების შედეგები, რომლებიც გრაკლიან გორაზე დღეისათვის ჩატარებული გათხრების საფუძველზე არის მიღებული არქეოლოგიურ არტიფაქტებსა და ნაგებობებში. პირველ რიგში, საინტერესო გახლავთ ერთი ფაქტი: როგორც სხვადასხვა სამარხებიდან ამოღებულ მასალებზე ჩატარებული პალენოლოგიური ანალიზი უჩვენებს, ზოგიერთი მიცვალებული ზაფხულშია დაკრძალული, რადგან მათ ჩაყოლებული აქვთ ნყლით სავსე ჭურჭელი, მაგრამ ზოგიერთი მიცვალებული, როგორც ჩანს, ზამთარშია გარდაცვლილი და დაკრძალული და მათ ჩაყოლებული აქვთ ე.წ. თაფლუჯი. ეს არის თაფლის ფერმენტაციის შედეგად მიღებული მცირე ალკოჰოლის შემცველი სასმელი. ამავე სამარხებში არის აღმოჩენილი, ასევე, ჩვენთვის დღეს კარგად ცნობილი ისეთი კერძი, როგორიც არის ხორბლისა და თაფლის შეზავებული შეჭამანდი, რაც დღესაც გამოიყენება ხოლმე დაკრძალვის რიტუალების დროს.

რაც შეეხება ყოველდღიური მოხმარების საგნებს, აღსანიშნავია, რომ იმ ნაშთებიდან, რისი დაფიქსირებაც მოხერხდა, აშკარად ჩანს, რომ ძალიან დიდი გამოყენება ჰქონდა სელისა და ბამბის ქსოვილებს. გრაკლიან გორაზე აღმოჩენილ სამარხებში გაკეთებულია, ასევე, ანთროპოლოგიური მასალის ანალიზი. პალეოდაავადებების თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს ის, რომ ასაკოვან ადამიანებში ძალიან გავრცელებული ჩანს ოსტეოქონდროზი. ეს ფაქტი დადასტურებულია ერთ სამარხში, რომელშიც 50-55 წლის მამაკაცები იყვნენ დაკრძალული. იმ დროისათვის უკვე ასაკოვნად ითვლებოდა 50-55 წლის ადამიანი. დანარჩენ შესწავლილ ნაშთებში აღმოჩნდნენ სიმსივნური დაავადების მატარებელი ინდივიდებიც.


პალეობოტანიკური მასალიდან კი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხორბლისა და ფეტვის ძალიან დიდი რაოდენობით აღმოჩენის ფაქტები.

ეს გახლავთ ე.წ. ინტერდისციპლინარული ანალიზის შედეგები, რაც სისტემატურად ტარდება ყველა ექსპედიციაში და, მათ შორის, გრაკლიანის არქეოლოგიური გათხრების პროცესშიც.

პირველად გრაკლიანის განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოიკვეთა მაშინ, როდესაც აქ აღმოჩნდა ძველი წელთაღრიცხვის მე-5 და მე-4 საუკუნეების შენობები. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდის (ეს არის აქემენიდური ირანის – უზარმაზარი იმპერიის არსებობის ხანა) ხუროთმოძღვრული ნაშთები და ნამოსახლარები, ვიდრე გრაკლიანი გორა არ აღმოჩნდებოდა ქართლის ტერიტორიაზე, სრულიად უცნობი იყო. ამიტომ



ითვლებოდა, რომ ეს იყო გარკვეული დეკადანსის პერიოდი ქართლის საზოგადოების ცხოვრებაში, მაგრამ, როგორც გრაკლიანის გათხრებმა უჩვენა (გრაკლიანის გათხრებს შემდეგ მოჰყვა სამხრეთ საქართველოში დარაკოში ამავე პერიოდის სახლების აღმოჩენა), ეს საზოგადოება უაღრესად დანინაურებული გახლავთ ეკონომიკურად, კულტურულად და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მათ ძალიან ინტენსიური ურთიერთობები ჰქონდათ გარე სამყაროსთან. ამ ურთიერთობების შედეგი უნდა ყოფილიყო, როგორც ჩანს, სწორედ იმ ზოროასტრული საკურთხევლების გამოჩენა, რომლებიც თითქმის ყველა შენობის ინტერიერში გვხვდება. მე მხედველობაში მაქვს, ამ შემთხვევაში, ძველი ნელთალრიცხვის მე-5 და მე-4, აგრეთვე, მე-3 საუკუნეების დასაწყისის ნაგებობები. ყველა საცხოვრებელ სახლში, ყველა სამლოცველოში, რომლებიც გრაკლიან გორაზე ჯერ-ჯერობით არის მიკვლეული, დასავლეთის კედელზე აუცილებლად არის მიდგმული ზოროასტრული ოთხკუთხა საკურთხეველი, რომლის ცენტრალური ნაწილი უკავია ღრმულს. ეს ღრმული განკუთვნილი იყო მუდმივი ცეცხლის დასანთებად. ამ ცეცხლის კვალი ყველგან ძალიან კარგად იკითხება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე საკურთხევლების გვერდით აუცილებლად შენარჩუნებულია კერა, სადაც ასევე მუდმივი ცეცხლი ენთო და რაც საქართველოში არსებული ათასწლოვანი ტრადიცია იყო.





ამ პერიოდის შენობები განადგურებული ჩანს ძვ.წ. მე-4 საუკუნის 30-იან წლებში. ჩემი აზრით, ეს დაკავშირებული უნდა იყოს ძალიან ცნობილ ისტორიულ მოვლენებთან.

ეს ისტორიული მოვლენები უკავშირდება ისეთ დიდ პიროვნებას, ისეთ დიდ მხედართმთავარს, როგორც გახლდათ ალექსანდრე მაკედონელი. მან ძველი წელთაღრიცხვის 331 წელს აიღო ბაბილონი, უფრო სწორად, შევიდა ბაბილონში. ეს ხდება შემოდგომაზე და სწორედ ბაბილონიდან ალექსანდრემ ჩრდილოეთის პროვინციების, ანუ ძველი აქემენიდური სატრაპიების მმართველად გამოუშვა სარდესის ყოფილი მმართველი, სახელად მითრენი, რა თქმა უნდა, გარკვეული რაოდენობის ლაშქრით, რომელმაც ალექსანდრეს იმპერიას შეუერთა მესოპოტამიის ჩრდილოეთით არსებული ტერიტორიები. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს უნდა ელაშქრა ბერძენ მაკედონელთა ლაშქარს ქართლის ტერიტორიაზე და ამ ლაშქრობას ემსხვერპლა, როგორც ჩანს, გრაკლიანის სამოსახლოც. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ეს მოვლენა აისახა ქართლის ცხოვრებაში, როდესაც იქ საუბარი არის ალექსანდრეს შემოსვლაზე ქართლში. ბუნებრივია, თავად ალექსანდრე არ ყოფილა ქართლში, მაგრამ, ჩემი აზრით, არქეოლოგიური გათხრები და ამ არქეოლოგიური გათხრების ქრონოლოგია ზუსტად შეესაბამება იმ მოვლენებს, რაც ბერძნულ-რომაული პერიოდის წერილობით წყაროებში არის აღწერილი.

ამ პერიოდის ნაშთებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს ის, რომ თითქმის ყველა შენობაში, ინტერიერში ყველაფერი, ყველა ნივთი თავის ადგილზე არის შემონახული. როგორც ჩანს, აქაურმა საზოგადოებამ შემოსევის საშიშროების შესახებ შეიტყო და მოასწრო გასვლა ამ შენობებიდან, ტაძრებიდან, სახლებიდან, მაგრამ ძირითადი ინვენტარი თავის ადგილზე დარჩა.


ამიტომ, ამჯერად, სრულიად არ არის გასაკვირი ის, რომ ჩვენ აქ ვხვდებით ჭურჭელს, რომელშიც კერძი მზადდებოდა; ლუმელზე დადგმულ დოქს, რომელშიც წყალი ცხელდებოდა; ცეცხლის გადასატან ვაზებს, რომელიც გარკვეული სარიტუ-



ალო მიზნისთვის იყო განკუთვნილი; საოჯახო წისქვილებს, სადაც ფქვილი იფქვებოდა ხოლმე, ხორბალი ხელსაფქვავე-ბით იფქვებოდა, თანაც, დიდი რაოდენობით. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გრაკლიანზე ხელსაფქვავეები ასეულობით არის აღმოჩენილი, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ სოფლის მეურნეობა აქ ძალიან მაღალ დონეზე იყო განვითარებული ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მე-2 ათასწლეულიდან და განსაკუთრებით ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა ხანებში.


ამჯერად, განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო კიდევ ერთ აღმოჩენაზე, რომელიც სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ეს არის ახალი მონაპოვარი და პირველად ვსაუბრობ ახლა ამის თაობაზე. მე-5 ტერასაზე ჩატარებული არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგად (აქ მცირე მასშტაბის არქეოლოგიური კვლევები ჩატარდა) აღმოჩნდა არაჩვეულებრივი არქიტექტურული დეტალები. ეს





არის ე.წ. მარგალიტებით შემკული ორნამენტული მოტივი, რომლებიც გამოყენებული იყო ან ქალღმერთის ქანდაკების შესამკობად და წარმოადგენდა სტელის ნაწილს, ან აქვე ხუროთმოძღვრული ნაგებობის ნაშთები უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ისინი იმდენად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია, თან განსხვავებული ზომების, რომ არ არის გამორიცხული, ორივე შემთხვევასთან გვექონდეს საქმე (მითუმეტეს, რომ ჩვენ, მანამდე, ამ პერიოდის შესანიშნავი, მართალია მცირე ზომის, მაგრამ კაპიტელი ანუ სვეტის თავი უკვე აღმოჩენილი გვექონდა). ამ ტიპის ხუროთმოძღვრული ნაშთებიც სრულიად იშვიათი აღმოჩენა გახლავთ, რომლებიც თავისი გენეზისით დაკავშირებულია ბერძნულ სამყაროსთან.

ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არტეფაქტების ის ჯგუფი, რომელიც დაკავშირებულია სამხრეთ



მესოპოტამიასთან. ისინი გაცილებით ძველია, ანუ მხედველობაში მათქვს, ამ შემთხვევაში, ძველი ნელთალრიცხვის მე-4 ათასწლეულის მიწურულისა და მე-3 ათასწლეულის დასაწყისის საბეჭდავები, რომლებიც სამხრეთ მესოპოტამიაში არის დამზადებული და იქიდან არის შემოტანილი საქართველოს ტერიტორიაზე. ეს საბეჭდავები გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის იურიდიული დოკუმენტების, აგრეთვე, კონვერტების დასაბეჭდად. ეს საბეჭდავები აღმოჩენილია გრაკლიან გორაზე ძველი ნელთალრიცხვის მე-2 ათასწლეულის მიწურულისა და პირველი ათასწლეულის პერიოდის საკულტო ნაგებობებში და აი, წელს აღმოჩნდა კიდევ ერთი ასეთი შესანიშნავი საბეჭდავი, რომელზეც ნერტილების სახით ნუმეროლოგიური ნიშნებია დატანილი. გრაკლიანის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ინტელექტუალური ინოვაცია, რომელიც ყველა თქვენთაგანისთვის კარგად არის ცნობილი, ანუ დამწერლობის ნაშთების აღმოჩენა, მაგრამ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ერთი ფაქტი. კერძოდ, ცნობილია, რომ, თავისთავად, დამწერლობის ნიშნები საზოგადოებაში, რომელიც არ არის მზად ასეთი მაღალი ინტელექტუალური ინოვაციისათვის, არ ჩნდება. ასეთ სიახლეს ჭირდება საზოგადოების განვითარების ძალიან მაღალი დონე.



ბუნებრივად ჩნდება კითხვა – რა წინაპირობები და რა კონტექსტი ახლავს ამ დამწერლობებს გრაკლიან გორაზე? პირველ რიგში, ეს არის ძალიან კარგად ჩამოყალიბებული კერძო საკუთრების ინსტიტუტი, რაც დადასტურებულია აქ აღმოჩენილი აუარებელი საბჭევებით, რომლებიც გამოიყენებოდა კერძო საკუთრების დასაბჭევად, აღსანიშნავად, დასალუქად, შესანახად და ა.შ. ეს არის ყველაზე კარგი მინიშნება იმისა, რომ ამ პერიოდში კერძო საკუთრება (მხედველობაში მაქვს ძველი წელთაღრიცხვის მე-11, მე-10, მე-9 საუკუნეები) უკვე კარგად არის ჩამოყალიბებული ქართლის ტერიტორიაზე. ამავე პერიოდის ნაგებობებში, როგორც მოგახსენეთ, ჩნდება არა მარტო დიდი რაოდენობის ადგილობრივი ნაწარმი, არამედ ის იმპორტული ნაწარმი, რომელიც აშკარად სამხრეთულ გავლენებს უკავშირდება. ერთი შემთხვევა შემიძლია დაგისახელოთ, როდესაც ძველი წელთაღრიცხვის მე-11, მე-10 საუკუნეების სატაძრო კომპლექსში, რომელიც საკმაოდ დაზიანებული იყო ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მე-5, მე-4 საუკუნეებში, რადგან, როგორც ჩანს, მაშინ ღვარსადენი არხი გაჭრეს და, შესაბამისად, დააზიანეს უფრო ძველი ნაგებობა, აი, აქ აღმოჩნდა ის ნუმეროლოგიური ნიშნებიანი საბჭედავი. რაც ასევე უაღრესად საინტერესოა, თვითონ ამ არხში აღმოჩნდა ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნის ბერძნული შავლაკიანი კერამიკა და, შესაბამისად, გრაკლიანი არის ყველაზე აღმოსავლეთი პუნქტი ამიერკავკასიაში, სადაც ამ პერიოდის შავლაკიანი კერამიკა არის აღმოჩენილი. ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ საზოგადოება, რომელიც ამ პერიოდში, ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა ხანებში სახლობდა გრაკლიან გორაზე, უაღრესად ინტენსიურ საგარეო ურთიერთობებს აწარმოებდა.

მეორე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტი გახლავთ სანონების სხვადასხვა ფორმების გამოყენება. რა მნიშვნელობა აქვს სანონების აღმოჩენას? საქმე იმაში გახლავთ, რომ სანონების აღმოჩენა ნიშნავს გარკვეული მეტროლოგიური სისტემის შემოღებას და ესეც დამახასიათებელია



მხოლოდ მაღალგანვითარებული საზოგადოებისათვის. საზოგადოდ, საწონები ამიერკავკასიის ტერიტორიაზე თითო-ორიოლა იყო ცნობილი, მაგრამ კომპლექსური სახით, როგორც ეს გრაკლიან გორაზე აღმოჩენილი (6 სხვადასხვა ფორმის), ასეთი ფაქტი ჯერ არ ყოფილა დადასტურებული ამიერკავკასიის არქეოლოგიაში.

ამდენად, შესაძლებელი ხდება გარკვეული ვარაუდის გამოთქმა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ერთიანი მეტროლოგიური სისტემა, ანუ წონის სისტემა აგებული იყო ერთ ერთეულზე, რომლის წონა გახლდათ 363 გრამი. ყველა დანარჩენი საწონი არის ჯერადი ამ 363 გრამის. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია, თუმცა ის ჯერ კიდევ საჭიროებს დამატებით გამოკვლევებს. 75%-იანი ალბათობით შემოძლია ვთქვა, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს კავკასიისათვის, შესაძლოა ქართლისათვის ცალკე შემუშავებულ მეტროლოგიურ სისტემასთან, ანუ წონის ერთეულთან.

კერძო საკუთრების განვითარების ფონზე, მეტროლოგიური სისტემების შემოღების ფონზე ვაჭრობა, როგორც ჩანს, უკვე კონტროლირებადი უნდა ყოფილიყო და ეს, თავის

მხრივ, იმას მიშნავს, რომ არსებობდა საზოგადოების ორგანიზაციის მაღალი ფორმა, რომელიც აწესრიგებდა ქართლიდან სავაჭრო საქონლის როგორც გატანას, ისე შემოტანას.

ამ ფონზე, სრულიად ბუნებრივია, რომ საზოგადოებას მაღალი ესთეტიური მოთხოვნილება უჩნდება და ამისი დამადასტურებელი დეტალებიც არის აღმოჩენილი.



ეს არის შესანიშნავი ფრიზი, თიხისაგან დამზადებული დეტალი, რომელიც ნაწილობრივ არის შემორჩენილი, მაგრამ ძალიან ნათელ წარმოდგენას იძლევა იმ დონის შესახებ, იმ მხატვრული და ესთეტიური მოთხოვნილებების შესახებ, რომელიც აქ მცხოვრებ საზოგადოებას ჰქონდა.


ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ, საზოგადოების ასეთი განვითარების ფონზე, ჩვენ კიდეც ერთ ინტელექტუალურ ინოვაციასთან გვაქვს საქმე – ეს არის, როგორც ზემოთმოგახსენეთ, დამწერლობის ნიშნების აღმოჩენა. დამწერლობის ეს ნიშნები აღმოჩნდა პატარა ნაგებობაში, რომელიც, სამწუხ-






აროდ, უკვე ძველი ნელთალრიცხვის მე-5 საუკუნის შუა ხანებში დაუზიანებიათ, რადგან ამ პერიოდში აუშენებიათ ის ტაძარი, რომელიც 3 სათავსოსაგან შედგება. ამ სათავსოებში ძალიან საინტერესო რიტუალები არის დადასტურებული. თვითონ ამ მცირე ნაგებობაში აღმოჩნდა 2 საკურთხეველი და შეწირული კერამიკული ნაწარმი.

პირველ რიგში, ყურადღებას ვამახვილებ დასავლეთის საკურთხეველზე შემორჩენილ სამ გრაფემაზე. ეს არის, სამწუხაროდ, ბოლო სამი ასონიშანი იმ წინადადებისა, რომელიც ჩრდილოეთ კედელზე უნდა ყოფილიყო გაკეთებული (დასავლეთის საკურთხეველთან უხვევდა სამხრეთით და სრულდებოდა ამ სამი გრაფემით). ჩრდილოეთ კედელს მე შემთხვევით არ ვასახელებ, რადგან ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ სწორედ ასეთივე ასონიშნების ფრაგმენტები არის აღმოჩენილი, მაგრამ ისინი იმდენად არის დაზიანებული, რომ მათი რეკონსტრუქცია და გრაფიკული ფორმის აღდგენა, ალბათ, ვეღარ მოხერხდება. ყოველ შემთხვევაში, ეს 3 ასონიშანი, რომელიც დასავლეთის საკურთხეველზე არის შემორჩენილი (წარწერა „ა“), სრულიად ნათლად მიგვითითებს იმაზე, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ საქმე შეიძლება გვექონდეს ჩრდილო-დასავლეთ სემიტური დამწერლობის ერთ-ერთ ვარიანტთან და თუკი მის გრაფიკულ ანალიზს გავაკეთებთ, ამაში ნათლად დავრწმუნდებით. ძირითადი წარწერა – ეს არის ე.წ. წარწერა „ბ“, ანუ ცენტრალური წარწერა, რომელიც ტაძრის შუა ნაწილში არის აღმოჩენილი. ეს გახლავთ თიხის პოსტამენტი, რომელზეც საკურთხეველი არის დადგმული და ამ პოსტამენტის შუბლზე არის ამოკვეთილი წარწერა, რომელიც 10 ასოსაგან შედგება. ეს წარწერა თქვენთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია. ასე გამოიყურებოდა აღმოჩენის პროცესში ეს წარწერა, რომელთანაც ხედავთ საკურთხეველთან დაკავშირებულ შესაბამის ღვთაებას. როგორც ჩანს, მას შესწირეს ფეტვით სავსე ჭურჭელი და






ამ ჭურჭელმა ნაწილობრივ დააზიანა წარწერის აღმოსავლეთ ნაწილი, თუმცა ასოების ძირითადი გრაფიკული ფორმის აღდგენა მაინც ხერხდება.



აი, ასე გამოიყურება ეს წარწერა გრაფიკულად. როგორც ხედავთ, მარჯვნიდან მე-4 და მე-5 ასო-ნიშანი საკმაოდ დაზიანებულია და გარკვეული კითხვის ნიშნით შეიძლება მათი რეკონსტრუქცია, თუმცა დანარჩენი ასოები საკმაოდ კარგად არის შემორჩენილი. უაღრესად საინტერესო გახლავთ ის ფაქტი, რომ წელს მიმდინარე გათხრების დროს ერთ-ერთ სარიტუალო ორმოში, რომელიც მე-4 ტერასაზე გაითხარა, აღმოჩნდა ქვის ლანგარი.



ამ ლანგრის კიდეზე არის შემორჩენილი მოკლე წარწერა, რომელიც ისეთივე ასოებით არის შესრულებული, როგორც ცენტრალური საკურთხევლის წარწერა და ეს ახალი აღმოჩენა კიდეც ერთი დასტურია იმისა, რომ ჩვენ სწორედ წარწერასთან გვაქვს საქმე და არანაირ ორნამენტზე საუბარი არ შეიძლება იყოს. თუმცა, თავიდანვე მინდა მოგახსენოთ, რომ ამ წარწერის შესახებ პრეზენტაციები გაკეთებულია ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში პროფესიონალი ლინგვისტების თანდასწრებით და, ჯერ-ჯერობით, არც ერთ პროფესიონალ ლინგვისტს არ გამოუთქვამს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ეს წარწერა? ეს ფაქტი შეკითხვას არ ბადებს. შეკითხვის არსი სხვა რამეში მდგომარეობს, რომლის შესახებაც მოგვიანებით მოგახსენებთ.

ახლა ორიოდე სიტყვით ამ წარწერის თარიღის შესახებ. მისი თარიღის დასადგენად კვლევა ამერიკისა და ევროპის სამ სხვადასხვა ლაბორატორიაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩაატარეს ქართველმა, გერმანელმა და იტ-



ალიელმა სპეციალისტებმა. ეს ლაბორატორიები გახლავთ მაიამის ბეტა ლაბორატორია შეერთებულ შტატებში, გრიონინგენის ლაბორატორია და ციურიხის ლაბორატორია. სამივე ლაბორატორიამ ერთი და იგივე პასუხი გამოაგზავნა: ძველი წელთაღრიცხვის მე-10 საუკუნე. ასე რომ, ამ წარწერის თარიღი და ამ კომპლექსის თარიღი არანაირ ეჭვს აღარ იწვევს. ახლა, რაც შეეხება იმ პრობლემას, თუ რატომ არის უაღრესად საინტერესო და რატომ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გრაკლიანის წარწერების აღმოჩენა?

რუკაზე მინიშნებულია მახლობელი აღმოსავლეთის ის ძირითადი ცივილიზაციის ცენტრები, სადაც განვითარდა სხვადასხვა სახის დამწერლობა, მათ შორის, არამეული დამწერლობა, რომელიც იმდენად მოდიფიცირებული და მარტივი აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა მეზობელი ქვეყანა, სახელმწიფო და ხალხები გადავიდნენ არამეულ დამწერლობაზე, იმ



მოდისფიკაციით, რომელიც ამა თუ იმ ხალხის მეტყველებას და ფონეტიკურ მოთხოვნებს შეესაბამებოდა. ვიდრე გრაკ-ლიანის წარწერა აღმოჩნდებოდა, ამ ცენტრებიდან ყველაზე შორეულად და ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე წარწერად ითვლებოდა დასავლეთ ირანში, ურმიის ტბის ნაპირზე არსებული ბუკანის არქეოლოგიური ძეგლი, მაგრამ დღეს უკვე ამ ნერტილმა, ყველაზე შორეულმა ნერტილმა, სადაც დამწერლობის ნიმუშებია აღმოჩენილი, გადმოინაცვლა საქართველოში. პრობლემის არსი სწორედ ამაში მდგომარეობს. როგორ უნდა ავხსნათ ეს ფენომენი, რომ ერთ-ერთი ყველაზე ძველი დამწერლობის ნიმუში აღმოჩენილია, ასე ვთქვათ, ცენტრალური ცივილიზაციებისაგან ასე შორს, კავკასიის ტერიტორიაზე და, კერძოდ, ქართლის ტერიტორიაზე? როგორ უნდა აიხსნას ეს ფაქტი? აი, ეს არის პრობლემა, რომელსაც სჭირდება დამატებითი მუშაობა და ამ მიმართულებით სამუშაოები ახლა მიმდინარეობს.

და ბოლოს, ყველაზე მთავარი, რაც მინდა აღვნიშნო და რაც ჩვენი საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის არის მნიშვნელოვანი, გახლავთ ის, რომ ამ გათხრების ძირითადი ნაწილი ჩატარებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ და ყველა აღმოჩენაში მათი უზარმაზარი ნვლილი არის შეტანილი.

## ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმის ძიება

**ვლადიმერ  
კაპაპა,  
თსუ-ის  
ეკონომიკისა  
და ბიზნესის  
ფაკულტეტის  
პროფესორი,  
აკადემიკოსი,  
ეკონომისტი**



როცა ეკონომიკურ მეცნიერებაზე ვსაუბრობთ, ჩვენ ყურადღება უნდა შევაჩეროთ იმ მოვლენებზე, რომლებიც დღეს მსოფლიოს არაერთი წამყვანი ეკონომისტის თვალსაწიერში ხვდება. ეს ეხება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, თურმე, ეკონომიკური მეცნიერება ღრმა კრიზისში იმყოფება.

ეკონომისტებისთვის კარგად ნაცნობი ტერმინი – „ეკონომიკა“ („economics“) მე-19 საუკუნის ბოლოს ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ალფრედ მარშალმა შემოიღო მსგავსად ტერმინებისა – „physics“ და „mathematics“, რომლებშიც „cs“ დაბოლოება მიანიშნებს იმაზე, რომ შესაბამისი დარგი წარმოადგენს მეცნიერებისა და სასწავლო დისციპლინის ერთობლიობას. ვინაიდან ეკონომიკა, გარდა მეცნიერებისა და სასწავლო დისციპლინისა, დაკავშირებულია პრაქტიკასთანაც, ამიტომ „cs“ დაბოლოება საჭიროა იმისათვის, რომ გავმიჯნოთ ეკონომიკა, როგორც პრაქ-

ტიკა („economy“), იმისგან, რაც არის ეკონომიკა, როგორც მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა. ამ ნიუანსს შევეხებ იმისთვის, რომ ჩემს დღევანდელ ლექციაში საუბარი მექნება ზოგჯერ ეკონომიკურ მეცნიერებაზე, ანუ „ეკონომიკს“-ის ნაწილზე და ზოგჯერ შევეხები „ეკონომიკს“-ს, როგორც მეცნიერებასა და სასწავლო დისციპლინას.

„ეკონომიკის“ განსაკუთრებით პოპულარული გახდა გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც გამოვიდა „ეკონომიკს“-ის ძალიან ცნობილი სახელმძღვანელო პოლ სამუელსონის ავტორობით. ამ სახელმძღვანელომ, პრაქტიკულად, ახალი ეტაპი შექმნა როგორც ეკონომიკის სწავლებაში, ასევე, თავად მეცნიერებაში. საყურადღებოა ისიც, რომ სახელმძღვანელოს გამოსვლასთან ერთად, ძალიან მალე, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდანვე დაიწყო მისი საკმაოდ სერიოზული კრიტიკა, რაც დღეს უკვე ფართო მასშტაბებს აღწევს. რა არის ყველაზე მთავარი, რის გამოც აკრიტიკებენ „ეკონომიკს“-ს? ითვლება, რომ ის არის გადატვირთული მითებითა და ილუზიებით, რომ ეკონომიკური მეცნიერებაც და ეკონომიკის სასწავლო დისციპლინაც უნდა გათავისუფლდეს ამ მითებისგან და ილუზიებისგან. ამას მე დავუმატებდი მესამეს: „ეკონომიკის“, გარდა ამისა, არ ასახავს პრაქტიკაში არსებულ ძალიან ბევრ პრობლემას. მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ჩაატარა კვლევა და აღმოჩნდა, რომ 1991 წლიდან 2015 წლის ჩათვლით, 158 ქვეყნის მაგალითზე, თურმე, ჩრდილოვანი ეკონომიკა მთელი ეკონომიკის 31,9%-ს შეადგენდა. მაშასადამე, გამოვიდა, რომ ეკონომიკის თითქმის მესამედი არის ჩრდილში მოქცეული და, ამ დროს, „ეკონომიკის“ ამ ფენომენს საერთოდ არ ეხება. გამოდის, რომ ის, რაზეც „ეკონომიკის“ ფოკუსირებას ახდენს, საერთოდ არ მოიცავს ეკონომიკის თითქმის 1/3-ს. ეს უკვე აშკარად გამოხატული სერიოზული პრობლემაა, ნაკლია.

დღეს უკვე გაჩნდა არაერთი მარტივი კითხვა: რა უფრო მთავარია – ეკონომიკის რეალური სექტორი თუ ეკონომიკის ფინანსური სექტორი? ამ კითხვას პირველკურსელი სტუდენტიც კი უპასუხებს ასე: რა თქმა უნდა, რეალური სექტორია

მთავარი, რადგან ეკონომიკის რეალური სექტორით ჩვენ ვცხოვრობთ. მაგრამ, თუ შევხედავთ პრაქტიკას, გამოდის, რომ მთავარი არის არა ეკონომიკის რეალური სექტორი, არამედ, თურმე, ფინანსური სექტორი, რადგან გვაქვს ასეთი ეკონომიკური მოწყობა, რომელშიც ფინანსური სექტორია წამყვანი. არის სხვა „პროზაული“, მაგრამ არანაკლებ მტივირებული კითხვებიც: მაგალითად, შეკითხვა – მეცნიერება თუ სპორტი? ამ შეკითხვაში არ იგულისხმება – მეცნიერება უფრო გვინდა თუ სპორტი? ერთიც გვინდა და მეორეც, მაგრამ სხვა რამეს უნდა მივაქციოთ ყურადღება: ვნახოთ, რა ჰონორარები აქვთ ფეხბურთელებს, მოკრივეებს, კალათბურთელებს? ეს ჰონორარი, ხანდახან, წელიწადში ათეულობით მილიონ დოლარს აღწევს და ხან – ასეულობით მილიონსაც კი, ხოლო მეცნიერების ყველაზე დიდი პრემია (ნობელის პრემია), რომელიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სიცოცხლეში ერთხელ გაიცემა, მილიონ დოლარზე ნაკლებია. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ ეს პრემია მეცნიერების ყველა დარგში არ გაიცემა. მაშასადამე, გამოდის, რომ ნობელის პრემია გაიცემა ისეთი აღმოჩენისთვის, რომელმაც კაცობრიობას უნდა შესძინოს ისეთი რამ, რაც ახალ განვითარებას იწვევს, ხოლო გართობაში, ანუ სპორტში (რა თქმა უნდა, სპორტი ჯანსაღი ცხოვრებისთვისაც გადასარევიანია, მაგრამ რასაც ვუყურებთ, ის უფრო მეტად გართობისთვის არის) ბევრად დიდი ფულია ჩადებული; ანუ ის, რაც საზოგადოებას მეტად სჭირდება, უფრო ნაკლებად დაფასებულია (რა თქმა უნდა, სპორტიც სჭირდა, მაგრამ ეს კაცობრიობის განვითარებისთვის იმდენად მნიშვნელოვანი ნამდვილად არაა, როგორც მეცნიერება). მოვიყვან კიდევ სხვა მაგალითსაც: დავსვავთ კითხვა – რა უფრო მთავარია – პაციენტი თუ კლიენტი? როცა ექიმთან მივდივართ, ჩვენ ყველას გვაქვს განცდა, რომ ვართ არა პაციენტები, არამედ კლიენტები, რადგან ექიმისთვის უფრო მნიშვნელოვანია – მის მომსახურებაში რა თანხას გადაიხდის სადაზღვევო კომპანია თუ თავად მასთან მისული ავადმყოფი. რა თქმა უნდა, ჯანდაცვის კუთხით, ექიმს საქმე უნდა ჰქონდეს პაციენტთან, მაგრამ ეკონომიკური სისტემა

მას იმ მდგომარეობაში აყენებს, რომ პაციენტს, როგორც კლიენტს, ისე უყურებს. აი, ასეთი ბევრი კითხვაა, რომელიც პასუხგაუცემელი რჩება.

მინდა, აქვე გაგიზიაროთ ერთი ცნობილი ეკონომისტის შემდეგი მოსაზრება. ვინც საბჭოთა კავშირიდან ახერხებდა გაქცევას, ისინი დასავლეთში მიდიოდნენ, მათ შორის, ეკონომისტებიც და ერთი ასეთი ცნობილი ეკონომისტი გახლდათ იგორ ბირმანი, რომელმაც მოგვიანებით დაწერა წიგნი. მას წიგნში ძალიან კარგი მაგალითები მოჰყავს. ის წერს, რომ კაპიტალიზმის განვითარების მთელი ისტორია არის იმის დასტური, თუ როგორ ვითარდებოდა კაპიტალიზმი ეკონომისტების გარეშე. სხვა სიტყვებით, ეკონომისტები, უკეთეს შემთხვევაში, ახდენენ იმ ფაქტების ინტერპრეტაციას, რაც პრაქტიკულად მოხდა და ის ეკონომისტი გამოდიოდა უფრო საინტერესო და უფრო აღიარებული, ვინც უკეთეს ინტერპრეტაციას მოიფიქრებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური მეცნიერების ფუნქცია განისაზღვრა არა აქტიური კომპონენტით (რომ ის უნდა იყოს წამყვანი და პრაქტიკას აძლევდეს რეკომენდაციებს – რა და როგორ გაკეთდეს), არამედ იმის ინტერპრეტირებით, რაც რეალურად მოხდა.

ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში გვაქვს რამდენიმე მაგალითი, როგორც წარმატებული, ასევე წარუმატებელი. მინდა მოვიყვანო რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს როგორც, მეტნაკლებად, წარმატებულ შემთხვევას, ასევე – წარუმატებელს.

საუბარია არა იმაზე, რომ ეკონომიკურმა მეცნიერებამ წინასწარ რაღაც განსჭვრიტა და საზოგადოებას თუ პოლიტიკურ ელიტას რაღაც ქმედითი მექანიზმი შესთავაზა, არამედ წარმატებული შემთხვევის მაგალითად, მინდა, უბრალოდ, იმაზე ვისაუბრო, როცა ჯერ რაღაც ცუდი მოხდა, ხოლო ამ ცუდს შემდეგ მოჰყვა ეკონომიკური მეცნიერების განვითარება. და ასევე, მინდა, მოვიყვანო მაგალითი იმისა, რომ ჯერ რაღაც მოხდა და ეკონომიკურ მეცნიერებას კი არაფერი შეუქმნია.

წარმატებული მაგალითი არის დაკავშირებული გასული საუკუნის 30-იან წლებში განვითარებულ „დიდ დეპრესიას-

თან“. მაშინ ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მენარდ კეინზმა შექმნა თეორია, რომელიც ეფუძნებოდა იდეას – კრიზისულ პერიოდში როგორ უნდა მომხდარიყო სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში და, ზოგადად, არაკრიზისულ პერიოდშიც როგორ უნდა აეღო სახელმწიფოს ის ფუნქცია, რომ, გარკვეულწილად, დაერეგულირებინა ეკონომიკა, რათა ეკონომიკისთვის აეცილებინა სხვადასხვა ხასიათის სირთულეები. სხვა სიტყვებით, „დიდმა დეპრესიამ“ შექმნა ახალი ეკონომიკური თეორია, რაც დადებითი ფაქტია. მეორე მსგავსი მაგალითი მოხდა გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა მსოფლიოში სტაგნაცია განვითარდა. მაშინ მილტონ ფრიდმენმა შექმნა მონეტარიზმის თეორია (მილტონ ფრიდმენი გახლავთ ნობელის პრემიის ლაურეატი). ასე ვთქვათ, იმის ფონზე, რაც მოხდა ეკონომიკაში, მან სტიმული მისცა ახალი თეორიის შემუშავებას, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებას, ისევე, როგორც კეინზიანიზმი.

არის წარუმატებელი მაგალითებიც. კერძოდ, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში მოხდა კომუნისტური სისტემის მსხვერვა. დასავლეთში ე.წ. მეცნიერებაც კი იყო შექმნილი „სოვეტოლოგიის“ სახელწოდებით, რომელიც იკვლევდა – რატომ არის სოციალიზმი, „საბჭოთა კომუნიზმი“ წარუმატებელი მოდელი და, შესაბამისად, ეკონომიკურადაც ასაბუთებდნენ – თუ რატომ ვერ იქნებოდა ის სიცოცხლისუნარიანი. მთელი სისტემა მუშაობდა, მათ შორის, იდეოლოგიურიც, რომ, რალაცნაირად, შეერყიათ კომუნისტური მმართველობა. ხოლო, როცა დაინგრა საბჭოთა კავშირი და მთლიანად კომუნისტური ბლოკი, აღმოჩნდა, რომ მსოფლიოში არავინ იცოდა – შემდეგ რა უნდა გაკეთებულიყო. ყველა იძახდა, რომ მბრძანებლური ეკონომიკიდან უნდა გადავიდეთ საბაზრო ეკონომიკაზე... და ნახეთ, რა ხდება: ჩვენ ვიცოდით როგორი იყო მბრძანებლური ეკონომიკა, მსოფლიოში კარგად შესწავლილი გახლდათ (მაშინაც და ახლაც) საბაზრო ეკონომიკა. მაგრამ, როგორ უნდა მომხდარიყო მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო



ეკონომიკაზე გადასვლა – ეს არავინ იცოდა. მაშასადამე, ეკონომიკურმა მეცნიერებამ აჩვენა თავისი უსუსურობა. პოლიტიკურ პროცესს კი ვერ შეაჩერებ და, ბუნებრივია, შეუძლებელია, რომ პოლიტიკოსები დალოდებოდნენ ეკონომისტებს, როდის დასხდებოდნენ თავიანთ კაბინეტებში და როდის მოიფიქრებდნენ რაიმეს. ამიტომაც დაიწყო მოქმედება ყოველგვარი თეორიის გარეშე და მივიღეთ სწორედ ის, რაც მივიღეთ – რამდენიმე წარმატებული და უმრავლესობა კი წარუმატებელი ქვეყანა, რადგან ეკონომიკური რეფორმების განხორციელების თეორიული საფუძველი, უბრალოდ, არ არსებობდა.

დღეს თითქმის 30 წელია გასული, რაც დაინგრა საბჭოთა კავშირი, რაც დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და შემძლია გულწრფელად გითხრათ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მწყობრი თეორია დღესაც არ არსებობს. არის არაერთი ნაშრომი, სადაც განზოგადებულია გამოცდილება, რომელიც დაგროვდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ ჩამოყალიბებული თეორია ეკონომიკურ მეცნიერებას დღემდე არ შეუქმნია. ამდენად, ეს არის ეკონომიკური მეცნიერების ფიასკო.

არანაკლებ სერიოზული კრახი განიცადა ეკონომიკურმა მეცნიერებამ 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში. ცხადია, კრიზისების განჭვრეტა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რადგან ეს რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, ალბათ, არც იარსებებდა. მაგრამ აშკარა შეცდომების პრევენცია და შესაბამისი რეკომენდაციის მიცემა ყოველთვის შეიძლება. და კიდევ, საგულისხმოა ისიც, რომ თუ გასული საუკუნის 30-იანი წლების „დიდ დეპრესიას“ მოჰყვა კეინზის თეორია, 2007-2009 წლების გლობალურ ფინანსურ კრიზისს, პრაქტიკულად, არანაირი შედეგი არ მოუცია. როგორც ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანი აღნიშნავს სამართლიანად, ცნობილი 2007-2009 წლების კრიზისს ეკონომიკურ მეცნიერებაში არანაირი გარღვევა არ



მოუხდენია, მიუხედავად იმისა, რომ ამის შემდეგ არაერთი პრემია გაიცა ეკონომიკის დარგში. მაშასადამე, თქმა იმისა, რომ კრიზისის შემდეგ შეიქმნა რალაც ახალი ხედვა ეკონომიკურ მეცნიერებაში, ჩამოყალიბდა რალაც ახალი პარადიგმა, რომელზედაც ახლებურად უნდა ანყობილიყო მთელი ეკონომიკური მეცნიერება, ნამდვილად არ შეიძლება, რადგან მსგავსი არაფერი მომხდარა.

კიდევ ერთ ფაქტორზე მინდა ყურადღების გამახვილება: ეკონომიკური მეცნიერება ვერ იარსებებს ეკონომისტების გარეშე – ხომ ასეა? ეკონომისტები არიან სწორედ ის ადამიანები, რომელთაც აქვთ შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება. მათ შორის არიან ის მეცნიერებიც, რომლებიც ცდილობენ რალაც წვლილი შეიტანონ ეკონომიკურ მეცნიერებაში. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ეკონომისტები საერთოდ პასიურები არიან და რომ მათი დიდი ნაწილი გართულია სხვადასხვა თეორიებით, ნაკლებად არიან ჩართულნი იმ საკითხების გადანყვეტაში ან, თუნდაც, იმ საკითხებზე აზრის დაფიქსირებაში, რაც ხდება რეალურ ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, ეს არ არის მხოლოდ ქართული ავადმყოფობა (თუმცა საქართველოშიც იგივე ავადმყოფობაა). მე ერთი ხელის თითები მიეყოფა იმ ეკონომისტების ჩამოსათვლელად, რომლებსაც ყური უნდა დაუგდოს კაცმა, როცა გამოდის და საუბრობს. ძალიან ბევრი ეკონომისტი, ჩემი კოლეგა, რომლებიც, სხვათა შორის, ძალიან კარგი პროფესიონალები არიან, რატომღაც ამჯობინებენ დუმილს. მაგრამ, მოდით, თვითგვემას ნუ მივეცემით და ნუ ვიტყვივით, რომ ეს მხოლოდ ქართული ფენომენია.

როდესაც კიდევ ერთხელ გადავხედე ეკონომიკის საკითხებში ცოცხალი ლაურეატების სიას – 40 კაცამდეა ასეთი; ამ 40 კაციდან აქტიურია მხოლოდ 5. დავასახელებ მათ გვარებს, ესენია: ჯოზეფ სტიგლიცი, პოლ კრუგმანი, მაიკლ სპენსი, რობერტ შილერი, ამარტია სენი... და, სამწუხაროდ, აქ უნდა დავსვა წერტილი. ეს რას გვიჩვენებს? გვიჩვენებს იმას, რომ თავად ნობელის პრემიის ლაურეატები კი იღებენ პრემიას ეკონომიკაში შეტანილი წვლილისთვის, მაგრამ გამოდის, რომ ეს წვლილი თითქმის არაფერ კავშირში არ

არის იმასთან, რაც ცხოვრებაში რეალურად გვხვდება ეკონომიკური პრობლემების სახით. აქვე შეიძლება ნებისმიერმა ეკონომისტმა თქვას – თუ ნობელის პრემიის ლაურეატების აბსოლუტური უმრავლესობა მიმდინარე ეკონომიკურ პრობლემებზე დუმს, მაშინ სხვა რიგითმა ეკონომისტებმა რატომღა უნდა ვიაქტიუროთ? ჩემი ღრმა რწმენით, ეს მიდგომა არ არის სწორი, რადგან აქტიურობა აუცილებელია. ერთია – შენ იკვლევდე თეორიულ პრობლემას და მეორე – თუ ამ შენს კვლევას არ აქვს კონკრეტული გასავალი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ანუხებს შენს ქვეყანას, ზოგადად, ეკონომიკურ პროცესებს – გლობალურს, მთლიანად ეკონომიკურ მეცნიერებას და ა.შ., მაშინ ამ კვლევა-ძიების მნიშვნელობა არც თუ ისე დიდი ყოფილა. ამიტომ ის საკითხი, რომ ეკონომიკის დარგში თავად ნობელის პრემიის ლაურეატებიც კი დუმან, დასტურია იმისა, რომ ეკონომიკური მეცნიერება სერიოზული პრობლემის წინაშე დგას.

სად აღმოჩნდა ეკონომიკური მეცნიერება კიდევ ერთხელ უსუსური? ამ თემაზე სასაუბროდ შევეხები საკითხს, რომელზედაც ორიენტირებულია ბიზნესი და რომელიც დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია მთელს მსოფლიოში, სხვათა შორის პოპულარულია საქართველოშიც. საუბარი ეხება კრიპტოვალუტას – ბიტკოინს – ყველაზე მწვავე და ყველაზე ბურუსით მოცულ საკითხს. ბიტკოინის პირველი ემისია განხორციელდა 2009 წლის 3 იანვარს. ფორმალურად ბიტკოინის ავტორად და შემქმნელად ითვლება სატოში ნაკამოტო, მაგრამ მსოფლიოში არავინ იცის ასეთი პიროვნება და ისიც არ იციან – ეს კონკრეტული პიროვნების ფსევდონიმია თუ ამის უკან რაღაც ფირმა, რაღაც გუნდი დგას (ესეც კი ბურუსით მოცული თემაა). არადა ვხედავთ, რომ თანდათანობით იკრებს ძალას კრიპტოვალუტა. ეს ელექტრონული ფული ხდება ძალიან პოპულარული; საქართველოშიც კი დაინყო მისი მოპოვება (დამკვიდრდა კიდევ ინგლისურენოვანი ტერმინი – „მაინინგი“) და ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მეტად პოპულარული საქმიანობა დღეს თანამედროვე ბიზნესში. რას გვეუბნება ეკონომიკური მეცნიერება ბიტკოინის შესახებ?

დავესესხები ნობელის პრემიის ლაურეატს რობერტ შილერს. 2018 წელს მან გამოაქვეყნა წერილი, სადაც აღიარა: ეკონომისტებმა არ ვიცით კრიპტოვალუტას რა ეკონომიკური მექანიზმი აქვს. აი, შეხედეთ, 10 წელზე მეტი გავიდა, რაც ბიტკოინი არსებობს. მას ჰქონდა აღმავალი პერიოდიც (ახლა დაღმავალი პერიოდია), მაგრამ ეკონომიკური მეცნიერება 10 წლისთავზეც იძახის, რომ ჩვენ მისი ეკონომიკური ბუნება არ გვესმისო... და ამას რიგითი ეკონომისტი კი არ იძახის, არამედ ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში. იმავდროულად, იბადება კითხვა – რატომ გახდა ბიტკოინი პოპულარული? იმიტომ, რომ აღმოჩნდა – ბიტკოინი არის ძალიან საინტერესო ინსტრუმენტი, როგორ შეიძლება ფული გადარიცხო ისე, რომ არ ჩანდეს კონკრეტული გადამრიცხავი... ეს არის ინსტრუმენტი, როცა ყველამ იცის ამ გადარიცხვის, ამ ტრანზაქციის შესახებ, მიდის სწრაფად და არანაირი თანხა არ გაქვს გადასახდელი ამ გადარიცხვისთვის; ანუ ოპერაციის გასაიდუმლოებულობა არის ყველაზე მიმზიდველი და ეს მას პოპულარულს ხდის. ეკონომისტებში გაჩნდა ისეთი შეხედულებაც, რომ ბიტკოინი სხვადასხვა არალეგალური ბიზნესისთვის ხელშემწყობია და, მათ შორის, ტერორისტებისთვის მისწრებაა. ერთი პერიოდი, რუსეთი ბიტკოინების აკრძალვის ერთ-ერთ ინიციატორად მოგვევლინა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დასავლეთმა უკრაინასთან დაკავშირებით რუსეთის მიმართ მიიღო სანქციები, თვითონ პრეზიდენტმა პუტინმა არაერთხელ აღნიშნა, რომ მათ უნდა შექმნან თავიანთი კრიპტოვალუტა, რადგან ეს მისცემს რუსეთს ისეთი გადარიცხვების განხორციელების საშუალებას, რომელიც არ დაიბლოკება. აი, სწორედ ასეთი მოვლენების გამო ტერორისტებთან, სხვადასხვა კრიმინალებთან, სხვადასხვა არაპოპულარულ რეჟიმებთან დაკავშირებით ბიტკოინის და სხვა კრიპტოვალუტის გამოყენების საშიშროებაზე ალაპარაკდა ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი და გამოვიდა ინიციატივით – აკრძალოთ კრიპტოვალუტა, აკრძალოთ ბიტკოინი. ვფიქრობ, ასეთი მიდგომა მთლად სერიოზული არ არის, რადგან ეს აკრძალვა ყოველთვის მიგვიყვანს მის არა-

ლეგალურ არსებობამდე. ამიტომ მიდგომა, რომ ავკრძალოთ, თუ ამას არმოჰყვება რაიმე ქმედითი ახსნა-განმარტება – რა ხდება, როგორ ხდება, როგორ უნდა მოვიქცეთ – არაფრის მთქმელი არ არის.

მეორე არანაკლებ ცნობილი ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანი ამბობს, რომ ბიტკოინი არაფერია, გარდა იმისა, რომ ეს არის ფინანსური ბუშტი და, ადრე თუ გვიან, აფეთქდება, გასკდება. ბევრი ეკონომისტი იმასაც ამბობს, რომ როცა ბიტკოინის მყისიერი გაუფასურება მოხდა, ეს ერთ-ერთი პირველი აფეთქება უკვე იყო. მოკლედ, მე გითხარით ძალიან ცნობილი ნობელიანტი ეკონომისტების შეხედულებების თაობაზე. ახლა კი ბიუროკრატის შეხედულებას გაგიზიარებთ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორი ქრისტინ ლაგარდი კრიპტოვალუტას ოპტიმისტურად უყურებს, აღფრთოვანებულია მისით და თვლის, რომ მას აქვს დიდი პერსპექტივა; ანუ, რა გამოდის? ის, ვინც წამყვან სიტყვას ამბობს ეკონომიკურ მეცნიერებაში, თვლის, რომ კრიპტოვალუტა არ უნდა იყოს, ეკონომიკური ბიუროკრატის ლიდერი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი კი პირიქით მიიჩნევს.

ცალკე პრობლემაა ბლოკჩეინი, ანუ ის ინსტრუმენტი, ის მექანიზმი და ის ტექნიკური საშუალება, რითაც ხდება კრიპტოვალუტის მოპოვება/„მინინგი“. ეს ცალკე ფენომენია. მას, დიდი ალბათობით, უფრო მეტი პერსპექტივა უნდა ჰქონდეს, ვიდრე კრიპტოვალუტას, თუნდაც იმიტომ, რომ ბლოკჩეინი ეკონომიკის ძალიან ბევრ დარგში გამოიყენება. თუმცა, საყურადღებოა, რომ ბლოკჩეინით თუნდაც ბიტკოინის მოპოვებას სჭირდება ელექტროენერჯის ძალიან დიდი რაოდენობა. მაგალითად, ჩატარებული გათვლებით, მარტო ბიტკოინის მოსაპოვებლად, 2020 წელს იმდენი ენერჯია უნდა დაიხარჯოს, რაც 2017 წელს მთელს ეკონომიკაში დაიხარჯა. ესეც ძალიან პესიმისტური პროგნოზია. თუმცა, აქაც, რა თქმა უნდა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა გასათვალისწინებელი და შეიძლება გარკვეული ტექნოლოგიური ცვლილებები მოხდეს ენერჯის მოხმარებასთან დაკავშირებით.

მოკლედ რომ ვთქვა – ბიტკოინი არის ეკონომიკური მეცნიერების ჩავარდნის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი.

ამიტომ, ერთ-ერთი მიმართულება კვლევისა, ჩემი აზრით (და არა მარტო ჩემი აზრით), უნდა იყოს სწორედ ამ ახალ ტექნოლოგიებზე, ბლოკჩეინ-ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ცვლილებები და, მათ შორის, ის ცვლილებები, რომელიც დაკავშირებულია კრიპტოვალუტასთან. ბოლოს და ბოლოს ეკონომისტები იმაზეც ვერ შეთანხმდნენ, ბიტკოინი ფულია თუ, უბრალოდ, ელექტრონული ფინანსური აქტივი. ამიტომ აქ, როგორც იტყვიან, კვლევის სფერო საკმაოდ ვრცელი და საკმაოდ საინტერესოა. ეს გახლავთ უფრო გლობალური პრობლემა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამაში ქართველი ეკონომისტებიც უნდა იყვნენ ჩართულნი.

ყველაზე მთავარი პრობლემა, რაც, ალბათ, ყველაზე სერიოზულია ეკონომიკურ მეცნიერებაში, რამდენიმე ათეული წლის წინ დააფიქსირა ცნობილმა ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ეკონომიკის დარგში ჯეიმს ბიუკენენმა, რომელმაც თქვა: – ეკონომიკური მეცნიერება დასცილდა რეალურ ადამიანს; გარკვეული აბსტრაქტული მოდელი ადამიანისა, რომელსაც ემყარება ეკონომიკური მეცნიერება, ანუ ეს აბსტრაქტული ადამიანის ცნება ამარტივებს საკითხის შესწავლას, მაგრამ ასეთი აბსტრაქტული ადამიანი ბუნებაში არ არსებობს. ეს ნიშნავს იმას, რომ აბსტრაქციის დონეზე რაღაც შევისწავლეთ, მაგრამ საკითხი, თუ როგორ დავიდეხს ეს აბსტრაქცია კონკრეტულამდე, კონკრეტულ ადამიანამდე – ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია, რაც ძალიან ბევრ სფეროში ფიქსირდება.

მთავარი ის არის, რომ ეკონომიკური მეცნიერება, როგორც სოციალურ მეცნიერებათა ერთ-ერთი დარგი, სულ უფრო და უფრო დასცილდა სოციალური მეცნიერებების სხვა დარგებს, ისეთებს, როგორიცაა: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სამართალმცოდნეობა, პოლიტოლოგია, ისტორია... ეს არის ერთ-ერთი კურიოზული რამ. უფრო მეტიც, დღეს თანამედროვე ეკონომისტის მომზადება ხდება ისე, რომ მას არც ფილოსოფიას, არც ფსიქოლოგიას და სოციალური მეცნიერე-

ბების არც ზემოთ ჩამოთვლილ სხვა დარგებს ასწავლიან. ეს არ არის მხოლოდ ქართული პრობლემა, ეს გლობალური პრობლემაა. დღეს მსოფლიოს ყველა წამყვან უნივერსიტეტში ეკონომისტებისთვის სასწავლო სავალდებულო საგნების ჩამონათვალში ის საგნები, რომლებიც დაგისახელეთ, არც ერთი არ შედის. სწორედ ამიტომ განიხილება ეკონომიკასთან დაკავშირებული ადამიანი აბსტრაქტულად. ამ ადამიანს „ხორცი რომ შევასხათ“ და, მეტ-ნაკლებად, დავუახლოვოთ სინამდვილეს, საჭიროა სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა დარგების მიღწევების გამოყენება. თუ ეს არ მოხდა, ჩვენ დავრჩებით ისევ აბსტრაქტული ადამიანების ამარა და, რაც ლექციის დასაწყისში ვთქვი, ვიქნებით შეპყრობილი მითებითა და ილუზიებით, რადგან აბსტრაქცია, გარკვეულწილად, ეფუძნება იმას, რაც ამ სახით არ არსებობს.

ეკონომიკაში, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო, გაბატონებული გახდა ე.წ. „შავი ყუთის“ პრინციპი. რას ნიშნავს „შავი ყუთის“ პრინციპი? აი, მაგალითად, საქმე გვაქვს რაღაც მოვლენასთან, რომელიც არც კი ვიცით – რა არის? არც გვინტერესებს, რომ შევისწავლოთ, თუ რა ხდება. ვიცით მხოლოდ ის, თუ გარედან რა ზეგავლენას აქვს ამ მოვლენაზე ადგილი; ვიცით, თუ რა მოჰყვება ამ ზემოქმედებას და რა შედეგს მივიღებთ. მაშასადამე, ვიცით რა ზეგავლენას რა შედეგი მოჰყვება. ამის ფორმალიზება რომ მოვახდინოთ, ეს ნიშნავს სწორედ „შავი ყუთის“ პრინციპს. სხვა სიტყვებით, მე არ ვიცი – შიგნით რა ხდება და მოცემულობა (რომ მე არ ვიცი – შიგნით რა ხდება) – ეს შეიძლება გამონეული იყოს ორი რამით: 1. მეცნიერება, შეიძლება, ჯერ არ არის იმ დონემდე მისული, რომ ეს მოვლენა სრულად შეისწავლოს; 2. მე არც კი მინდა, რომ ეს მოვლენა შევისწავლო. დღეს ეკონომისტების დიდი ნაწილი დაადგა სწორედ მეორე გამარტივებულ გზას – არა იმ გზას, რომ შევისწავლოთ ბოლომდე – რა ხდება ამა თუ იმ ეკონომიკურ პროცესში, არამედ სხვა გზას – თვალი დავხუჭოთ ამაზე და გამოვიყენოთ „შავი ყუთის“ პრინციპი.

თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ასეთ მარტივ მაგალითზე: ხშირად ბავშვები სათამაშოებს, თოჯინებს ან ავტომობილებს

იმიტომ ამტკვრევინ, რომ ნახონ – შიგნით რა არის. ასეთები არიან ერთი სტილის ბავშვები, მეორე სტილის ბავშვი კი არასდროს დაამტკვრევს სათამაშოს, რადგან მას ამ სათამაშოთი თამაში სიამოვნებს. პირველი, სათამაშოს დამტკვრევით, შიგნით ვერაფერ საინტერესოს ნახავს, თუმცა მისი მოქმედება ცნობისმოყვარეობასთან არის დაკავშირებული, რათა გაიგოს – სათამაშოს შიგნით რა არის. რომელი სტილის ბავშვია უკეთესი? ორივე კარგია, ორივე განსხვავებულია – ერთს შემოქმედებითობა აქვს, აინტერესებს შიგნით რა ხდება; მეორეც შემოქმედებითია – ცდილობს, რა მოცემულობაც აქვს, უკეთესად გამოიყენოს და როგორმე კარგად გაერთოს. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომელი უფრო სწორია. მეცნიერებაში, როცა ვერ იგებ – შიგნით რა ხდება, ჯობია მოვლენა გარე ეფექტებით შეისწავლო, მაგრამ, როცა მხოლოდ ამაზე ხდება ფოკუსირება და აღარ გაინტერესებს – შიგნით რა ხდება (ასეთი მიდგომის ეკონომისტები მრავლდებიან სწორედ), ანუ როცა, ფაქტობრივად, გაბატონდა „შავი ყუთის“ პრინციპი, ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკური მეცნიერება დაკნინდა. ამიტომ გაჩნდა ასეთი ტერმინიც კი – „ეკონომეტრიკორნმენა“. ეს ნიშნავს, რომ იმისთვის, რომ შენ რაღაც შედეგი მიიღო, აუცილებლად ეკონომეტრიკული მოდელი უნდა ააგო და ეს უნდა გააკეთო იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეკონომეტრიკული მოდელის გარეშეც იცი – იქ რა ხდება. თუ ეკონომეტრიკული მოდელი ეწინააღმდეგება ფაქტებს, მით უარესი ფაქტებს! თუ ეკონომეტრიკული მოდელი ეწინააღმდეგება თეორიას, მით უარესი თეორიას! აი, ასეთი პრიმიტიული მიდგომა არის გაბატონებული.

ნამდვილად არ მინდა, ვინმემ გაიგოს, რომ ეკონომეტრიკული მოდელის წინააღმდეგი ვარ. პირიქით, ეს არის საკმაოდ ძლიერი ინსტრუმენტი ეკონომიკური მოვლენების შესასწავლად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე გაქვს „შავ ყუთთან“, მაგრამ „შავი ყუთის“ პრინციპის აბსოლუტიზაცია – ეს არის ეკონომიკური მეცნიერების ჩიხში შეყვანა.

და ბოლოს, მინდა, თქვენი ყურადღება შევაჩერო ერთ ასეთ პრობლემაზე. დღეს არსებობს სხვადასხვა ეკონომი-



კური თეორია. ეს თეორიები, როგორც წესი, ერთმანეთს „ებრძვის“, მათი ავტორები და მიმდევრები ერთმანეთს აკრიტიკებენ. მაგრამ, ამავე დროს, ეს თეორიები ერთმანეთის ურთიერთშემავსებლნიც არიან. ეს სტუდენტებს რომ ავუხსნა, ხშირად მომყავს ასეთი მაგალითი: როგორც არ უნდა დახაზო მაგიდა, ყველა შემთხვევაში, ეს იქნება მაგიდა, მაგრამ სხვადასხვა კუთხიდან დახაზული შეიძლება სულ სხვადასხვანაირად გამოიყურებოდეს. ამიტომ, პრინციპული მიდგომა უნდა იყოს, რომ ეკონომიკურ თეორიებს შევხედოთ ისე, თუ რა კუთხით არის ესა თუ ის მოვლენა შესწავლილი და თუ არის შესაძლებლობა, უნდა მოხდეს მათი გაერთიანება და არა დაპირისპირება; არა კრიტიკა, არამედ იმ საერთოს მოძებნა, რომელიც ხელს შეუწყობს ამ თეორიების სინთეზს. ამის არაერთი წარმატებული მაგალითიც არსებობს. მოვიყვან ასეთ ძალიან ცნობილ ორ თეორიას: კენსიანიზმის თეორია, რომელიც ფოკუსირებულია მოთხოვნის სტიმულირებაზე და ე.წ. „მინოდების თეორია“, რომელიც ეკონომისტებში ცნობილია ლაფერის მრუდის სახელწოდებით. ერთიც და მეორე თეორიაც ეფუძნება იმას, რომ, დავუშვათ, გადასახადების შემცირებით კენსიანიზმი სწავლობს, თუ რა მოუვა მოთხოვნას; მინოდების თეორია სწავლობს, თუ რა მოუვა მინოდებას; მაგრამ თუ გადასახადს ვამცირებთ, ერთდროულად ხომ ერთიც მოხდება და მეორეც? ხომ შეიძლება, ეს გავაერთიანოთ და მათ შორის არა დაპირისპირება დავინახოთ, არამედ მოვახერხოთ სინთეზი.

ამ ლექციაში ვერანაირად ვერ ვისაუბრებდი იმის გასაღებზე, როგორ უნდა შეიქმნას ახალი პარადიგმა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენს მსმენელს გარკვეული მონახაზი გავაცანი, რომელიც მას მისცემს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს ეკონომიკურ მეცნიერებაში – ეს უნდა იყოს სხვა სოციალურ მეცნიერებებთან მაქსიმალური ინტეგრაცია, სხვადასხვა ეკონომიკური თეორიის შესაძლო სინთეზისთვის გზების ძიება და ა.შ.



ამ ლექციას სამეცნიერო სტატიის სახით შეიძლება გაეცნოთ:

პაპავა, ვ. 2018. ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმის ძიებისათვის. გლობალიზაცია და ბიზნესი, № 6, გვ. 15-27.

Papava, V. 2018. The Economics in Crisis and the Main Directions for Transformation of Economic Science. Transformations, No. 3-4 (98-99), pp. 90-108, <[http://www.e-transformacje.com/archiwum/transformacje\\_3-4\\_2018.pdf#page=96](http://www.e-transformacje.com/archiwum/transformacje_3-4_2018.pdf#page=96)>.

Папава В. 2018. Окризисевэкономическойнаукеипутяхвыхода изнего. ЭкономикаУкраины, № 10, сс. 32-52.

## ფსიქოლოგიური კონსულტაცია, როგორც სერვისი



**მარინა  
ჩიტაშვილი,**  
თსუ-ის  
ფსიქოლოგიისა  
და განათლების  
მეცნიერებათა  
ფაკულტეტის  
პროფესორი,  
ფსიქოლოგი

ჩვენი საუბრის თემაა ფსიქოლოგიური კონსულტაცია, როგორც სერვისი. ფსიქოლოგიური კონსულტაცია ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი დარგია. ჩვენი მოსახლეობა, ძალიან ხშირად, იქცევა ხოლმე, ზოგჯერ, უცოდინარობის გამო გავრცელებული მცდარი ინფორმაციის და, ზოგჯერ, მიზანმიმართული დეზინფორმაციის მსხვერპლად. სწორედ ამიტომ მინდა, ბევრ საკითხში სიცხადე შემოვიტანო.

პირველი – მინდა დავიწყო იმით, რომ ფსიქოლოგიური კონსულტაცია ფსიქოლოგიის და, კერძოდ, გამოყენებითი ფსიქოლოგიის ერთ-ერთი დარგია, რომელიც განსხვავდება ფსიქოთერაპიისაგან, თუმცა მათ შორის დიდი განსხვავება არ არის იმ თვალსაზრისით, რომ ისინი იყენებენ ერთი და იგივე მეთოდოლოგიურ საფუძველს და ეყრდნობიან ერთსა და იმავე თეორიებს. ფსიქოთერაპიაც და ფსიქოლოგიური კონსულტაციაც –

ორივე, თანაბრად, ახდენს ინტერვენციას და პრობლემური ქცევის მენეჯმენტის განევის საშუალებით უზრუნველყოფს ადამიანისთვის პრობლემური ქცევის აღმოფხვრას ყოველგვარი მედიკამენტოზური ჩარევის გარეშე. ამას ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ საქართველოში იმის გამო, რომ ფსიქოლოგიური კონსულტაცია არ არის ლიცენზირებული პროფესია, ძალიან ბევრი ადამიანი იბრალებს ფსიქოლოგობას, ანუ ეწევა თერაპიულ პრაქტიკას, რომლის კვალობაზეც ისინი ძალიან ხშირად პაციენტებს უნიშნავენ წამლებს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ, მაგალითად, ექიმ ფსიქიატრს არ შეუძლია ერთდროულად ჩაატაროს ფსიქოთერაპია და, ასევე, დანიშნოს წამალი. ასეთ შემთხვევაში იგი წამალს ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ის ექიმია, ფსიქიატრია, აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და მან იცის – რა წამალს ნიშნავს და რატომ... მოკლედ, დებატები იმის შესახებ – რა სხვაობაა ფსიქოთერაპიასა და ფსიქოლოგიურ კონსულტაციას შორის, შეიძლება დავიდეს ძალიან მარტივ განმარტებამდე: ფსიქოთერაპია გახლავთ უფრო ხანგრძლივი პროცესი. ფსიქოთერაპიაში ჩართულნი არიან ის ადამიანები, რომლებსაც ქცევის სერიოზული დარღვევები აქვთ და მკურნალობა საჭიროებს ხანგრძლივ თერაპიას. ასეთ შემთხვევაში საუბარია, ძირითადად, ფსიქოზებზე, როდესაც ადამიანის ქცევის დარღვევა განფენილია და გადასულია ყველაფერზე (შეზღუდულია სხვა აქტივობებიც). ფსიქოლოგიურ კონსულტაციას კი საჭიროებენ ის ადამიანები, რომელთაც აღენიშნებათ, ასე ვთქვათ, ქცევითი დარღვევები, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, შენარჩუნებულია ადამიანის ფუნქციონირება, ანუ მას აქვს გარკვეული კონკრეტული პრობლემა, რომელსაც ვერ უვლის. მაგალითად, ადამიანს არა აქვს არანაირი შეფერხება ინტელექტუალური პროცესების კვალობაზე, მას მშვენივრად შეუძლია ყველანაირი საქმის გაკეთება, ასევე კონტაქტი, სოციალური ურთიერთობები, მაგრამ აქვს ერთადერთი პრობლემა – მას არ შეუძლია, მაგალითად, დახურულ სივრცეში შესვლა. ყველაზე კარგი მაგალითი გახლავთ ისეთი გარკვეული ტიპის ფობიები, როგორცაა კლაუსტროფობია, სიმაღლის

შიში, მეორე ადამიანთან კონტაქტის შიში და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ დარღვევებთან, როდესაც ადამიანს სრულად აქვს შენახული ცნობიერება, ის თვითონვე ხედავს, რომ პრობლემა აქვს და მას სურს ამ პრობლემისაგან გათავისუფლება. ამ დროს მას სჭირდება ფსიქოლოგიური კონსულტაცია.

ამ თემაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ, დაახლოებით, 70-იანი წლების ბოლომდე დიდი დებატები გრძელდებოდა იმის თაობაზე, თუ რა სხვაობა იყო ფსიქოთერაპიასა და ფსიქოლოგიურ კონსულტაციას შორის. როგორც აღვნიშნეთ, მათ შორის სხვაობა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ დარღვევის სიმძიმეზე, უფრო სწორად, კლიენტის მდგომარეობაზე და იმაზე, მისი პრობლემის მოგვარება შეიძლება თუ არა ხანმოკლე თერაპიის კვალობაზე.

ფსიქოთერაპიას დასავლეთში (საქართველოზე არა მაქვს ლაპარაკი), ძირითადად, ახორციელებენ ის ფსიქიატრები, რომლებსაც პარალელურად გავლილი აქვთ ფსიქოთერაპიული ტრენინგი; ხოლო ფსიქოლოგიურ კონსულტაციას ახორციელებს ყველა ის ადამიანი, ვინც მოვიდა ან სამედიცინო სფეროდან (მას უნდა ჰქონდეს გავლილი სპეციალური ტრენინგი, რომელიც ფსიქოლოგიურ კონსულტაციაში ხელობის შესწავლას გულისხმობს) ან, ძირითადად, ახორციელებენ ფსიქოლოგები, მედდები, სოციალური მუშაკები და, რა თქმა უნდა, ე.წ. კონსულტანტები, რომელთა უშუალო სპეციალობაც ზუსტად ეს არის.

ფსიქოთერაპიაში არსებობს რამდენიმე ძირითადი მიმდინარეობა, რომელთაც აქვთ თავისი ამოსავალი წერტილი. ეს ამოსავალი წერტილი გახლავთ შემდეგი: რას მიიჩნევს ესა თუ ის სკოლა ქცევის დარღვევის საფუძვლად. ნებისმიერ ჩვენს ქცევას, რომელი ქცევაც არ უნდა ავიღოთ, აქვს ახსნა. მაგალითად, ახლა მე თქვენთან ვსაუბრობ. მე ზუსტად ვიცი, რომ, რა თემაზეც თქვენთან ვსაუბრობ, ამ თემის მიმართ როგორი დამოკიდებულება მაქვს და რომ კონკრეტულად ვახორციელებ მეტყველების აქტს. შესაბამისად, ქცევა იკვრება, ანუ ქცევას აქვს კოგნიტური, აზრობრივი შინაარსი; ქცე-

ვას აქვს დამოკიდებულება იმ მოვლენის მიმართ, რომელიც ახლა ხორციელდება და ქცევა ხორციელდება, წმინდად, მოქმედების სფეროში. შესაბამისად, ფსიქოლოგიური კონსულტაციის ძირითადი მიმართულებებიც აგებულია ამ პრინციპის მიხედვით – რა მიაჩნია ფსიქოლოგიურ კონსულტაციას ქცევის დარღვევის მიზეზად. პირველი გახლავთ: აზრი არის არასწორი რალაც მოვლენის შესახებ; მეორე გახლავთ: დამოკიდებულება არის არაშესატყვისი რალაც მოვლენის შესახებ და მესამე – მე არასწორად მაქვს ქცევა დასწავლილი. ჩვენს ენაზე, პირველს ჰქვია კოგნიტური თეორიები, მეორეს – ფსიქოდინამიკური თეორიები, ხოლო მესამეს – ბიჰევიორისტული თეორიები. გავარჩიოთ თითოეული მათგანი:

## კოგნიტური თეორიები

კოგნიცია, იგივე, აზრის ფორმირება – ამ შემთხვევაში ნებისმიერი ქცევა დარღვეულია იმის გამო, რომ თავის დროზე მე ეს ქცევა არ შევაფასე რაციონალურად, ანუ მისი რეალური შეფასება ვერ შევძელი. მაგალითად, თუკი მე ყოველ ჯერზე ვამბობ, რომ „მე არ შეიძლება კარგი რამე დამემართოს, ყველაფერი ცუდი ჩემს თავზე უნდა მოხდეს“ – ეს, უბრალოდ, ნიშნავს იმას, რომ მე მცდარი აზრის ტყვეობაში ვიმყოფები, რომ მე გადაჭარბებულად ვაფასებ მთელი ცხოვრების განმავლობაში განცდილ უსიამოვნო მოვლენებს და ვამბობ – „ყველაფერი ჩემს გარშემო არის ცუდი“. ანუ სიტყვა – „ყველაფერი“ – ფაქტობრივად, ცვლის შინაარსს და ადამიანს უქმნის საკუთარი მომავლის, საკუთარი ქცევის, ამჟამინდელი და სამომავლო ქცევის მიმართ გარკვეულ უარყოფით დამოკიდებულებას. ასეთ შემთხვევაში, თუკი მე ასეთი მოდუსი მექნება, არ არის გამორიცხული, რომ დეპრესიის განვითარებაზეც ვილაპარაკოთ. ანუ, რისი თქმა მიწნდა: კოგნიტურ ფსიქოლოგიას მიაჩნია, რომ არასწორად შეფასებული გარემო, სიტუაცია, საკუთარი თავი, მეორე ადამიანთან ურთიერთობა და აზრობრივად ამისი არასწორი ფორმული-

რება არის ძირითადი საფუძველი იმისა, რომ ჩვენ შეიძლება საქმე გვქონდეს გარკვეული ქცევის დარღვევასთან, რომლის კვალობაზედაც ფსიქოლოგთან მივდივართ. მაგალითად, ადამიანი, რომელიც გუბუნებათ, რომ „მე არც ერთ ადამიანს არ ვენდობი იმის გამო, რომ მე ჩემი მეგობრები ყოველთვის მლალატობდნენ“ და თქვენთან მოვიდა იმისათვის, რომ აუხსნათ – „რა ჭირს მას ისეთი, რომ არავის არ უყვარს“. ასეთ შემთხვევაში, ფსიქოლოგთან კონსულტაციით, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს – ეს მართლაც რეალური სიტუაციაა თუ არა, რადგან თეორიულად და პრაქტიკულადაც ადამიანი ვერ „გადარჩება“, თუ გარშემო მისი ერთი მოყვარული არსებაც კი არ არსებობს.

ჩვენ სრულიად უსუსურები ვიბადებით და, შესაბამისად, ვაღწევთ ზრდასრულობას მხოლოდ იმიტომ, რომ ვილაც გვივლის, უფრო მეტიც – ჩვენ შეგვიძლია მეტყველება მხოლოდ იმიტომ, რომ ვილაც მეორე გვესაუბრება. მე რომ ვთქვა – „ჩემს ცხოვრებაში ყოფილა უფრო მეტი ცუდი, ვიდრე კარგი, მაგრამ მე მყოლია ჩემს გარშემო კარგი ადამიანებიც“ – ეს იქნება მდგომარეობის ბევრად უფრო რეალისტური ასახვა, ვიდრე ის, რომ ვთქვა – „ჩემს გარშემო ყველაფერი ცუდია“, ანუ კოგნიტური თეორია, ძირითადად, პრობლემური ქცევის მენეჯმენტისა და მართვისათვის რაციონალური, სწორი აზრების ფორმულირებით ითვალისწინებს ჩარევას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ჩვენ ცნობიერი არსებები ვართ და, უფრო მეტიც, ჩვენ ვართ რაღაცის ან ვილაცის მნიშვნელობის შემქმნელი არსებები. მაგალითად, ერთისთვის ხაჭაპური შეიძლება იყოს საოცნებო ობიექტი, მეორე კი საკმაოდ გულგრილი შეიძლება იყოს ამ ხაჭაპურის მიმართ. ასეთ შემთხვევაში, ხაჭაპური, როგორც ობიექტი, ერთია, მაგრამ ჩემი დამოკიდებულება აძლევს მას მნიშვნელობას. შესაბამისად, ადრე რა მაგალითიც მოვიყვანე და რაც ვთქვი, კერძოდ, ასეთი აზრი – „ჩემს გარშემო ყველაფერი ცუდი ხდება, კარგი არაფერია“ – ნიშნავს იმას, რომ მე დილით რომ ვიღვიძებ და გამოვდივარ გარეთ, იმთავითვე მაქვს გარემოს აღქმის არარეალისტური, არარაციონალური და არაადექვატური მოცე-



მულობა; მე იმთავითვე ვარ განპირობებული, რომ რალაცას შევხედო ჩემი წინასწარი მზაობისა თუ განწყობის მიხედვით, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ რეალობა სწორად ვერ ავსახე. როდესაც ჩვენ გავასწორებთ აზრებს, მოვხსნით ზეგენერალიზაციას, განზოგადებებს, მაქსიმალისტურ შეფასებებს, ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ვისწავლით სწორ აზროვნებას, გარემოს და საკუთარი თავის რეალისტურ შეფასებას და პრობლემის მოგვარება უკვე თავადვე შეგვეძლება.

## ფსიქოდინამიკური თეორიები

ეს არის მეორე მიმართულება, რომელიც ქცევის ამხსნელად გულისხმობს აფექტს ანუ ემოციურ განცდებს. მას საფუძვლად უდევს მე-20 საუკუნეში წარმოქმნილი მიმდინარეობა – ფსიქოანალიზი, რომელსაც შემდეგში, უკვე დღეს, ფსიქოდინამიკად მოვიხსენიებთ. ამ თეორიის მიხედვით მიიჩნევა, რომ ნებისმიერი ქცევის საფუძველი არის გაუკუღმართებული აფექტი (გაუკუღმართებული გულისხმობს ვერგამოვლენილ აფექტს, რომელიც ხელს გვიშლის რეალურ ცხოვრებაში). მაგალითად, დავუბრუნდეთ ჩვენი ადრინდელი აზრის ასეთ ფორმულირებას – „ყველაფერი ჩემს გარშემო ცუდი ხდება“. იმისდა მიხედვით, თუ რომელ სკოლას ვეკუთვნით, რომელიც თვლის, რომ ემოციურ ფაქტორში უნდა ვეძებოთ დარღვეული ქცევის მიზეზი, ასეთ შემთხვევაში, ამოცანა დაისმებოდა ორნაირად: პირველი ვარიანტი – არსებობდა თუ არა ამ ადამიანის ცხოვრებაში რალაც გარკვეული ტრავმული გამოცდილება, რამაც ჩამოუყალიბა და შეუცვალა მას მთლიანად მსოფლმხედველობა; და კიდევ – თავის დროზე, მან ამ ტრავმულ გამოცდილებაზე რეაგირება ვერ მოახდინა. მეორე ვარიანტი – რამ განაპირობა და, კონკრეტულად, რა ურთიერთობებმა განაპირობეს ადრეულ ასაკში (თვითცნობიერების დასრულებამდე, ზრდასრულობის მიღწევამდე), ანუ 18 წლამდე ამ ადამიანის ცხოვრებისეულ გამოცდილებაში უარყოფითი, ნეგატიური ემოციების დაგ-

როგება, რაც, შეიძლება, გარემოდან მოდიოდა. ანუ, ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ვმუშაობთ დავინყებულ ტრავმაზე ან იმ ემოციებსა და განცდებზე, რომელიც რაიმე მიზეზის გამოხატვას არ დაქვემდებარებია. აფექტური თეორიები ანუ ფსიქოდინამიკური თეორიები მიიჩნევენ, რომ ასეთი მუშაობის კვალობაზე ქცევა სწორდება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანს საშუალება ეძლევა – გამოხატოს თავისი რეალური დამოკიდებულება; იგი თავისუფლდება ტრავმული განცდისაგან და ქცევა სწორდება.

### ბიჰევიორისტული თეორიები

მესამე მიმდინარეობა – ეს გახლავთ ბიჰევიორიზმი, ანუ ქცევათმეცნიერება, რომელიც, როგორც ერთ-ერთი ცენტრალური მიმდინარეობა, ასევე ყალიბდება მე-20 საუკუნის დასაწყისში. მაშინ, როდესაც ჩვენ სოციალიზაციის გზას გავდივართ, ამ მიმდინარეობისათვის ჩვენ არასწორად გვაქვს დასწავლილი რეაქციები და საკმარისია ჩვენ გადავეჩვიოთ არასწორად დასწავლილ მოქმედებებს, რომ ქცევა ავტომატურად გასწორდება. მაგალითად, მე თუ ვამბობ: „მე ყველაფერს ვუყურებ, ასე ვთქვათ, პესიმისტურად და ჩემს გარშემო კარგი არაფერი ხდება“, პასუხად, ბიჰევიორისტი (პირობითად) დაიწყებს დაკითხვას: „გასაგებია, რასაც მეუბნებით, მაგრამ, თუ შეიძლება მომიყვებით და აღმიწერეთ – როცა ქუჩაში გასვლა გინევთ, რა განცდები გაქვთ სხეულში?“ თუ მე ვიტყვი, რომ „სუნთქვა მიჩქარდება, გული მიჩქარდება, ხელი მიოფლიანდება და ა.შ.“, ბიჰევიორისტი, უპირველეს ყოვლისა, დაიწყებს ჩემი ჰომეოსტაზური მდგომარეობის მონესრიგებას, რაც ნიშნავს ზრუნვას იმაზე, რომ სუნთქვა ჩვეულებრივი გამიხდეს, გულისცემას ვაკონტროლებდე, დავმშვიდდე და ოფლიანობა მომეხსნას. აღმოჩნდება, რომ ბიჰევიორისტის მუშაობა მოხსნის უარყოფით განცდებს, რის კვალობაზეც შესუსტდება ჩემი აღქმა, რომ „მე, არიქა, გარეთ ცუდი რაღაც უნდა დამემართოს“.

ეს სამივე მიმდინარეობა, იმისდა მიხედვით, თუ როდის ჩნდებოდნენ და როგორ ვითარდებოდნენ (მე-20 საუკუნის სადღაც 90-იან წლებამდე, თუ შეიძლება ასე ითქვას), რეალურ კლინიკურ პრაქტიკაში ცალცალკე სკოლების სახით იყვნენ წარმოდგენილი. დღეს, რეალურად, პრაქტიკაში ყველაზე უფრო აქტიურად გამოიყენება კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია, რომელიც გულისხმობს აზრსა და ქცევაში ერთდროულად ჩარევას. იმ შემთხვევაში კი, როდესაც რეალურად არსებობს ტრავმა და, განსაკუთრებით, თუ ეს ტრავმა განვითარებულია თვითცნობიერების ჩამოყალიბებამდე, მიმართავენ ფსიქოდინამიკურ თეორიას.

რომ შევაჯამოთ, გამოდის, რომ არანაირ ჯადოსნობასთან ჩვენ საქმე არ გვაქვს. გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფსიქოლოგი აუცილებლად ღვთისგან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი უნდა იყოს, არის ზღაპარი და წარმოადგენს ფსიქოლოგიის „შამანიზაციის“ თეორიას. ფსიქოლოგი ჩვეულებრივი პროფესიონალია. ფსიქოლოგია – ეს არის ხელობა, რომლის სწავლაც შეიძლება. ფსიქოლოგს აქვს დამთავრებული არა მხოლოდ ბაკალავრიატი, არამედ მაგისტრატურა ფსიქოლოგიური კონსულტაციის, კლინიკური ფსიქოლოგიის განხრით და, ან კიდევ, მას უნდა ჰქონდეს სპეციფიკური განათლება, მაგალითად, აუტისტური სპექტრის აშლილობებთან დაკავშირებით; ბავშვებში განვითარების დარღვევების თაობაზე; იგივე, ნეიროფსიქოლოგიაში და ა.შ. რაც მთავარია – მას უნდა ჰქონდეს გავლილი პრაქტიკა სუპერვიზიით. ანუ კონსულტანტმა უნდა იცოდეს, უპირველეს ყოვლისა, თეორიული საგნები, მათ შორის, ფსიქიატრია, განვითარების თეორიები, დიაგნოსტიკა და იგი უნდა ფლობდეს ერთ მეთოდს მაინც სრულყოფილად იმისთვის, რომ მოახერხოს იდენტიფიცირება – შეუძლია თუ არა კლიენტისთვის პროფესიული დახმარების აღმოჩენა.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ძალიან იშვიათია – კონსულტაციის გამწევი ფსიქოლოგები ერთდროულად მუშაობდნენ როგორც ბავშვებთან, ისე – მოზრდილებთან. ეს ორი სხვადასხვა სფეროა. ბავშვებთან მუშაობა მოითხოვს განსაკუთრებულ სპეციფიკურ მომზადებას.

ჩემთვის ერთმნიშვნელოვნად პრინციპულია იმის აღნიშვნაც, რომ არც ერთი ფსიქოლოგი-კონსულტანტი არ წერს არანაირ წამალს. თუკი მე შემიძლია – ჩემს ახლობელს, რომელიც ვერ იძინებს და რომელსაც აქვს ტაქიკარდია, ვუთხრა, რომ დალიოს ვალერიანის ტაბლეტები, ფსიქოლოგს კლიენტისთვის ასეთი უმარტივესი რჩევის მიცემაც კი არ შეუძლია, რადგან ეს იქნება მეთოდოლოგიური პრინციპის დარღვევა მისი მხრიდან.

ფსიქოლოგია – ეს არის სიტყვებით განკურნება. სწორედ მე-20 საუკუნის დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აღმოჩნდა, რომ არსებობს ჩარევის და ინტერვენციის ისეთი ხერხები, რომლის დროსაც არანაირი ორგანული ზემოქმედება, დამატებითი წამლების სახით, არ არის საჭირო და რომ ამ წამლების გარეშე შეიძლება შედეგის მიღწევა. ხშირ შემთხვევაში ამას აიგივებენ ხოლმე, იგივე, შელოცვებთან, გარკვეულ რიტუალებთან და ა.შ., მაგრამ ამას არაფერი საერთო არ აქვს იმასთან, რაც ზემოთ აღვნიშნე.

ფსიქოლოგები ვთვლით, რომ ადამიანის ფსიქიკა არის ევოლუციის და განვითარების შედეგი და, უფრო მეტიც, ეს განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება. არსებობს ეტაპები, როდესაც დგება კრიზისის მომენტი. არც ერთი ადამიანი არ არის დაზღვეული იმისგან, რომ მას, ერთ დღესაც, არ დასჭირდება ფსიქოლოგის დახმარება. ეს ზუსტად იგივე პრინციპი გახლავთ, რასაც რუსთაველი გვასწავლის „ვეფხისტყაოსანში“ – „როს ექიმი დასწეულდეს“... თქმა იმისა, რომ „არასოდეს არაფერი დამემართება“ – არის ტყუილი, რადგან ერთ მშვენიერ დღეს, თუკი სახლში მივალ და ჩემი სახლი გადამწვარი დამხვდება, ჩემი ოჯახის წევრები კი – ამონყვეტილი, ასეთ შემთხვევაში, მე არ ვარ გარანტირებული, რომ ჩემი ფსიქიკა გაუძლებს ამ ტრავმას.

2006 წელს, როდესაც ტაილანდზე გადავლილმა ციკლონმა 300 000 ადამიანი შეიწირა, გერმანიაში პირადად მომიწია ურთიერთობა იმ ჯგუფის წარმომადგენლებთან, უკიდურესად კვალიფიციურ ადამიანებთან, რომლებიც ჩემი იქ ყოფნისას ვნახე. დატვირთვა იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ

დახმარების ჯგუფი ჰქონდათ შექმნილი და ტაილანდის ცუნამის მსხვერპლ ადამიანთა ნათესავებთან და ახლობლებთან მუშაობდნენ. არ დამავიწყდება, 2008 წლის აგვისტოს ომის დამთავრების შემდეგ, ის 40-მდე ადამიანი, რომლებიც ერთ დაძახილზე მოვიდნენ ჩვენთან (ახლა მინდა, მათ საჯაროდ მადლობა გადავუხადო) – ზოგი ჩემი ყოფილი სტუდენტი იყო, ზოგი უკვე კოლეგა, მედიცინის სფეროდანაც მობრძანდა 3 ადამიანი (ექიმი-ფსიქოთერაპევტები) და ეს 40 ადამიანი ორი კვირის განმავლობაში მუხლჩაუხრელად მუშაობდა, დაახლოებით, 30 000 ადამიანთან. ეს იყო ძალიან მძიმე სამუშაო. 10 დღის შემდეგ, როდესაც ჩვენ გვექონდა სამუშაო შეხვედრა, ჩვენდა უნებურად აღმოვჩნდით სიტუაციაში, როდესაც თავადვე გვეჭირდებოდა განმუხტვა, ამბების მოყოლა და ა.შ. შემდეგ უკვე UNICEF-მა დააფინანსა დიდი ჯგუფი, რომელიც 2008 წლის დეკემბრის ბოლომდე მშობლებს უწევდა კონსულტაციას, რადგან ბავშვების ქცევა იყო დარღვეული – ხშირ შემთხვევაში, 7 წლის ბავშვი ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც 3 წლისა (დედას კალთიდან ხელს არ უშვებდა). მაშინ დაინერა სპეციალური წიგნიც – თუ როგორ შეიძლება მოველოს ტრავმული გამოცდილების შედეგად ქცევის დარღვევას. ამ წიგნს მაღალი შეფასება მიეცა.

ახლა კი ვისაუბროთ იმაზე, თუ როდის უნდა ნავიდეს ადამიანი ან როდის უნდა გადანყვიტოს მშობელმა, რომ ბავშვი მიჰყავს ფსიქოლოგთან; და მეორე – როგორ უნდა შეამონმოს ადამიანმა ფსიქოლოგი, რომელსაც მიმართავს, საქმე იცის თუ არა.

პირველ რიგში, უნდა გვახსოვდეს, რომ „აბსოლუტური გამოჯანსაღება“, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სასწაულის მოხდენა და განკურნება“, ტერმინოლოგიურად, ფსიქოლოგიურ კონსულტაციაში და, ზოგადად, მედიცინაში უკვე აღარ იხმარება, რადგან – ეს არის ჩარევა, რომელიც აუმჯობესებს ადამიანის მდგომარეობას. მდგომარეობა შეიძლება გაუმჯობესდეს 99-100%-ით, მაგრამ, ტერმინოლოგიურად, ჩვენ არ ვხმარობთ სიტყვას – „აბსოლუტური გამოჯანსაღება“ – ეს იქნება საკუთარ თავზე ზედმეტი პასუხისმგებლობის აღება.

მეორე – როდესაც გასწორებაზეა საუბარი, სიტყვა - „კორექცია“ – არ გამოიყენება. ეს არის რუსული კალკი – დამკვიდრებული საქართველოში. კორექცია ეხება მხოლოდ შეურაცხად ადამიანებს, რომლებსაც ახასიათებთ კრიმინალური ქცევა (ისინი კრიმინალურ ქცევას სჩადიან არა იმის გამო, რომ კრიმინალები არიან, არამედ იმიტომ, რომ აქვთ ფსიქიკური პრობლემები). ყველა სხვა შემთხვევაში, ჩვენ ვსაუბრობთ ინტერვენციაზე, ჩარევაზე, რადგან იმისათვის, რომ განხორციელდეს პროცესი, აუცილებელია მეორე ადამიანის თანხმობა. ეს თანხმობა კი გულისხმობს იმას, რომ მეორე ადამიანი თანახმაა – გარკვეული პირობებით იმუშაოს ფსიქოლოგთან ან იმ ადამიანთან, ვისაც ფსიქოლოგიური კონსულტაციის განევა შეუძლია. ეს არის შემდეგი პირობები: ადამიანი თავისუფალია საკუთარ არჩევანში და პირობა არის ასეთი – ფსიქოლოგს შეუძლია მასთან ერთად მარტო გააანალიზოს პრობლემა, მაგრამ გადანყვეტილების მიღება მხოლოდ და მხოლოდ ამ კონკრეტული ადამიანის საქმეა. რატომ ვამბობ ამას? ძალიან ხშირად, როდესაც ფსიქოლოგებს ეუბნებიან – „გვიჩივთ რამე, როგორ მოვიქცეთ?“ – ფსიქოლოგები პასუხობენ: „აი, ეს არის რეცეპტი, როგორც უნდა მოიქცეთ“. ბოდიშს ვიხდი ჩემს კოლეგებთან, მაგრამ, შემოძლია ვთქვა, რომ დეილ კარნეგის წიგნზე უკეთესი ფსიქოლოგიური რეცეპტების წიგნი ჯერ არ დაწერილა და მეორე – ფსიქოლოგს არა თუ არ შეუძლია, არამედ არაეთიკურიც კია მეორე ადამიანს გამოუწეროს რეცეპტი, რადგან მან ძალიანაც კარგად იცის – კონკრეტულ სიტუაციაში ამ რეცეპტმა შეიძლება საერთოდ არ იმუშაოს. კარგი კონსულტანტის შედეგი რა არის? თუ რაიმე ქცევა არის შეფერხებული, ამ ადამიანმა თვითონვე შეხედოს ამ ქცევას და ნახოს – სად უჭირს, რა არის პრობლემა (ხშირ შემთხვევაში, ადამიანები ამას თვითონვე აკეთებენ). მოვიყვან ძალიან მარტივ მაგალითს: თუ თქვენ გავწყდებათ მეზობლისათვის ან მეგობრისათვის გარკვეული დანაპირების შესრულება, წყნარად, მშვიდად დაჯექით და საკუთარ თავს ჰკითხეთ – გინდათ, რომ ეს დანაპირები შეასრულოთ? თუ აღმოჩნდება, რომ ამ დანაპირების შესრულე-



ბა მაინც და მაინც არ გინდათ, მაშინ მოძებნეთ რაციონალური სხვა გზა, რომლის კვალობაზედაც თქვენ ან საკუთარ თავს ეტყვიტ – „არ მინდა, მაგრამ მაინც გავაკეთებ, რადგან უარყოფითი შეფასების მოსმენის თავი არ მაქვს“, ან კიდევ მიხვალთ იმ ადამიანთან და პირდაპირ ეტყვიტ – „იცით, მე ამას ვერ გავაკეთებ“. ორივე შემთხვევაში, საქმე გვაქვს საკუთარი თავის გაცნობიერებასთან სიმართლის კონტექსტში, როდესაც თქვენ თავს რეალურად ეუბნებით: გინდათ რაღაცის გაკეთება თუ არა. ანუ, სოციალურად სასურველ ქცევას კი არ ახორციელებთ, არამედ რეალურად აფასებთ – თქვენ გინდათ თუ არა ამის განხორციელება. მოდით, იგივე სიტუაცია კოგნიტურ-ბიჰევიორალური თეორიის კონტექსტში განვიხილოთ: აი, მაგალითად, თერაპევტი გისვამთ კითხვას: „კი მაგრამ, რატომ ავალდებულებთ თქვენ თავს, რომ, გინდა თუ არა, ეს უნდა გააკეთოთ?“ თქვენი პასუხია: „იმიტომ, რომ მთხოვეს“. თერაპევტი ისევ გეკითხებათ: „რასაც გთხოვენ, თვლით, რომ ყველაფერი უნდა შეასრულოთ?“ – „არა“ – პასუხობთ თქვენ. თერაპევტის კითხვაზე – „მაშინ, რისი თქმა გიჭირთ?“ პასუხი იქნება: „არას“ თქმა მეუხერხულდება“. ამის შემდეგ იწყება უკვე გაანალიზება – ეს „არა“ რას ნიშნავს? რატომ არის – „არა“ – უხერხული? თავისთავად – „არა“-ს – რატომ ვერ ვამბობთ? და ა.შ. აზრი დალაგდება იმის კვალობაზე, რომ, თურმე, მე მომიწევს ისეთ სიტუაციებშიც ყოფნა, სადაც – „არა“ – უნდა ვთქვა.

## როდის უნდა მიხვიდეთ ფსიქოლოგთან?

ფსიქოლოგთან მიდიხართ მაშინ, როდესაც ქცევის დარღვევებია. ბავშვებთან პრობლემის შემთხვევაში, როდესაც თვითცნობიერება არ არის ჯერ ჩამოყალიბებული, თერაპიული პროცესი მიმდინარეობს მშობელთან შეთანხმებით, ანუ ის არის მეურვე. ასეთ დროს ფსიქოლოგი და მშობელი ერთდროულად მუშაობენ: ფსიქოლოგი ბიჰევიორალურ სქემას იძლევა – თუ რა უნდა გააკეთოს ბავშვთან მშობელმა და შემ-


დეგ, კვირის განმავლობაში ხდება ამ მიმართების გადამონ-  
მება, გაუმჯობესება და ა.შ.

როდის უნდა მივიდეს ზრდასრული ფსიქოლოგთან?  
როდესაც მან ამონურა ყველა თავისი რესურსი და მიდის  
მეორე ადამიანთან ერთი პრინციპით – სპეციალისტთან ის  
შედის კონფიდენციალურ ურთიერთობაში; მის მიერ მოყო-  
ლილი ამბავი რჩება იქ. კონფიდენციალობა შეიძლება დაირ-  
ღვეს მხოლოდ 3 შემთხვევაში (ჩვენ ამის რეგულაციაც არ  
გვაქვს, მაგრამ ამ 3 პრინციპზე ყველა ქვეყანა თანხმდება) –  
1. როდესაც საქმე გვაქვს ძალადობასთან, რომელსაც მე, რო-  
გორც კლიენტი, ვახორციელებ; 2. როდესაც მე განზრახული  
მაქვს ვინმეს მკვლელობა; 3. როდესაც მე განზრახული მაქვს  
თვითმკვლელობა. კონფიდენციალობა ირღვევა მხოლოდ ამ  
სამ შემთხვევაში. ყველა სხვა შემთხვევაში, თქვენ რომ წაბრ-  
დანდეთ და გამოაცხადოთ – „ფსიქოთერაპიის დროს ამაზე  
და ამაზე ვილაპარაკე“, არც ერთი ფსიქოთერაპევტი და კონ-  
სულტანტი არ დაგიდასტურებთ ამას იმ მარტივი მიზეზის  
გამო, რომ კონფიდენციალობის დაცვა არის წინაპირობა  
წარმატებით განხორციელებული საქმიანობისა.

ჩემი სტუდენტები ხშირად მეკითხებიან – „თუკი მე ადა-  
მიანი მყავს მოკლული, მაშინ როგორ იქნება ჩემი საქმე?“  
ასეთ შემთხვევაში ჩემი პასუხია: „თუ თქვენ ადამიანი გყავთ  
მოკლული და ჩემთან, როგორც კონსულტანტთან, მოხ-  
ვედით იმის გამო, რომ კომარები განუხებთ, ჩემი საქმე და  
მოვალეობაა – თქვენ მოგეხმაროთ კომარებისგან გათავი-  
სუფლებაში, ხოლო კრიმინალური პოლიციის საქმეა – თქვენ  
დაგაკაონ, როგორც დანაშაულის ჩამდენი. მე მხოლოდ იმის  
თქმა მინდა, რომ ფსიქოლოგმა უნდა იცოდეს თავისი საქმე და  
მიხარია, რომ დღეს ახალგაზრდა პროფესიონალები თავადვე  
იწყებენ მოძრაობას იმისათვის, რომ სხვებმა, არაკვალიფიცი-  
ურმა ადამიანებმა არ მიითვისონ ძალიან საპასუხისმგებლო  
პროფესიის სახელი, რათა მათ, უბრალოდ, არ ავნონ მეორე  
ადამიანს. ვიმეორებ – ფსიქოლოგი არ არის ჯადოქარი. ის  
არის ჩვეულებრივი პროფესიონალი. ფსიქოლოგიური კონ-  
სულტაცია არის ხელობა, რომელსაც სჭირდება სწავლა და ამ

სწავლას სჭირდება 7-8 წელიწადი (ვგულისხმობ ბაკალავრიატსაც და მაგისტრატურასაც). ფსიქოლოგიური კონსულტაცია ეფუძნება თეორიულად და ემპირიულად შემონმებულ მონაცემებს, რომლებიც გვეუბნება – სად, რა, როგორ, როდის და რანაირად უნდა გამოვიყენოთ. ფსიქოლოგიური კონსულტაციის დროს არ ხდება სამედიცინო ჩარევა ანუ არ იწმინება წამალი! ეს ყველაფერი უნდა მეთქვა იმისათვის, რომ ვიცოდეთ – რა საფრთხეების წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ, როდესაც ვაკითხავთ არაპროფესიონალს.

## ნაციონალიზმი, როგორც ეთნოკონფლიქტების წყარო



**ზურაბ  
დავითაშვილი,**  
თსუ-ის  
სოციალურ და  
პოლიტიკურ  
მეცნიერებათა  
ფაკულტეტის  
პროფესორი

ჩვენი ლექციის თემა გახლავთ ნაციონალიზმი, როგორც ეთნოკონფლიქტების წყარო. შევეხებით ნაციონალიზმის ფენომენს, მის როლს დღევანდელ მსოფლიოში ისეთ გავრცელებულ მოვლენაში, როგორც გახლავთ ეთნოკონფლიქტები და კონკრეტულ მაგალითზე განვიხილავთ კავკასიის, კერძოდ, საქართველოს კონფლიქტებს ანუ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტების ნაციონალისტურ ძირებს. მე ხაზგასმით ვთქვი – ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური, თუმცა ყველამ ვიცით, რომ ეს მხოლოდ ფორმითაა ეთნოკონფლიქტები, შინაარსით კი ის პოლიტიკური კონფლიქტებია. მაგრამ რადგან, ზოგადად, ეს კონფლიქტები ასეთი სახელით არის გავრცელებული საერთაშორისო ლიტერატურაში, მეც ამ თვალსაზრისით მოვიხსენიე ისინი, როგორც ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები, მით

უფრო, რომ, თუ ნაციონალიზმის კუთხიდან შევხედავთ, აქ მართლა ძალიან მნიშვნელოვანია ამ კონფლიქტების ეთნიკური საფუძველი.

სანამ უშუალოდ საკითხს შევხებოდეთ, მოკლედ უნდა მიმოვიხილოთ ნაციონალიზმის ფენომენი და გავარკვიოთ – რა არის ნაციონალიზმი, როგორი და როგორი სახის ნაციონალიზმი არსებობს და რომელი ნაციონალიზმი არის განსაკუთრებით მაპროვოცირებელი ეთნიკური კონფლიქტების დროს. ნაციონალიზმის განმარტება საკმაო სირთულესთან არის დაკავშირებული, რადგან ეს ძალიან რთული მოვლენაა, რთული ფენომენია და იმის გამო, რომ ამ სიტყვის საფუძველში არის სიტყვა – „ნაცია“, ანუ ერი, აი, აქედან უნდა დავიწყოთ, რადგან თვითონ ერი, თვითონ ნაცია არის მრავალმნიშვნელოვანი ცნება. რასაკვირველია, შეიძლება ჩამოვთვალოთ ერის ნიშნები და ამის მიხედვით გავაკეთოთ დასკვნა ერის შესახებ, მაგრამ ახლა, ამჯერად, ჩვენ ამაზე არ შევჩერდებით, უბრალოდ, ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ სიტყვა – „ერი“, რაც ქართულში ნაციის სრული შესატყვისია, ან რუსული „НАЦИЯ“, ინგლისური „NATION“ (ნეიშენ), ფრანგული „NATION“ (ნასიონ), თავისი შინაარსით განსხვავებული ცნებებია იმისდა მიხედვით, რომელ ენაზეა ეს წარმოთქმული. ქართულ და რუსულ ენებში სიტყვა „ერს“, „ნაციას“ გააჩნია ეთნიკური დატვირთვა, ხოლო ინგლისურ და ფრანგულ ენებში მას ეთნიკური დატვირთვა არ აქვს – ის გახლავთ პოლიტიკური ცნება. შესაბამისად, ინგლისურად და ფრანგულად „NATION“ სინონიმია სახელმწიფოსი, მაშინ, როდესაც ქართულ და რუსულ ენებში, როდესაც „ერს“ ვამბობთ, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ ეთნიკურ ერთობას. ამას თავისი მიზეზები აქვს და ძალიან მოკლედ შევჩერდებით ამაზე.

მაგალითად საფრანგეთის შემთხვევა მინდა მოვიყვანო – ხშირად დაგვებადება ხოლმე კითხვა: ვთქვათ, რამდენი ფრანგი ფეხბურთელია საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში? ეს კითხვა რომ ფრანგს დაუსვათ, ის ვერც გაიგებს – რას ვეკითხებით, ის, უბრალოდ, გვეტყვის – 11, რა თქმა უნდა,

რადგან ფრანგული ენისათვის სიტყვა „ერს“ მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და გულისხმობს ქვეყნის მოქალაქეებს, მაშინ, როდესაც ამ სიტყვას ჩვენთვის ეთნიკური დატვირთვა აქვს და მიგვაჩნია, რომ ფრანგი არის ის, ვინც წარმოშობით არის ფრანგი, თუნდაც გარეგნობით, ენით, კულტურით და ა.შ. აი, ამგვარი განსხვავებაა და ამას თავისი მიზეზები აქვს. ეს განსხვავება განპირობებულია იმით, რომ ინგლისელების და ფრანგების შემთხვევაში, ჯერ შეიქმნა ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფო და მისმა მაცხოვრებლებმა შეადგინეს ერი, შესაბამისად, აქ არ ჰქონდა მნიშვნელობა – ვინ იყო ეთნიკურად ესა თუ ის მაცხოვრებელი. აქედან გამომდინარე, ყველა მოქალაქე ინგლისსა თუ საფრანგეთში იყო ინგლისელი ან ფრანგი ერის ნაწილი, მაშინ, როდესაც ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის, გერმანიაში ან იტალიაში, სახელმწიფომ კი არ შექმნა ერი, არამედ პირიქით, ერებმა შექმნეს სახელმწიფო. აქ ერმა სხვა მნიშვნელობა შეიძინა. კერძოდ, გაცნობიერება მოხდა, რომ ყველა, ვინც ვლასპარაკობთ გერმანულ ენაზე, ვინც ვართ გერმანული კულტურის მატარებელი, ვართ ერთი ერი და ამის შესაბამისად გვჭირდება ერთი სახელმწიფო, ანუ ჯერ თვითშეგნება ჩამოყალიბდა, რომ ვართ ერი და რაკი ერი ვართ, სახელმწიფო გვჭირდება. იგივე მოხდა იტალიაში და მთლიანად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

ამავე კატეგორიის ქვეყნებს მიეკუთვნება საქართველოც, რადგანაც ქართველი ერი ერის იმ მნიშვნელობით, როგორც დღეს მოიაზრებენ, საბოლოოდ ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნეში – მაშინ, როდესაც შეიქმნა ერთიანი სალიტერატურო ენა, ქართული სკოლები, პრესა, თეატრი და ერთიანი ეკონომიკური ბაზარი, რამაც ერთმანეთთან დააკავშირა ჩვენი ქვეყნის მანამდე ერთმანეთისგან გათიშული კუთხეები. ასე რომ, ერის ცნების ეს განსხვავება კარგად უნდა დავიმახსოვროთ, რადგან აქედან გამომდინარეობს ის განსხვავებული მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება ნაციონალიზმს ჰქონდეს. როდესაც ეთნიკური ერთობის საფუძველზე ერი ყალიბდება და შემდეგ ქმნის სახელმწიფოს, მასში წარმოქმნილი ნაციონ-



ნალიზში აუცილებლად ეთნიკური ხასიათის იქნება. ანუ, აქ საფუძველი გახლავთ ეთნოსი. ეთნოსი – ეს ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობაა, რომელსაც გააჩნია საერთო ენა, საერთო კულტურა, ტრადიციები, სისხლით ნათესაობა, საერთო წინაპრები, საერთო ისტორია, საერთო სიამაყე თუ საერთო სირცხვილი და ყველაფერი ეს ასახულია თვითშეგნებაში, ხოლო ეს თვითშეგნება გამოიხატება თვითსახელწოდებაში. ამის საფუძველზე, როდესაც ეს ერთობა, რომელიც არ არის პოლიტიკური ერთობა, გარდაიქმნება ერად, მაშინ ის იღებს უკვე პოლიტიკური ერთობის ფორმას და მას ქირდება თავისი სახელმწიფო. ასე რომ, როგორც დასავლეთში არის გავრცელებული და ბევრი მკვლევარი ამას იზიარებს, ერი, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ერთობა გახლავთ, ის შეიძლება იყოს მრავალეთნიკურიც და ამით განსხვავდება ეთნოსისაგან, რომელიც არ არის პოლიტიკური ერთობა, ის არის სოციალურ-კულტურული და, ნაწილობრივ, ბიოლოგიურ-გეოგრაფიული ერთობაც. აი, ასეთი ხალხების ნაციონალიზმი ატარებს ეთნიკური ნაციონალიზმის ფორმას, ნაციონალიზმისა, რომლის საყრდენიც, რომლის საფუძველიც არის ეთნოსი. მისგან განსხვავებით, იმ ხალხების ნაციონალიზმი, რომლებიც სახელმწიფომ ჩამოაყალიბა, გახლავთ სამოქალაქო ანუ ლიბერალური ნაციონალიზმი, სადაც საფუძველი, ძირი, განმსაზღვრელი ფაქტორი არის არა ეთნოსი, არამედ მოქალაქე. ანუ ერი, ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეთა ერთობაა, მოქალაქეთა კავშირია და, ასეთ შემთხვევაშიც, ნაციონალიზმიც სამოქალაქო-ლიბერალური ნაციონალიზმია, რომელიც პრაქტიკულად წარმოადგენს პატრიოტიზმის სინონიმს. ასეთი ნაციონალიზმისათვის ეთნიკური სხვაობა, ეთნიკური დაპირისპირება იშვიათია და, გარკვეული გაგებით, არც არსებობს. ამ ორი სახის ნაციონალიზმის შესადარებლად მოვიყვან ნაციონალიზმის ცნობილი მკვლევრის ჰანს კონის ე.წ. დიქტომიურ კლასიფიკაციას, სადაც გამოყოფილია ნაციონალიზმის ორი მიმართულება – დასავლური ნაციონალიზმი და აღმოსავლური ნაციონალიზმი. აღმოსავლურში არ იგულისხმება აზია ან აფრიკა, ეს არის

აღმოსავლეთ ევროპის ის ნაციონალიზმი, რომელზედაც ეს-ეს არის გელაპარაკეთ და პრაქტიკულად გულისხმობს ეთნიკურ ნაციონალიზმს (მოიცავს იტალიას, გერმანიას და აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს); ხოლო დასავლური ნაციონალიზმი გახლავთ ის ნაციონალიზმი, რომელიც ჩამოყალიბდა იმ ერებში, რომელიც სახელმწიფომ შექმნა, სადაც ნაციონალიზმი ლიბერალური და სამოქალაქო ტიპის არის და რომლისთვისაც უცხოა ეთნიკური საფუძველი. შესაბამისად, ასეთი ნაციონალიზმი გავრცელებულია დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, ანუ იმ ხალხებში, სადაც ჯერ სახელმწიფო ჩამოყალიბდა, ხოლო მისმა მოსახლეობამ, მისმა მოქალაქეებმა შეადგინეს შესაბამისი ერი.

რა განსხვავებაა ამ ორი ტიპის ნაციონალიზმს შორის? დასავლური ნაციონალიზმი ღია საზოგადოებაა, აღმოსავლური – ჩაკეტილი საზოგადოება. რატომ ღია საზოგადოება? ასეთ ნაციონალიზმში კარი ყველასათვის ღიაა. ფრანგი შეიძლება გახდეს ყველა, ვინც ამას მოინდომებს, ანუ საფრანგეთი გახსნილი არის ნებისმიერი მოქალაქისათვის, მაშინ, როდესაც გერმანული, ანუ აღმოსავლური ნაციონალიზმის მიხედვით, გერმანულად უნდა დაიბადო, ისე გერმანელი ვერ გახდება. მეორე ნიშანი დასავლურ და აღმოსავლურ ნაციონალიზმს შორის: დასავლური ნაციონალიზმისათვის დამახასიათებელია რეალისტური ხედვა – ვარ ის, ვინც ვარ და ვუყურებ მოვლენებს რეალისტურად; აღმოსავლური ნაციონალიზმი გახლავთ იდეალისტური ხედვა – ემყარება იდეალურ ერთობას, იდეალიზება ხდება ერის, როგორც რაღაც იდეალური მოვლენის, იდეალური ფაქტის. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, გაიდეალებულია წარსული და არსებობს რწმენა ნათელი მომავლისა, ანუ ერის თვითშეფასებაა: „დიდებული წარსული გვექონდა, ახლა გვიჭირს, მაგრამ მომავალში აუცილებლად გავბრწყინდებით“. მესამე მახასიათებელი დასავლური და აღმოსავლური ნაციონალიზმისა გახლავთ ის, რომ დასავლური საზოგადოება ინდივიდუალისტური საზოგადოებაა, ხოლო აღმოსავლური – კოლექტივისტური. დასავლური ნაციონალიზმი ემყარება პიროვნებას,

ადამიანს, მიუხედავად მისი ეთნიკური კუთვნილებისა; აღმოსავლური ნაციონალიზმი, როგორც კოლექტივისტური ნაციონალიზმი, ემყარება კოლექტივს, ამ შემთხვევაში – ეთნოსს. მეოთხე ნიშანი (ეს უკვე ვახსენეთ) არის ის, რომ დასავლური ნაციონალიზმი მოქალაქეთა კავშირი, მოქალაქეთა ერთობაა, ხოლო აღმოსავლური ნაციონალიზმი – ეთნიკური ერთობა, ეთნიკური კავშირია. კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი: დასავლური ნაციონალიზმი არის თვითდაჯერებული, გააჩნია მაღალი თვითრწმენა, მაშინ, როდესაც აღმოსავლურ ნაციონალიზმს ეს არ გააჩნია, მისთვის დამახასიათებელია არასრულფასოვნების კომპლექსი, შიში, რომ სხვა ჩაგრავს ან დაჩაგრავს, რომ სხვა ეცილება მას ამ ისტორიაში ან კულტურაში და, შესაბამისად, ეს ძალიან ნოყიერი ნიადაგია ეთნიკური კონფლიქტებისა. და ბოლოს, დასავლური ნაციონალიზმი ტრადიციულად ემყარებოდა ბურჟუაზიის მხარდაჭერას, მაშინ, როდესაც აღმოსავლური ნაციონალიზმი ეფუძნება არისტოკრატის და მასების (ორივე კონსერვატორული ძალაა) მხარდაჭერას. აი, ამ განმასხვავებელი ნიშნებიდან უკვე ჩანს, რომ ეთნიკური კონფლიქტები, დაპირისპირება დასავლურ ნაციონალიზმში უკიდურესად მცირეა მაშინ, როდესაც აღმოსავლურ ნაციონალიზმში ის შეიძლება ძალიან სერიოზულ საფრთხედ წარმოგვიდგეს. ეს არ ნიშნავს, რომ დასავლურ ნაციონალიზმში არ შეიძლება იყოს რაღაც ეთნიკური დაპირისპირება ან აღმოსავლური იყოს ეთნიკური დაპირისპირების გარეშე, მაგრამ, ზოგადად, კანონზომიერება ასეთია.

ახლა უკვე შეგვიძლია საუბარი დავიწყოთ კავკასიაზე, ჩვენს რეგიონზე. თავისთავად ცხადია და თავიდანვე ჩანს, რომ ამ რეგიონში ნაციონალიზმი აღმოსავლური ტიპის ნაციონალიზმია, რადგან კავკასიის ყველა ხალხი ჯერ, როგორც ეთნიკური ერთობა, როგორც ერი, ჩამოყალიბდა ისე, რომ სახელმწიფო არ ჰქონდათ და მხოლოდ შემდეგ შექმნეს სახელმწიფოები, მაგრამ მიუხედავად ამ მსგავსებისა, მათ შორის მაინც დიდი განსხვავებაა და ძალიან მოკლედ შევეხები ამ განსხვავებებს.

უპირველეს ყოვლისა, სომხური ნაციონალიზმი – ეს ნაციონალიზმის ყველაზე ძველი ფორმაა კავკასიის ხალხებს შორის, რადგან სომხური ნაციონალიზმი დიასპორული ნაციონალიზმია. ის ჩაისახა დიასპორაში, რადგან მე-11 საუკუნის შემდეგ სომხეთს სახელმწიფოებრიობა აღარ ჰქონდა. მთელს მსოფლიოში გაფანტულ სომხურ დიასპორას, რომელიც, ძირითადად, ვაჭრობითა და ხელოსნობით იყო დაკავებული და, შესაბამისად, მატერიალურად უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა, ჰქონდა განათლების მიღების საშუალება. მათში ადრე ჩამოყალიბდა ეროვნული ინტელიგენცია, ნაციონალიზმი კი ვერ ჩამოყალიბდება ინტელიგენციის გარეშე. ნაციონალიზმს ქმნიან ინტელექტუალები და, შესაბამისად, სომხური ნაციონალიზმიც ასეთნაირად ჩამოყალიბდა – დიასპორაში. შესაბამისად, დიასპორული ნაციონალიზმის მთავარი მიზანი იყო სომხეთის სახელმწიფოს ისტორიულ საზღვრებში აღდგენა. ამის გამო სომხური ნაციონალიზმისათვის დამახასიათებელი იყო ანტითურქული განწყობა, რადგან ისტორიული სომხეთის დიდი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაში იყო. ასე რომ, მიზნის მიღწევისათვის თურქეთთან წინააღმდეგობა გარდაუვალი იყო. ამავე დროს, მისთვის დამახასიათებელი იყო ლოიალობა რუსეთის სახელმწიფოს მიმართ, რადგან რუსეთი განიხილებოდა, როგორც სომეხი ხალხის მხსნელი.

რაც შეეხება აზერბაიჯანულ ნაციონალიზმს, ეს ყველაზე გვიანდელი ნაციონალიზმია, იმ გაგებით, რომ მუსლიმ ხალხებში მთავარი ღირებულება რელიგიაა და ეთნოსს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია. გარდა ამისა, აზერბაიჯანელები ცალკეულ ტომებად იყვნენ დაყოფილი და საერთო აზერბაიჯანული თვითშეგნება ძალიან გვიან ჩამოყალიბდა, პრაქტიკულად, მე-20 საუკუნის 20-იან, 30-იან წლებში, შესაბამისად, აზერბაიჯანული ნაციონალიზმი თითქმის მთლიანად საბჭოთა ფენომენია. აზერბაიჯანულ ნაციონალიზმში სამი ძირითადი მიმდინარეობა შეიძლება გამოიყოს: პირველი – აზერბაიჯანიზმი, რაც გულისხმობს აზერბაიჯანელი ერის კონსოლიდაციას (როგორც გითხარით, მე-20 საუ-

კუნემდე საერთო სახელწოდება არ არსებობდა). ანუ უნდა გაერთიანებულიყო არა მარტო აზერბაიჯანულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა, არამედ აზერბაიჯანში მცხოვრები სხვა მუსლიმი ხალხებიც, რომლებიც დაღესტნურ (ლეზგურ, ავარულ და სხვ.), თალიშურ და თათურ (ირანული წარმოშობის ენებია), ქურთულ, ქართულ (მუსლიმი ინგილოები) ენებზე ლაპარაკობდნენ. ასე რომ, აზერბაიჯანელი ერის ჩამოყალიბება მრავალეთნიკურ საფუძველზე მოხდა, მაგრამ ამ ხალხებმა თითქმის სრული ასიმილაცია განიცადეს. აზერბაიჯანიზმი, ასევე, დაკავშირებულია იმ პრობლემასთან, რომ აზერბაიჯანელები გაყოფილი ხალხია: მათი დაახლოებით 2/3 ირანში ცხოვრობს, შესაბამისად, აზერბაიჯანული ნაციონალიზმი უარს არ ამბობს შორეულ პერსპექტივაში მიაღწიოს მიზანს – ჩრდილოეთ და სამხრეთ აზერბაიჯანის ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანებას.

მეორე მიმდინარეობა გახლავთ თურქიზმი. ამის აშკარა წარმომადგენელი იყო აბულფაზ ელჩიბეი – აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ლიდერი და შემდეგ აზერბაიჯანის პრეზიდენტი, რომელიც ლამის უარყოფდა ცალკე აზერბაიჯანელი ერის თუ აზერბაიჯანული ენის არსებობას, მიაჩნდა რა აზერბაიჯანული თურქულ ენად და მიზანიც ჰქონდა – ისეთი ინტეგრაცია თურქეთთან, რომ მომავალში შესაძლებელი ყოფილიყო ერთი სახელმწიფო ჩამოყალიბებულიყო. ამიტომ ლოზუნგი, რომელიც, სხვათა შორის, აზერბაიჯანში თურქეთთან მიმართებაში დღესაც პოპულარულია, გახლავთ ასეთი – „ერთი ერი – ორი სახელმწიფო“, ანუ თურქეთი და აზერბაიჯანი.

მესამე მიმდინარეობაა პან-თურქიზმი, როდესაც აზერბაიჯანელები მოიაზრებიან დიდი თურქული ერთობის ნაწილად, რომელიც აერთიანებს ყველა თურქულენოვან ხალხს – დაწყებული თურქეთიდან, დამთავრებული ტუვეთა და ხაკასეთით ციმბირში. ესეც აზერბაიჯანული ნაციონალიზმის ერთ-ერთი, თუმცა ყველაზე სუსტი ფორმა გახლავთ.

რაც შეეხება ქართულ ნაციონალიზმს, იგი მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა. ეს თერგდალეულების დამსახურებაა

და, კონკრეტულად, ილია ჭავჭავაძისა, რადგან, პრაქტიკულად, ყველა აუცილებელი ნიშანი, რომელიც ერს უნდა ჰქონდეს, ილიას და მისი თანამებრძოლების ძალისხმევის შედეგია. ვგულისხმობ ერთიან ლიტერატურულ ენას, რომელიც აუცილებელია ერის კონსოლიდაციისათვის, თანაც ენა ყველასათვის გასაგები უნდა ყოფილიყო და არა ძველი, არქაული, რომელიც მხოლოდ მაღალ ფენებს ესმით. დიდია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წვლილი, რადგან განათლების გარეშე ერი ვერ ყალიბდება, რადგან შეუძლებელია საკუთარი ისტორიის, საკუთარი გეოგრაფიის, საკუთარი ლიტერატურის ცოდნის გარეშე ერის განვითარება. ილიას მხარში ედგა იაკობ გოგებაშვილი, რომლის „ბუნების კარმა“ და „დედა ენამ“ უდიდესი როლი ითამაშა პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდობის აღზრდასა და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, პრესის გარეშე ერის ჩამოყალიბება არ ხდება და სწორედ ილიას „ივერიამ“ ითამაშა უდიდესი როლი ქართველი ერის შეკავშირება-კონსოლიდაციაში. ასევე, თუ არ არსებობს ერთიანი ეკონომიკური ბაზარი, თუ არ არსებობს საწარმოო კავშირები მთელი ერის წარმომადგენლებს შორის, მაშინ ერი დაქუცმაცებული დარჩება და ერად ვერ ჩამოყალიბდება. ამისათვის საჭირო იყო საკმაოდ ძლიერი ეკონომიკური საფუძველი და აი, სათავადაზნაურო ბანკი, რომლის თავმჯდომარეც თავად ილია იყო, სწორედ ამ როლს თამაშობდა.

ამავე დროს, მინდა ხაზი გავუსვა ერთ ფაქტს: ერი ჩამოყალიბებაში გარკვეულ სტადიებს გაივლის, მათ შორის, ჯერ მთავარია კულტურული ერთობა – საერთო ენა, საერთო განათლების სისტემა, გაზეთი, თეატრი და ა.შ., მეორე ეტაპზე უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური ერთობა და ერი მიზნად ისახავს თავის გარდაქმნას პოლიტიკურ ერთობად ანუ სახელმწიფოდ. ამის შემდეგ, უკვე მესამე ეტაპზე მოითხოვს ერი თავის სახელმწიფოებრიობას. ილიამ, როცა 24 წლის ახალგაზრდამ, თავის „მგზავრის წერილებში“ გამოთქვა კლასიკური ფრაზა – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნესო“, ამის შემდეგ მას საჯაროდ აღარასოდეს განუტყუებია საქართ-

ველოს დამოუკიდებლობის იდეა, რადგან კარგად იცოდა, რომ ჯერ უნდა შეიქმნას ერი, ჯერ გასავლელი იყო ის ყველა ნაბიჯი, რომელზედაც მე მოგახსენეთ და რაც თვითონაც ძალიან კარგად გამოხატა თავის სიტყვებში: „შეუძლებლის პოტინი შესაძლებელსაც დაგვაკარგვინებს“. მინდა აქვე ხაზი გავუსვა, რომ ქართული ნაციონალიზმი არ ყოფილა მიმართული რომელიმე სხვა ხალხის წინააღმდეგ. ეს იყო თავიდანვე გამათავისუფლებელი, გამაერთიანებელი ნაციონალიზმი და მიზნად არ ისახავდა რომელიმე ხალხის წინააღმდეგ გამოსვლას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა სომხური ბურჟუაზიის ხელში იყო; მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, პრაქტიკულად, რუსეთის კოლონია იყო, ანუ ქართული ნაციონალიზმი რუსი და სომეხი ხალხის წინააღმდეგ არასოდეს ყოფილა მიმართული.

მდგომარეობა მაინც შეიცვალა მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის კონტურები გამოიკვეთა. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, რუსეთის მაშინდელი ცენტრალური ხელისუფლება ამოქმედდა. რას ვგულისხმობ ამოქმედებაში? რუსეთის იმპერიაში ქართველები არასაიმედო ხალხად მიიჩნეოდნენ, რადგან ქართველები იყვნენ ის ერთადერთი ხალხი (თუ პოლონელებს არ ჩავთვლით), რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი სახელმწიფო, როდესაც ისინი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ. ამიტომ ამ სახელმწიფოს აღდგენა, ადრე თუ გვიან, დადგებოდა. შესაბამისად, ამიტომ არ ენდობოდნენ რუსები ქართველებს, მიაჩნდათ რა ისინი არასაიმედო ხალხად და გარკვეულ პოლიტიკასაც ატარებდნენ, უპირველეს ყოვლისა, თავად-აზნაურების მიმართ. ვგულისხმობ ლოიალურ დამოკიდებულებას, ჩინ-მედლების დარიგებას, მაღალი თანამდებობების მიცემას იმპერიის კარზე და სხვ. მაგრამ მაინც გარდაუვალი იყო ის, რაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ძალიან გააქტიურდა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის იდეად იქცა.

აქ საჭირო იყო ამუშავებულიყო რაღაც გარკვეული მექანიზმი და ასეთი მექანიზმი მართლაც იქნა ამუშავებული. ეს



იყო აფხაზური ნაციონალიზმის შექმნა (ჯერ კიდევ მაშინ, მეფის რუსეთის დროს). ძალიან საინტერესო ფაქტია, რომ აფხაზური ნაციონალიზმის სათავეებთან სწორედ რუსი მოხელეები იყვნენ. კავკასიის ომების შემდეგ აფხაზებს ჰქონდათ მოღალატე ხალხის სტატუსი, მათ ეკრძალებოდათ ზღვისპირა ზოლში ცხოვრებაც კი. აფხაზების დაახლოებით ნახევარი გადასახლებული იქნა თურქეთში. და აი, მე-20 საუკუნის დასაწყისში, უეცრად, ეს სტატუსი მოეხსნათ და რუსი ავტორების ნაწარმოებებში (ნაწარმოებსაც ვერ ვუნოდებთ მათ), ცალკეულ სტატიებში ხაზი ჰქონდა გასმული იმას, რომ აფხაზებს საერთო არაფერი აქვთ ქართველებთან, რომ აფხაზეთი საქართველო არ არის და ა.შ. ახლა შემიძლია მოვიყვანო ერთი-ორი მაგალითი იმისა, რომ თვითონ აფხაზური დამწერლობის შექმნა და აფხაზური ენისთვის გარკვეული სტატუსის მიცემა – ეს რუსეთის ინიციატივა იყო და გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. ცნობილი რუსი მეცნიერის და ევრაზიანიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ტრუბეცკოის სიტყვებს გავიხსენებ (შეიძლება სიტყვები ზუსტად არ მახსოვდეს), რომ აფხაზური ენის შემოღება იმისათვის არის საჭირო, რომ ხელი შევუშალოთ ქართული ენის დამკვიდრებას აფხაზეთშიო, ამიტომ უნდა წავახალისოთ აფხაზური საზოგადოება და, პირველ რიგში, ახალგაზრდა აფხაზური ინტელიგენცია, რომ ისინი წინ აღუდგნენ გაქართველების საფრთხესო. მეორე ავტორი ვედენბაუმი ასეთ რამეს წერს, რომ აფხაზური ენა, რა თქმა უნდა, ვერ შეასრულებს რაიმე სახელმწიფო ენის ფუნქციას, ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომელმა ენამ უნდა დაიკავოს ეს ადგილი და თუ აფხაზურ ენას შემოვიღებთ, მაშინ იმის გამო, რომ ის ამ ფუნქციას ვერ შეასრულებს, შეიცვლება სახელმწიფო ენით ანუ რუსულითო. აი, აქედან იწყება აფხაზური ნაციონალიზმი, რომელიც თავიდანვე დაპირისპირებაში იყო ქართულ ნაციონალიზმთან. და როდესაც ვლადპარაკობთ აფხაზურ ნაციონალიზმზე, რომელიც თავისი შინაარსით ანტიქართულია, სწორედ ეს ჩადო რუსეთმა და შემდეგ საბჭოთა კავშირმა, რომ აფხაზური ნაციონალიზმი ყოფილიყო მთავარი ფაქტორი აფხაზების ქართველებთან დაპირისპირებაში.

რაც შეეხება ოსურ ნაციონალიზმს, აფხაზეთისგან განსხვავებით, ის, რომ ოსური მოსახლეობა აქ გვიან მოვიდა და ჩრდილო-კავკასიიდან გადმოსახლდა, თვით ოს მეცნიერებსაც არ შეუტანიათ ამაში ეჭვი. საქართველოში დამკვიდრებულ ოსებს (ვგულისხმობ ცხინვალის რეგიონს, ყოფილ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს) მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ჰქონდათ ეგრეთ წოდებული ხიზნების სტატუსი. ხიზანი შემოხიზნულია, რომედლიც მიიღეს ადგილობრივმა თავადებმა, ის მუშაობდა მინაზე, ტყეში, ანუ ამ საქმეს აკეთებდნენ და, ფაქტობრივად, უფასო მუშა-ხელი იყო. და აი, XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიამ მათ ხიზნების სტატუსი მოუხსნა და სახაზინო გლეხების სტატუსი მიანიჭა. ყოფილი ხიზნები უშუალოდ იმპერატორს დაქვემდებარებული გლეხები გახდნენ, რამაც ძალიან დიდი კმაყოფილება გამოიწვია ოსურ მოსახლეობაში. შესაბამისად, ეს შემდეგაც გახდა ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ ოს მოსახლეობაში პრორუსული და ანტიქართული განწყობა ყოფილიყო. ამიტომ, როდესაც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოცხადდა 1918 წელს, ოსებმა ყველაზე მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს საქართველოს დამოუკიდებლობას. ცნობილია სამი აჯანყება. 1920 წლის აჯანყება სასტიკად იქნა ჩახშობილი, რამაც ძალიან დაძაბა ოსურ-ქართული ურთიერთობა. ანტიქართული აჯანყებისადმი მაღლიერება ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ იმით გამოხატა, რომ 1922 წელს შუაგულ საქართველოში შექმნა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი. რაც შეეხება აფხაზეთს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ბოლშევიკებმა ჯერ აფხაზეთი საერთოდ გამოყვეს და შექმნეს მოკავშირე რესპუბლიკა, შემდეგ ამ რესპუბლიკას საქართველოსთან ხელშეკრულებით დაკავშირებული რესპუბლიკის სტატუსი მიანიჭეს, ხოლო 1931 წლიდან საქართველოს შემადგენლობაში მყოფ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნეს. აფხაზეთი ხშირად უსვამდნენ ხაზს იმას, რომ ეთნიკურად ქართველებმა – სტალინმა, ორჯონიკიძემ და ბერიამ რამდენჯერმე დაწიეს აფხაზეთის სტატუსი, შექმნეს რა ჯერ მოკავშირე რესპუბლიკა, მერე

საქართველოსთან ხელშეკრულებით დაკავშირებული რე-სპუბლიკა და ბოლოს საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური რესპუბლიკა.

ასე რომ, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დაპირისპირების საფუძველი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდამდე ჩამოყალიბდა. დღეს, როდესაც ამ დაპირისპირებამ მიიღო კატასტროფული ხასიათი და სახეზე გვაქვს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია და აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარება რუსეთის მიერ, ამის მიზეზებს ახლა მაინც უნდა მივაქციოთ ყურადღება. რა თქმა უნდა, ძირითადი მიზეზი რუსეთის ფაქტორია, მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა ერთ რამეს, რომ რუსეთის გარეშეც კი უკვე ეს დაპირისპირება გარდაუვალი იყო, სამწუხაროდ, რადგან ქართველების, აფხაზების და ოსების ნაციონალიზმი, ნაციონალური იდეა, ნაციონალური პროექტი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია.

უბრალოდ დავსვათ კითხვა: რა არის აფხაზეთი? რა არის სამხრეთ-ოსეთი? რა არის საქართველო? თითოეული ამ ერის წარმომადგენელი სხვადასხვანაირად გვიპასუხებს: ქართველისათვის აფხაზეთი არის საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, ისევე როგორც იმერეთი, გურია და ა.შ. აფხაზისათვის აფხაზეთი საერთოდ სხვა ქვეყანაა, მას რეალურად საქართველოსთან კავშირი არ აქვს, თუ არ ჩავთვლით, რომ ძალით შეიყვანეს საქართველოს შემადგენლობაში. აი, ზუსტად ასე ასწავლიან აფხაზ ბავშვებს აფხაზეთის ისტორიას. შუა საუკუნეებშიც კი, როდესაც აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, იქ აფხაზეთი მოხსენიებულია არა როგორც საქართველოს ნაწილი, არამედ როგორც ორი სახელმწიფოს გაერთიანება – აფხაზთა და ქართველთა სახელმწიფოს გაერთიანება. რაც შეეხება ოსებს, მათი ხედვა ასეთია – ოსეთი გაყოფილი ქვეყანაა, უკვე დავინწყებულია ის, რომ მოსახლეობა მიგრირებულია ჩრდილოეთ კავკასიიდან, ძირითადად, მე-18, მე-19 საუკუნეებში. მათი აზრით, ოსური დასახლებების ჩრდილოეთი ნაწილი რუსეთის შემადგენლობაში იყოს და სამხრეთი ნაწილი – საქართველოს შემადგენ-

ლობაში, ალოგიკურია და რომ ოს ხალხს აქვს გაერთიანების უფლება, როგორც გერმანიას ჰქონდა უფლება გაერთიანებისა, როგორც კორეას აქვს გაერთიანების უფლება და ა.შ. აი, აქედან ვხედავთ, რომ ეს ორი პროექტი – აფხაზურიც და ოსურიც, სრულიად შეუსაბამოა ქართულ პროექტთან შედარებით, სადაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არის საფუძველი არა მარტო ქართული ნაციონალიზმისა, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობისა. ქართველი მოსახლეობის უმრავლესობისთვის სამხრეთ-ოსეთი არარსებული ცნებაა, სახელწოდება მოგონილი იქნა კომუნისტების, ბოლშევიკების მიერ და ის ტერიტორია, რომელიც ყოველთვის შიდა ქართლის ნაწილი იყო, უცბად ოსეთად იქცა.

როდესაც ასეთი დაპირისპირებაა, ასეთი პრობლემის მოგვარება განსაკუთრებით რთულია, მით უფრო, რომ რუსეთი ძალიან მოხერხებულად იყენებს ამ დაპირისპირებას თავისი მიზნების განსახორციელებლად.

ასე რომ, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ეთნოკონფლიქტებზე ვსაუბრობთ, ჩვენ აუცილებლად უნდა გვექონდეს მხედველობაში, რომ არა მხოლოდ რუსეთის გამოა ეს კონფლიქტი, არამედ, პირველ რიგში, იმის გამო, რომ აფხაზურ და ოსურ მოსახლეობაში ისეთი ნაციონალიზმი ჩამოყალიბდა, რომელიც თავისი შინაარსით ქართულ ნაციონალიზმს და საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობას უპირისპირდება. ასეთი კონფლიქტის მოგვარება კი მართლაც ძალიან ძნელია და ეს დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

## ტრადიციული ქართული სულიერი კულტურა



**როზეტა  
გუჯაჯიანი,**  
თსუ-ის  
ჰუმანიტარულ  
მეცნიერებათა  
ფაკულტეტის  
ასოცირებული  
პროფესორი,  
ეთნოლოგი

ტრადიციული ქართული კულტურა მრავალი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა და თანამედროვე სახით და ფორმით იგი დღესაც ცოცხალია. ტრადიციული კულტურა ეწოდება, ზოგადად, ისეთ კულტურას, რომელიც ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე არის გავრცელებული, დომინანტური ამა თუ იმ ეთნოსში ან ეთნოსის რომელიმე შიდა ერთეულში, მაგალითად რომელიმე ეთნოგრაფიულ (ლოკალურ-ტერიტორიულ) ჯგუფში. ქართველები ძალიან დიდი ისტორიის მქონე ეთნოსი ვართ. ჩვენი ეთნოგენეზი იწყება შორეულ წარსულში, რაც დასტურდება ანტიკური ხანის ბერძნული, ასურული, ურარტული წერილობითი წყაროებით, ადგილობრივი არქეოლოგიური არტეფაქტებით და სრულდება მეფე ფარნავაზის მოღვაწეობის ხანაში, ფარნავაზისა და ქუჯი ერისთავთ-ერისთავის დიდი ღვაწლით, როდესაც ქართველები ვართ უკვე ერთიანი ეთნოსი, ქართველი ეთნოსი.

ქართველი ეთნოსის ჩამოყალიბებიდან დღემდე გასულია მრავალი საუკუნე. შეიცვალა ეპოქალური კულტურა, ფორმაციები და, ბუნებრივია, რომ ქართული ტრადიციული და, მითუმეტეს, ქართველთა ტრადიციული სულიერი კულტურაც შეიცავს მრავალ ისტორიულ შრეს, ანუ ფენას. ტრადიციული ქართული სულიერი კულტურა ვითარდებოდა ეპოქათა შესაბამისად, იგი ხშირად ტრანსფორმირდებოდა, ხოლო კულტურის ზოგიერთი ფაქტი სულაც ქრებოდა ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე, მაგრამ ზოგადი ქართული კულტურა გადაარჩა და კრებითი სახით მაინც მოაღწია დღემდე. ტრადიციული ქართული კულტურის ყველა ეტაპის შესწავლა, დღიდან მისი დასაბამისა (არქაული ხანა, ანტიკური პერიოდი, შუა საუკუნეები და მეცხრამეტე საუკუნე, თავისუფლების მცირე მონაკვეთი, საბჭოთა ეპოქა, პოსტსაბჭოთა საქართველო და თანამედროვე ვითარება) – არის დიდი გამოცდილების მქონე ქართული ეთნოლოგიური სკოლის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება და მიზანიც.

მოგეხსენებათ, 2018 წელს ჩვენს უნივერსიტეტს და, ზოგადად, ქართულ ეთნოლოგიურ სკოლასაც 100 წელი შეუსრულდა, ისევე, როგორც ქართულ სახელმწიფოს. მთელი ამ ხანგრძლივი ეპოქის განმავლობაში, ქართველი ეთნოლოგები შეისწავლიდნენ ტრადიციულ ქართულ სულიერ კულტურას, მატერიალურ კულტურას, სოციალურ კულტურას – განვითარების ყველა ეტაპზე.

ჩვენ შეგვიძლია ტრადიციული ქართული კულტურა დავყოთ რამდენიმე ეტაპად. ეს ეტაპები, ბუნებრივია, შეესაბამება ამა თუ იმ ისტორიულ ხანას და ამა თუ იმ ეპოქას. ქართველთა უძველეს ტრადიციულ სულიერ კულტურაზე მსჯელობა შეგვიძლია მხოლოდ არქეოლოგიური მასალის საფუძველზე; იმ არქეოლოგიური არტეფაქტების ისტორიულ-ეთნოგრაფიული ანალიზის საფუძველზე, რომელიც აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე ან ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე (რომლის დიდი ნაწილი, სამხუხაროდ, დღეს ჩვენი სახელმწიფოს შემადგენლობაში აღარ შედის). გარდა ამისა, მოგვეპოვება ძალიან მდიდარი საის-

ტორიო წყაროები, რომელსაც ჩვენი უცხოელი მეზობლები ქმნიდნენ და აღწერდნენ მათი თანადროული საქართველოს ყოფასაც და კულტურასაც. ამ მხრივ აღსანიშნავია ძველი ბერძნული წყაროები, ასურული წყაროები, ურარტუელთა წყაროები... არსებობს გარკვეული ინფორმაცია საქართველოს შესახებ ხათურ და ხეთურ წყაროებში და ა.შ. – ეს საისტორიო ძეგლები ძალიან საინტერესო ცნობებს გვანვდის ჩვენს წარსულ სულიერ კულტურაზეც. ფაქტია, რომ ქართველები, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მეტად საინტერესო რეგიონში ვცხოვრობდით. ეს არის კავკასიის რეგიონი, რომელიც ევრაზიის გასაყარზე მდებარეობს. შესაბამისად, ქართულ ცივილიზაციას, ქართულ კულტურას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კულტურასთან, ის ნაწილია დიდი ხმელთაშუაზღვისპირა ცივილიზაციისა. ხოლო ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ჩვენ უკვე გამოკვეთილი სახით ევროპული ცივილიზაციის და ევროპული ქრისტიანული კულტურის ნაწილად ჩამოვყალიბდით. ამიტომ, გვაქვს რა ასეთი ხანგრძლივი ისტორია, საუბარი დავიწყოთ ჩვენს უძველეს კულტურულ გამოცდილებაზე, რასაც, პირობითად, მეცნიერებაში არქაულ სულიერ კულტურას უწოდებენ. არქაული ხანა – ეს არის პერიოდი, როდესაც ყალიბდება რელიგიის პრიმიტიული ფორმები ნებისმიერ ეთნიკურ ან ლოკალურ ჯგუფში, ნებისმიერ საზოგადოებაში. მოგვეპოვება ძალიან მნიშვნელოვანი არქეოლოგიური არტეფაქტები, რომელთა ეთნოლოგიური ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს – მაგალითად, კერის საკულტო მნიშვნელობას ტრადიციულ ქართულ საცხოვრისში, ავლენს ქართველთა წინარე ქრისტიანულ სატაძრო კულტურას, სხვადასხვა სახის ტაძრებს, საკურთხევლის წინ ჩაფლულ ქვევრებს, რომლებიც, როგორც ჩანს, უძველეს ხანაშიც ღვთისადმი შეწირული ღვინით ივსებოდა. იქვე არის სხვადასხვა სარიტუალო საგნები (რომელსაც მრავალგვარი დატვირთვა და ფუნქცია ჰქონდა უძველეს წარსულში), ქართული ორნამენტის უძველესი სახეები, ვერცხლის თასებზე ან ბრინჯაოს სარტყლებზე ამოკვეთილი სარიტუალო სიუჟეტები და რიტუალური სიმბოლიკა და ა.შ.



რის საფუძველზე ვმსჯელობთ, ამ შემთხვევაში, მეცნიერები? ეს არის მეცნიერების სამი დარგის სინთეზი, რომელიც აღადგენს წარსულ გამოცდილებას: პირველ რიგში, თვითონ არქეოლოგიური აღმოჩენა, რეალურად არსებული მატერიალური ნივთი და ამ მატერიალური ნივთის სოციალური და სულიერი ასპექტები, რაც შეისწავლება ისტორიკოსთა და, განსაკუთრებით, ეთნოლოგთა მიერ. ანუ ფაქტების რეკონსტრუირებით ჩვენ გადავდივართ შორეულ წარსულში და ვავსებთ ინფორმაციას იმდროინდელი საზოგადოების, არქაული აზროვნების სისტემის, არქაული რელიგიური სისტემის, იმდროინდელი ადამიანის, ზოგადად, სააზროვნო სისტემის შესახებ. ამ თვალსაზრისით, ეთნოლოგებს და კულტურის ისტორიკოსებს ბევრი საინტერესო ნაშრომი მოგვეპოვება. არქაულ ხანებშივე ყალიბდება სარიტუალო სიმბოლოთა ის ჩამონათვალი, რომელიც ჩვენ დრომდეც ნაწილობრივი სახით მაინც არის მოღწეული. ამ პერიოდშივე ყალიბდება აზროვნების ის სისტემა, რომელსაც მეცნიერებაში მითოლოგიური აზროვნება ეწოდება. მითოლოგიური აზროვნების არა ერთი ელემენტი, ცოცხალი სახით, დღევანდელ ყოფაშიც არის შემორჩენილი. მითოლოგია თავის თავში შეიცავს უძველესი ადამიანის აზროვნების სისტემის იმ გამომხატულებებს, რომლითაც ადამიანი მსჯელობდა სამყაროსა და ადამიანის, როგორც ასეთის, შექმნაზე – ამ მხრივაც ძალიან ბევრი საინტერესო გადმოცემა არის ქართულ კულტურაში შემონახული. ბევრი მასალაა შემონახული ადამიანის ურთიერთობისა ღვთიურ ძალასთან, სამყაროს სამივე სკნელის მაკავშირებელი სიცოცხლის ხის ვარიაციები, რომლითაც მინიერი სამყარო ღმერთს, ღვთიურ სამყაროს უკავშირდებოდა. სიცოცხლის ხის არაერთი გამოსახულება გვხვდება დღევანდელ ყოფაშიც, თანამედროვე ინტერიერშიც კი – ეს არის დედაბოძზე, ბუხრის პირებზე შესრულებული, საფლაგზე ამოკვეთილი სიცოცხლის ხის გამოსახულებები. სიცოცხლის ხის, როგორც უძველესი სააზროვნო სისტემის, უმნიშვნელოვანესი სიმბოლოს შესწავლით ადრიდანვე დაინტერესდნენ ჩვენი მეცნიერები, რადგან ეს საკითხი ძალიან კარგი კუთხით და

საინტერესო ფორმატით წარმოაჩინდა ქართველთა არქაულ რელიგიურ ასპექტებს. ამ თვალსაზრისით, ქართული სიცოცხლის ხე მსგავსია აღმოსავლური სიცოცხლის ხეებისა, მსგავსია ხათური, შუმერული, ასურული კულტურის და შემდგომ სირიული კულტურის მრავალფეროვანი ელემენტებისა და, აგრეთვე, დასავლური კულტურისაც. ასეთივე ძალიან მნიშვნელოვანი არქაული სიმბოლო ქართულ ცნობიერებაში იყო ხარის სიმბოლო, ირმის სიმბოლო, რომელთაც მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინეს შემდგომ ეპოქებშიც.

საინტერესოა ანტიკური ხანის ქართული სულიერი კულტურა. ამ შემთხვევაში უფრო მეტი წყარო მოგვეპოვება, რადგან ამ ყველაფერზე უკვე უცხოელი მოგზაურები, ისტორიკოსები (მაგალითად, ჰეროდოტე, სხვა ბერძენი და რომაელი სწავლულები) მოგვითხრობენ. მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია არის დაცული ქართველთა კულტურაზე ასურულ და ურარტუელთა წყაროებშიც. ანტიკური პერიოდის დასრულების შემდგომი ახალი ეპოქის საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ტრადიციული სულიერი კულტურის ბოლო ეტაპი თვალსაჩინოადა აღწერილი ქართულ საისტორიო ძეგლში – წმინდა ნინოს ცხოვრებაში. „ქართლის ცხოვრების“ ერთი კონკრეტული თემა და ავტორი აღწერს წინარე ქრისტიანული პერიოდის ქართველთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს და მთავარ ხალხურ დღესასწაულს. ეს ხალხური დღესასწაული მცხეთაში, ჩვენს იმდროინდელ დედაქალაქში სრულდებოდა და მკითხველს თვალწინ გადაეშლება ამ დღესასწაულის აღწერილობა – წმინდა ნინოს თვალთ დანახული. წმინდა ნინო ხედავს, რომ ერთ დღეს საზეიმოდ თეთრებში გამოწყობილი მთელი ქართლის მოსახლეობა ყვავილებით მიემართება არმაზის წმინდა გორისაკენ. ხალხის ამ ტალღას თვითონაც გაჰყვება და ყველანი მიადგებიან არმაზის მთას, სადაც წმინდა ნინო დაინახავს, რომ დგას მთავარი კერპი არმაზი, იმდროინდელ ქართველთა მთავარი ღვთაება თავისი დამხმარე ორი დარგობრივი ღვთაებითურთ... დღესასწაულის კულმინაციას ქმნის მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას გამობრძანება. ამ დროს გაისმის წინწილისა და ბუკის

ხმა. ანუ, იკვეთება ძალიან საინტერესო მასალა, რომ ამ წინ-არე ქრისტიანულ ხანაშიც კი არსებობდა ტრადიციული ქართული ხალხური დღესასწაული და რომ ქართველებს გვქონდა ჩვენი საკუთარი ორიგინალური, ეროვნული რელიგია, რომლის გამოხატულება იყო ეს შესანიშნავი დღესასწაული. საინტერესოა ისიც, რომ უკვე ამ ძველ ხანაშიც გვქონდა მდიდარი ეთნო-მუსიკალური გამოცდილება, რაც ამ საკრავებით და მათი საზეიმო გახმოვანებით არის გამოხატული. ეს შემდგომ ყველა ეპოქის ქართული დღესასწაულის თანმხლები ელემენტიც არის, რადგან დღესაც კი ნებისმიერი ხალხური დღესასწაული აუცილებლად სრულდება ხალხური საგალობლების თანხლებით, ხალხური ფერხულების თანხლებით... ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, მე-20 საუკუნის დასაწყისშიც კი საქართველოს მთიანეთში შემონახული იყო სარიტუალო ბუკები და საყვირები, რომლებიც ეკლესიებში ან სასოფლო მოედნებზე იყო დაცული და რითაც, შესაბამისი საზეიმო ჰანგის აჟღერებით, ადგილობრივი მოსახლეობა მრევლს მოსალოდნელი დღესასწაულის დასაწყისს ამცნობდა.

მეტად მნიშვნელოვანი არის ქართული ხალხური ანუ ტრადიციული სულიერი კულტურის ის ახალი ეტაპი, რომელიც ჩვენი წინაპრების ცნობიერებაში იწყება ქრისტიანობის გავრცელებიდან მოყოლებული. ქრისტიანობა თვისობრივად ახალი რელიგია იყო, რომელმაც სრული გარდატეხა მოახდინა ადამიანთა ცნობიერებაში. დრო დასჭირდა, რასაკვირველია, მის საბოლოოდ განმტკიცებას მთაშიც, ბარშიც და, ამ დროიდან, ქართული ტრადიციული სულიერი კულტურა უკვე გადადის ახალ ეტაპზე, რომელიც ჩვენ ტრადიციული ქართული ქრისტიანული კულტურის სახელწოდებით მოგვეწოდება.

ტრადიციული ქართული ქრისტიანული კულტურა, რასაკვირველია, ემყარებოდა ახალ რელიგიურ სისტემას, ქრისტიანულ რელიგიას, ქრისტიანულ სწავლებას. მოგეხსენებათ, ქართველები მუდამ მდიდარი სამნივნობრო ტრადიციებით გამოვიჩნეოდით. ქართველებს ასევე დიდი მთარგმნელობითი ტრადიციები ჰქონდათ და, შესაბამის-

ად, ეს ახალი სწავლება მოსახლეობაში ძალიან მალე გავრცელდა. ახალ სწავლებას მოჰყვა სამყაროს ახლებურად გადაზრების იდეები, ამას, ბუნებრივია, მოჰყვა სრულიად ახლებური ხედვა ადამიანური ურთიერთობებისა, ღმერთთან დამოკიდებულებისა, შესანიშნავის ნაირსახეობებისა და რელიგიურ დღეობათა კალენდრისა. ქართული ტრადიციული კულტურა თავდაპირველად იკვებებოდა იერუსალიმური ტიპიკონით, წეს-განგებულებით, რომლის ნაწილიც იყო ჩვენი ქრისტიანული სწავლება და რომლის მიხედვითაც იყო აწყობილი ქრისტიანულ დღესასწაულთა განრიგი, კალენდარი. გიორგი მთაწმინდელის მიერ გატარებული რეფორმის შემდეგ ჩვენ ახალი ტიპიკონი შემოვიღეთ და ქართული ეკლესია განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. საერთოდაც, საინტერესო ის არის, რომ ტრადიციულ ქართულ კულტურაში, მაგალითად სვანეთში, ან სამეგრელოში და თუშ-ფშავ-ხევსურეთშიც, ანუ ისტორიულ ფხოვში, დღემდე შემოგვენახა ზოგიერთი ისეთი ხალხური დღესასწაული, რომელიც იერუსალიმური წეს-განჩინების თარიღს თანხვედბოდა. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს სულიერი კულტურის, ტრადიციული ქრისტიანული სულიერი კულტურის ბევრად ადრე განვითარებაზე მთაში, ვიდრე ეს ისტორიოგრაფიაში არის მიჩნეული და დათარიღებული. აი, ამის თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია ვახსენოთ ხალხური დღესასწაული – ათენგენობა, ათნიგენობა, ათენგენა, რომელიც დღესაც ცოცხალია და აღმოსავლელ ქართველ მთიელთა შორის ერთ-ერთი მთავარი დღესასწაულია. ამ დღესასწაულს აღნიშნავდნენ ისტორიულ დვალეთშიც, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს რუსეთის შემადგენლობაშია მოქცეული, აგრეთვე, ზემო რაჭაშიც. ეს დღესასწაული, თავის დროზე, ბუნებრივია, მიძღვნილი იყო წმინდა ათინოგენე სებასტიანელისა და მისი მონაფეებისადმი და სრულდებოდა ზუსტად იმ დღეებში, რა დღეებშიც ეს გათვალისწინებული იყო საეკლესიო კალენდრის თანახმად. ეს არის ადრექრისტიანული პერიოდის დღესასწაული, შესაბამისად, ეთნოგრაფიული ცოდნა ჩვენ

გვეუბნება ღიად, გამჭვირვალედ, რომ ფხოვში საკმაოდ ადრე შევიდა ქრისტიანული კულტურა.

მეტად მნიშვნელოვანი არის ის გამოცდილება, რომელიც ნიგნიერი სახით შედიოდა ქართველ მოსახლეობაში და, აქედან გამომდინარე, შემდეგ ხალხურდებოდა. ქრისტიანული ტრადიციული სულიერი კულტურა არის მეტად მრავალფეროვანი. ის გამოიხატება არა მხოლოდ ხალხურ დღესასწაულებში, რიტუალებში ან სიმბოლიკაში, არამედ ის გამოიხატება სოციალურ ურთიერთობებშიც, როგორც არის ნათესაური სისტემა, მისი მკვეთრად ჩამოყალიბებული ინდივიდუალური ნიშან-თვისებები და მახასიათებლები, როგორც არის მკაფიოდ გამოკვეთილი ეგზოგამიური ქორწინება და რომ ქართველი არ ცნობდა ენდოგამიურ ქორწინებას. ესეც, რა თქმა უნდა, ქრისტიანული სწავლებით არის განპირობებული და, აგრეთვე, იმ უძველესი ტრადიციული ქართული კულტურითაც. ისე არ უნდა ვიფიქროთ, რომ ერთი ხელის მოსმით ძველი ტრადიციული კულტურა გაქრა, დაიკარგა და მისი ადგილი მხოლოდ ქრისტიანულმა კულტურამ დაიკავა. არა! მოხდა შესანიშნავი სინთეზი. ჩვენ წინარე ქრისტიანულ ხანაშიც არაერთი საუკუნე გვექონდა მდიდარი ეროვნული კულტურა და აი, ეს ყველაფერი საკმაოდ ადვილად ადაპტირდა ქრისტიანულ კულტურასთან. მაგალითად ავიღოთ ასეთი საინტერესო საკითხი, როგორც არის ზედაშეების შეწირვის ტრადიცია, რაც დღესაც ცოცხალი სახით არსებობს ქიზიყში, სვანეთში და სხვაგანაც. როგორც არქეოლოგიური მასალა მოგვითხრობს, ბევრად ადრე, ანტიკურ ხანაშიც კი არის შემორჩენილი სატაძრო მეურნეობები, სატაძრო კომპლექსები, სადაც სწორედ ნითელი ღვინო და შეწირული ქვევრი ანუ ზედაშე მოჩანს შეწირვის მთავარ ნაირსახეობად. ამავე პერიოდში შემოგვრჩა მეტად საინტერესო სხვა არტეფაქტიც, როგორც არის, მაგალითად, სარიტუალო პურის საბეჭდავები. ქრისტიანობის შემდგომ, ეს ორივე ფაქტი რჩება ცოცხალი კულტურის ელემენტად, ოღონდ ხდება მათი თვისობრივი შეცვლა. მათი სიმბოლოები რჩება, მაგრამ სიმბოლოს არსი იცვლება. ანუ, წმინდა სერო-

ბიდან გამომდინარე, შესანიშნავი ღვინო ხდება ლიტურგიკის ნაწილი და პურის საბეჭდავი გადასხვაფერდება და ვიღებთ ასეთ საინტერესო მრავალფეროვნებას, როგორც არის სეფისკვერი და არტოსის პური და ა.შ. და მასთან დაკავშირებული ძალიან საინტერესო ხალხური ელემენტები და ხალხური გამოცდილება.

ძალიან საინტერესო გახლავთ ისიც, რომ რიტუალური პურის საბეჭდავი სეფისკვერის ნაირსახეობა შემოგვინახა, მაგალითად, მუსლიმ ქართველთა ტრადიციულმა ყოფამაც, ვთქვათ, ზემო აჭარაში. ასევე, მეტად მნიშვნელოვანია ეტიკეტის და ეთიკის ის ფორმები, რომელიც ქრისტიანული კულტურის შედეგად გახდა ქართველი მოსახლეობის ყოფისა და ცხოვრების წარმმართველი. ეს იყო ჰარმონიული დამოკიდებულება ადამიანებს შორის, ეს იყო სიყვარულზე აგებული ურთიერთობები არა მხოლოდ ადამიანთა შორის, არამედ ადამიანისა და ბუნების ურთიერთმიმართება. ვთქვათ, ბოლო პერიოდამდე, როდესაც ასეთი საინტერესო ფაქტი ხდებოდა – სოფლად, ამა თუ იმ მხარეში, მდინარეში განწყებოდა კალმახი, მოსახლეობა იკრიბებოდა მთავარ ეკლესიასთან და ერთობლივად იღებდა გადანყვეტილებას, რომ, მაგალითად, სამი წლით აიკრძალოს თევზაობა, რათა თევზი მოშენდეს.

როგორც დიდმა ისტორიკოსმა ლეგოფმა მართებულად შენიშნა, შუა საუკუნეებში ეკლესიას ჰქონდა დროის მართვის ფუნქციაც. ანუ საეკლესიო წეს-განგებულებით იმართებოდა საერო მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაც – ეს იყო სადაგი დღეები, მარხვის დღეები, საღესასწაულო დღეები, ან დღეები, როდესაც ნებადართული იყო ჯვრისწერა, დაკრძალვა. ყოველივე ყოფითიც კი, არათუ სულიერი ცხოვრება, საეკლესიო განგებულებით რეგულირდებოდა: ყოველდღიური კვებითი რაციონი, ჯვრისწერასთან დაკავშირებული ცერემონიალი და უფლებები. ჯვრისწერას წინ უძღოდა ნათესაური ურთიერთობების გამორიცხვა ჯვარდასაწერ წყვილს შორის, ორივე უნდა ყოფილიყო თანახმა ქორწინებაზე, დასაქორწინებელ წყვილს უნდა ჰქონოდა მშობლების კურთხევა, რომ ორივე ყოფილიყო ქრისტიანი და ა.შ. ანუ ყოფითი ყოველ-

დღიურობაც კი სრულიად გაჯერებული იყო საეკლესიო სწავლების ამა თუ იმ ელემენტით.

შესაბამისად, ეს აისახა ისეთ საინტერესო სფეროზეც, როგორც არის ჩვენი მეზობლობა ჩვენს გარე სამყაროსთან. ბოლო პერიოდში აღმოჩნდა ისე, რომ ჩვენს გარშემო, ძირითადად, ისლამური სამყარო ჩამოყალიბდა – ჩრდილო კავკასიაშიც ისლამი გავრცელდა, აღარ არსებობდა ისტორიული ალბანეთი, მის ადგილას სხვადასხვა სახანოები იყო; აღარ არსებობდა სომხეთის ერთიანი სახელმწიფოც, ისიც დანაწევრებული სახით გვხვდება. საქართველო მუდამ ზრუნავდა თავის მეზობლებზე, ასევე ჩრდილო-კავკასიელებზეც. მუდამ ცდილობდა აქ ქართული წიგნიერების, ქართული ფეოდალური კულტურის გავრცელებას, ქრისტიანული გამოცდილების მათთვის გაზიარებას, მიწოდებას, გაცნობას ამ ჩვენი მეზობლებისათვის და, შესაბამისად, იქმნებოდა ისეთი საინტერესო ფაქტებიც, რომ ჩვენი დედაქალაქი – თბილისი ჩამოყალიბდა ინტერკულტურული დიალოგის ერთგვარ მთავარ ცენტრად კავკასიაში. აქ თავს იყრის ყველა ჩვენი მეზობელი ეთნოსის კულტურის საუკეთესო გამოვლინებები, ეს არის მდიდარი ნაზავი, ნაირსახეობა მთელი კავკასიური კულტურისა, რომლის წამყვანი და დომინანტი, რასაკვირველია, არის ქართველი ეთნოსი და თბილისის მოსახლეობა. იგი ხელს უწყობდა ყველა დანარჩენი ჩვენი მეზობელი ჯგუფის კულტურის განვითარებას დედაქალაქში, თუნდაც ოკუპირებულ დედაქალაქში, მე-19 საუკუნეშიც კი და მე-20 საუკუნეშიც ეს ტრადიციები მიიღო.

მეტად მნიშვნელოვანი არის ორი საკითხი, რომლითაც ტრადიციული ქართული სულიერი კულტურა გამოირჩევა. ეს არის სინკრეტულობა ქართულ ტრადიციულ კულტურაში და პაგანურობის ელემენტები. რას ნიშნავს ერთი და მეორე? ვინაიდან ჩვენ ვართ ძალიან ხანგრძლივი ისტორიის და კულტურის მქონე ქვეყანა, შესაბამისად, ჩვენს სულიერ გამოცდილებაში არის ბევრი ეპოქისა და ეტაპის დანაშრევი, რომელიც თავის ადგილს მყარად იკავებდა. დროთა განმავლობაში სოციალური ყოფის ცვლილებებიდან გამომდინარე,



გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რელიგიური სისტემის ცვალებადობაც, ქვეყნის დაშლა-რეგრესის ხანა საქართველოში და ა.შ. – აი, ეს ყველაფერი აპირობებდა კულტურის ამა თუ იმ ელემენტის შეცვლას. მათ შორის ეს აისახებოდა სულიერი კულტურის ცვალებადობის თვალსაზრისითაც. და მივიღეთ მეტად საინტერესო ფორმა ქართული ტრადიციული სულიერი კულტურისა. სიღრმისეული მეცნიერული კვლევა-ძიების თანახმად, ჩვენ ჩავდივართ ხოლმე უძველეს შრეებში ქართული კულტურისა, რომელი კულტურის თანამედროვე ნაირსახეობაც დღეს ცოცხალია, მაგრამ მისი გამონვლილვითი კვლევა-ძიება გვიჩვენებს მის არქაულ ძირებსაც, გვიჩვენებს იმ სხვადასხვა ეტაპს, როდესაც ესა თუ ის ელემენტი ემატებოდა კულტურას ან აკლდებოდა, ან ტრანსფორმირდებოდა. ეს ყველაზე კარგად გამოხატული არის რელიგიურ ხალხურ დღესასწაულებსა და რიტუალებში, ანუ ჩვენს ხალხურ სულიერ კულტურაში. ამიტომ სინკრეტულობის ესა თუ ის ნიშანი, ანუ ორი სხვადასხვა რელიგიის ნაზავი, სინთეზი ან პრიმიტიული რელიგიური არქაული მსოფლმხედველობიდან მომდინარე ზოგიერთი ელემენტიც კი, შემდგომ ქრისტიანული ელფერით შემოსილი, მოსულია ჩვენს დღევანდელობამდე. ძალიან საინტერესო მაგალითია სარიტუალო ქმედება – ჭიაკოკონობა. ჭიაკოკონობა გვჩვენოდა აღმოსავლეთ ქართველებსაც, სამხრეთ-დასავლეთ ქართველებსაც და დასავლეთ ქართველებსაც. ოღონდ თარიღებს შორის არის სხვაობა. დასავლეთ საქართველოში ჭიაკოკონობა სრულდებოდა მარიამობის წინა საღამოს, აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ვნების კვირის ოთხშაბათს, ზოგან ხუთშაბათსაც. ეს არის არქაული დროიდან მომდინარე ცოდნა, როდესაც ოთხი მთავარი სტიქია აპირობებდა ადამიანის პრიმიტიულ რელიგიურ აზროვნებას, რომელთაგანაც ცეცხლს და წყალს მუდამ ჰქონდა განმწმენდი ძალა ხალხურ მსოფლხედვაში. ასე იყო მთელს მსოფლიოში და, მათ შორის, ჩვენს წინაპრებში, ძველ ქართველებშიც. არქაულ საზოგადოებაშიც ეშმაკის, ბოროტი ძალის წინააღმდეგ დანთებული კოცონი იყო ის ძალა, რომელიც

ბოროტს შიდა სივრცეში, ადამიანის სამყოფელში არ შემოუშვებდა. ბევრი დრო გავიდა და ჩვენ უკვე გავხდით ქრისტიანები. ქრისტიანობის შემდგომ, ქრისტიანული სწავლებიდან გამომდინარე, ძველ ცოდნას ემატება შემახილი: „არული კუდიანებს, ვიჯმნი ეშმაკისაგან“, „ფუი ეშმაკს“. ანუ ეს არის მკაფიო მაგალითი სინკრეტულობისა: ძველი, ჯერ კიდევ არქაული ცოდნა ქრისტიანობის შემდგომ ტრანსფორმირდა და მივიღეთ ეს რიტუალი. ეს სრულიად ბუნებრივია: რადგან სამყარო ერთია, ადამიანი იგივე სახით არსებობს, როგორც არქაულ ხანაში არსებობდა – ბოროტი და კეთილი ძალა მაშინაც იყო და ახლაცაა... და აი, ამ ყველაფრის სინთეზი წარმოდგენილია ზემოთ აღწერილი საინტერესო ფორმით.

ასეთივე სინკრეტულობის ელემენტების შემცველი არის, მაგალითად, საახალწლო რიტუალები და საახალწლო დღესასწაული. ახალი წლის თარიღიც იცვლებოდა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე. დიდი ეთნოლოგის ვერა ბარდაველიძის დაკვირვებით, ჩვენ გვქონდა ახალი წლის ყველაზე ძველი ფორმა აგვისტოს თვეში, რაც სვანური მასალით დასტურდება, შემდგომ ახალმა წელმა გადმოინაცვლა მარტის თვეში, სექტემბრის თვეში, შემდგომ უკვე იანვრის თვეში, რაც დღესაც ასეა ევროპელთა ცნობიერებაში, თუმცა, იულიანური და გრეგორიანული კალენდრების შეპირისპირების შედეგად, საერო კალენდრად ჩვენ გვაქვს 1 იანვარი, მაგრამ ტრადიციულ ყოფაში მაინც ის ძველი ახალი წლის სარიტუალო მიგებება არის ცოცხალი სახით შემორჩენილი, რაც 13-ში სალამოს და 14-ში დილით სრულდება (ანუ, ძველი სტილის მიხედვით). ეს ხდება არა მარტო ჩვენთან, არამედ თურქეთელ ქართველებთანაც კი და ის ძველით ახალი წელი, მომდინარე იმ არქაული ცნობიერებიდან, დღემდე სადღესასწაულო დღედ რჩება საქართველოს მთასა და ბარში.

სინკრეტული რიტუალები ძალიან ბევრია შემორჩენილი, რომელთაც ჭირდებათ დეტალური ანალიზი, რათა გამოვლინდეს მათში არქაული ფენა, ანტიკური პერიოდის დანაშრევები, ქრისტიანული ფენა და შემდგომი ტრანსფორმაციული პროცესები.

ძალიან საინტერესო არის პაგანურობის თემაც ქართულ ხალხურ კულტურაში. პაგანურობას რა განაპირობებს? პაგანურობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფო დაიშალა რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ, მას შემდეგ, რაც მუდმივი გარემოცვა იყო საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ჩვენს გეოპოლიტიკურ სივრცეში, მას შემდეგ, რაც გაუქმდა ის მთავარი ეპარქიები, რომლებიც მოსახლეობას კანონიკური სწავლებით მუდმივად ამარაგებდა და ასწავლიდა, აი, ამის შემდეგ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობა აღმოჩნდა, ფაქტობრივად, საკუთარი ძალების ამარა, თავისი თავის ამარა და იწყება შემორჩენილი ქრისტიანული ცოდნის (რომლის განახლებაც ბარიდან თითქმის აღარ ხდებოდა) გახალხურება. შესაბამისად, უკვე კულტურის მესამე დანაშრევზეც შეგვიძლია ვისაუბროთ. მთაში, რა თქმა უნდა, არსებობდა სინკრეტულობის ელემენტები – ძველი რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარე და ტრანსფორმირებული, ქრისტიანობის ელფერით შემოსილი ფორმები, რომლებიც შემდგომ კვლავ გახალხურდა, ანუ მესამე ეტაპზე გადავიდა ჩვენი მთის რწმენა-წარმოდგენების და რიტუალების ზოგიერთი ასპექტი და ზოგიერთი დანაშრევი. შესაბამისად, ეს შემდგომშიც საკვლევი საკითხი არის. მერე გავიხსენოთ ის მძიმე პერიოდიც, რომელშიც ვითარდებოდა ქართული ეთნოლოგია. ეს იყო საბჭოური პერიოდი, რა დროშიც ნებადართული იყო მსჯელობა წინარე ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებზე, მაგრამ სრულიად იკრძალებოდა ხალხურ კულტურაში ქრისტიანული კულტურის ამა თუ იმ ნიშან-თვისებაზე მსჯელობა და საუბარი.

ამიტომ ჩვენი დიდი მეცნიერები გარკვეული სიმბოლოებით, შეფარვით მაინც გვანვდიდნენ რეალურ ინფორმაციას. ერთ ძალიან კარგ ფაქტს მოგიყვანთ. ურთულეს საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნდა ვერა ბარდაველიძის შესანიშნავი ეთნოგრაფიული ნაშრომი, რომელსაც ჰქვია „აღმოსავლეთ ქართველ მთიელთა სასულიერო ტექსტები“. ვერა ბარდაველიძე იყო დიდი მეცნიერი. მის წიგნში მოტანილია აღმოსავლეთ

ქართველ მთიელთა ხალხური დღეობებისა და რიტუალების დროს წარმოთქმული ლოცვები. საკითხი შესწავლილია სიღრმისეულად და წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთის მხარეების სარიტუალო ტექსტები: ხუცობანი, კურთხევანი, ჰიმნები და სხვ., მიძღვნილი გიორგობის, მთავარ-ანგელოზობის, მაცხოვრის შობის და ა.შ. დღესასწაულებისადმი. მაგრამ რა ქნას მეცნიერმა, რომელიც ყველა მხრიდან შეზღუდულია, როგორ მოგვანოდოს ობიექტური სამეცნიერო დასკვნა? რეპრესიების ხანაა... იკრძალება ქრისტიანობაზე საუბარი... და აი, ასეთ დროს ვერა ბარდაველიძე ბედავს და შესავალ ნაწილში განსაცვიფრებელ წინადადებას წერს, რომ ეს ყველაფერი (ტექსტებზეა საუბარი) სხვა არაფერია, თუ არა შერყვნილი სახარებისეული ტექსტებო. ანუ ობიექტურმა მეცნიერმა სიმართლე თქვა – სიღრმისეულად დაინახა, რომ აღმოსავლეთ ქართველ მთიელთა კულტურაში არსებული ხალხური ელფერით შემოსილი რიტუალები, დღესასწაულები და წარმოთქმული სასულიერო ტექსტები მომდინარეობდა იმ ზეპირსიტყვიერი გზით გადმოცემული ცოდნიდან, რომელიც თავის დროზე ეკლესიაში მიეწოდებოდა მრევლს. შემდგომ ამას მოსახლეობა იმახსოვრებდა და აი, ასეთი ხალხური ქრისტიანული ფორმებით შემოსილი მოვიდა ეს ყველაფერი ჩვენს დრომდე.

ამ მხრივ ძალიან საინტერესო არის აღმოსავლეთ საქართველოშიც და დასავლეთ საქართველოშიც ჩამოყალიბებული ხალხური რიტუალები. თავის დროზე ამ საკითხებით დიდი დაინტერესება გამოხატა და ქართველთა ადრეულ წინარე ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებს შესანიშნავი მთელი თავიც კი მიუძღვნა დიდმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა. მან მიიჩნია, რომ ქართველთა მხრიდან წმინდა გიორგისადმი ესოდენ მკაფიოდ გამოხატულ პატივისცემას შესაძლოა ჰქონოდა წინარე ისტორია – ქრისტიანობამდელ ქართველთა ხალხურ-რელიგიურ სისტემაში არსებული მთვარის ღვთაების – მხედარი-ღვთაების სახით, რომლის ნიშანთვისებები ხალხმა მიუსადაგა ქრისტიან წმინდანს, წმიდა გიორგის და ასეთი სინკრეტული სახით დამკვიდრდა წმიდა

გიორგი ხალხურ აღქმაში. ფაქტია, რომ მთვარის ღვთაების, მხედარი ღვთაების ფინქცია, ხატება, ატრიბუტები ჰგავდა ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ ქრისტიანულ ხანაში ჩვენში ფართო ნაკადად შემოჭრილ ინფორმაციას უკვე რეალურად არსებული წმინდა გმირის, მხედართ-მთავრის, ცნობილი მთავარსარდლის, წმინდა გიორგი კაბადოკიელის ცხოვრების შესახებ. შესაბამისად, ქართველმა მოსახლეობამ ის ძველი ცოდნა, უკვე ისტორიულ-კულტურული მიხსიერების სახით შემონახული, ზეპირსიტყვიერებაშიც და გონებაშიც დაუკავშირა ამ ახალ სწავლებას და ახალ წმინდანს და აი, ამიტომაც ჩამოყალიბდა წმიდა გიორგი ყველაზე საყვარელ წმინდანად ქართველი მოსახლეობისთვისო.

არის მეორე ამგვარი ძალიან საინტერესო ხედვაც, რომლის სათავეებთანაც ვერა ბარდაველიძე დგას. ეს არის წმინდა ბარბარესთან დაკავშირებული ქრისტიანული სწავლება და ქრისტიანული ცოდნა. წმინდა ბარბარესადმი მიძღვნილი მრავალი დღეობა და რიტუალი შემორჩენილია ჩვენს დროშიც კი, მით უმეტეს, მათი რაოდენობა ბევრად უფრო მასშტაბური იყო გასული საუკუნის დასაწყისში. ვერა ბარდაველიძე მიიჩნევს, რომ წმინდა ბარბარეს ორი შრე შეინიშნება: რეალურად არსებული წმინდანი – წმ. ბარბარე და წინარექრისტიანულ ხანაში ქართველთა რელიგიურ სისტემაში არსებული მზის ქალღვთაება. წმინდა ბარბარეს, რეალურად არსებულ წმინდანს, ცხადია, რომ ქრისტიანული სწავლებით, მიიჩნევენ სწეულთა მკურნალად, ბავშვების მფარველად, მანდილოსნების მფარველად. მაგრამ ამ ყველაფერსაც ჰქონდა წინაპირობა, როგორც, ვთქვათ, წმინდა გიორგისთან დაკავშირებითო. ამ შემთხვევაში ვერა ბარდაველიძე ეთნოგრაფიული მასალის უკან გადატყორცნით ანუ რეკონსტრუირების მეთოდით გამოავლენს წინარექრისტიანულ ხანაში ქართველთა მსოფლხედვაში და ქართველთა რელიგიურ სისტემაში არსებულ მზის ქალ-ღვთაება ბარბარეს. ცხადია, ჩვენ იმ უძველესი ღვთაების სახელი არ ვიცით. მისი მახასიათებელი ნიშნები: ნაყოფიერების მფარველობა, ქალების, ბავშვების მფარველობა, მესაქონლეობის მფარველობა... და

ყველა ეს ნიშანი შემდგომ უკვე ერწყმის წმინდა ბარბარეს სახეებს.

ქართულ ხალხურ დღესასწაულთა კალენდარი ძალიან მასშტაბური და მრავალფეროვანია. ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარში, როგორც უკვე ითქვა, შემოგვრჩა ძალიან ბევრი არქაული დროიდან მომდინარე რიტუალი, რომელთა ნაწილი მისადაგებულია ქრისტიანულ წმინდანთა ხსენების დღეებს, გვაქვს მრავალი კონკრეტულად მხოლოდ ქრისტიანობიდან მომდინარე წმინდანთა ხსენების დღეები, ანუ კანონიკურ კალენდრიდან მომდინარე ცოდნა. არის, აგრეთვე, სხვა ტიპის ხალხური დღეობებიც, რომლებიც უშუალოდ ქრისტიანულ სწავლებასთან ან რომელიმე რელიგიურ დღეობასთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ განპირობებულია რაიმე მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტით, როგორც არის, მაგალითად, დიდგორობა, ზეზვაობა (რეალურად არსებული გმირის – ზეზვასადმი მიძღვნილი).

გარდა მართლმადიდებელ ქართველთა ტრადიციული ხალხური სულიერი კულტურისა, თამამად შეგვიძლია, ტრადიციული ქართული კულტურის ნაწილად მივიჩნიოთ ის ძალიან საინტერესო ლოკალური კულტურა, რომელიც შექმნეს ქართველმა კათოლიკეებმა და ქართველმა მუსლიმებმა. სამწუხაროდ, ქართველ კათოლიკეთა ხალხური კულტურა ნაკლებად არის შესწავლილი ქართულ მეცნიერებაში, მაგრამ ჩვენი უნივერსიტეტი გეგმავს ამ მიმართულებით მუშაობასაც. ქართველ მუსლიმთა სულიერ კულტურაში, ბუნებრივია, წამყვანი ადგილი ეჭირა ისლამურ სწავლებას, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ისლამური სწავლების მიუხედავად, მათშიც რელიგიური სინკრეტიზმი თვალსაჩინოა, რადგან ძალიან მაღალი ხილვადობით მოჩანს არქაული ყოფიდან და შემდგომ ქრისტიანული კულტურიდან მომდინარე ელემენტებიც, როგორც არის, მაგალითად, მარიობა, შუამთობა, ზიარეთობა და სხვ., – შემონახული აჭარის მთიანეთში, მესხეთში, ტაო-კლარჯეთის ქართველთა შორის.

ამრიგად, ტრადიციული ქართული სულიერი კულტურა მრავალი საუკუნის მომცველია. ის მრავალფეროვანია და

სხვადასხვა ეპოქაში გარკვეული ლოკალური ნიშნებით გამოირჩეოდა. მთელ გზას ქართული ტრადიციული სულიერი კულტურისა შეისწავლის ეთნოლოგიის ერთი ქვემომართულება – ისტორიული ეთნოლოგია, რომლის ფუძემდებლებადაც ჩვენს უნივერსიტეტში ისეთი კორიფეები გვევლინებოდნენ, როგორებიც იყვნენ გიორგი ჩიტაია, ვერა ბარდაველიძე, სოსო ჭანტურიშვილი. დღეს ეს მიმართულება ცოცხალია, ვითარდება და სასწავლო პროგრამაში გვაქვს რამდენიმე საგანი, რომლებშიც სწორედ ქართველთა ხანგძლივ ტრადიციულ კულტურულ გამოცდილებაზე ვმსჯელობთ.



## დემოგრაფიული ქცევის ტრანსფორმაციები თანამედროვე საქართველოში

**ვაჟა  
ლორთქიფანიძე,  
თსუ-ის  
სოციალურ და  
პოლიტიკურ  
მეცნიერებათა  
ფაკულტეტის  
პროფესორი**



დღეს ჩვენ ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა ტენდენციებია დემოგრაფიული ქცევის თვალსაზრისით ჩვენს მოსახლეობაში. სანამ ამ თემაზე დავიწყებდეთ საუბარს და კონკრეტულად საქართველოს შევხებოდეთ, ალბათ, უმჯობესია, რომ მოკლედ მიმოვიხილოთ ის ტენდენციები, პროცესები, რომლებიც დღეს მიმდინარეობს მსოფლიო მოსახლეობის განვითარების და დემოგრაფიული ქცევის თვალსაზრისით.

მოგეხსენებათ, რომ გაერომ 15 წლის წინ პლანეტის წინაშე მდგარ ოთხ გლობალურ საფრთხეს შორის დაასახელა და აღიარა დემოგრაფიული საფრთხე, რაც გამოიხატება მოსახლეობის რიცხოვნობის კატასტროფულ ზრდაში (ე.ი. პლანეტის მოსახლეობა კატასტროფულად იზრდება). 2018 წლის გაეროს მონაცემებით, ჩვენს პლანეტაზე სახლობს 7,7 მილიარდი ადამიანი და პლანეტის მატება ყოველწლიურად გახლავთ 100 მილიონი ადამიანი. ე.ი. პლანეტა ყოველწ-

ლიურად 100 მილიონი ადამიანით მატულობს. თუ ზრდის ეს ტემპი შენარჩუნდა (ასეთი გაანგარიშებები არსებობს, რომ 2050 წლისთვის პლანეტაზე იცხოვრებს 12 მილიარდი ადამიანი. არის უფრო ოპტიმისტური გათვლებიც, რომლის თანახმადაც, პლანეტაზე შეიძლება 14-15 მილიარდი ადამიანიც კი სახლობდეს), რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდ ცვლილებებს, ტექტონიკურ ძვრებს მოიტანს. სად, ვთქვათ, 4-5 მილიარდი ადამიანის გამოკვება და სად – 14 მილიარდი ადამიანის? 14-15 მილიარდი ადამიანის გამოსაკვებად, მისთვის ცხოვრების პირობების შესაქმნელად მნიშვნელოვნად დიდი რესურსებია საჭირო და ეს ითხოვს აბსოლუტურად ახალ აგრო სექტორს, აბსოლუტურად ახალ საფინანსო მონყობას, სრულიად სხვა საბანკო მომსახურებას და ა.შ. მოგეხსენებათ, მოსახლეობა ყველა კონტინენტზე, ყველა ქვეყანაში ერთნაირად არ იზრდება. ზოგან ზრდის ტემპი გაცილებით მეტია, ზოგან გაცილებით ნაკლები. მოსახლების კატასტროფული ზრდის 97% მოდის განუვითარებელ ქვეყნებზე, განვითარებულ ქვეყნებზე კი, ჩვენ რომ დასავლეთის ქვეყნებს ვუწოდებთ, მხოლოდ 3% მოდის. ასეთი არათანაბარი განვითარება, რა თქმა უნდა, გამოიწვევს დიდ, ტექტონიკურ მიგრაციულ პროცესებს. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ამას მოჰყვეს რომელიღაც სახელმწიფოების დაშლა, რომელიღაც სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოსთან მიერთება ან სულაც ახალი სახელმწიფოების წარმოშობა. რა თქმა უნდა, ეს თავდაყირა დააყენებს დღეს არსებულ გეოპოლიტიკასაც, გეოსტრატეგიასაც, ძალთა ბალანსს და ეს სრულიად ახალი საერთაშორისო პოლიტიკის შექმნას ითხოვს. ეს საკითხები ძალიან ანუხებებს ევროპას. ევროკავშირმა, ევროპარლამენტმა არაერთი დისკუსია მიუძღვნა ამ თემების განხილვას. მეც მქონდა შესაძლებლობა, რომ რამდენჯერმე ბრიუსელში ასეთ განხილვებს დავსწრებოდი და მიმელო მონაწილეობა დისკუსიებში. მოკლედ, მსოფლიო ფიქრობს – როგორ გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან, რა ქნას, როგორ შეხვდეს ამ ტექტონიკურ ძვრებს?

როგორ ხვდება ამ პრობლემას საქართველო? რა ტენდენციები ვითარდება საქართველოში? სამწუხაროდ, პლანეტის

მოსახლეობის ასეთი მკვეთრი ზრდის ფონზე, ჩვენ გვაქვს საქართველოს მოსახლეობის მკვეთრი შემცირება. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს და რამდენიმე მონაცემს, თუ რატომ არის ასეთი რთული ვითარება დღეს საქართველოში? იმასთან ერთად, რომ მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად კლებულობს, ამკარაა მოსახლეობის რაოდენობის შიდა რეგიონული დისპროპორცია (თვითონ საქართველოს შიგნითაც შეიმჩნევა ეს დისპროპორცია).

მოსახლეობის მასშტაბური კლება გამოიხატება იმით, რომ 1989 წლის შემდეგ (1989 წელს, მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირში ჩატარდა ბოლო აღწერა), ანუ ბოლო საყოველთაო აღწერის შემდგომ, ე.ი. სულ რაღაც განვილი 30 წელიწადში, ქვეყნის მოსახლეობამ 31,2 %-ით დაიკლო. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის საქართველოში მოსახლეობის კლების ყველაზე დიდი მაჩვენებელი დაფიქსირდა. სამწუხაროდ, ეს კლება საქართველოს ყველა რეგიონს შეეხო. მაგალითად, ამ მხრივ, გამოვყოფდი რაჭა-ლეჩხუმს და ქვემო სვანეთს, სადაც მოსახლეობამ 37%-ით დაიკლო. დღეს რაჭაში 17 316 მოსახლეა (აღწერის მონაცემების თანახმად). ქვემო სვანეთში 4000 მოსახლეა და ზემო სვანეთში 9000, სვანეთში სულ 13 702 ადამიანი ცხოვრობს. იმერეთშიც, რომელიც ხალხმრავალი რეგიონია, მოსახლეობის მნიშვნელოვანი კლებაა. 2014 წლის აღწერის შედეგებს თუ ვნახავთ, დღეს აქ ცხოვრობს, სადღაც, 535 000 ადამიანი, წინა 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, ე.ი. 10 წლის წინ ჩატარებული შედეგების მიხედვით, იმერეთში 700 000 ადამიანი ცხოვრობდა. გამოდის, რომ 10 წელიწადში იმერეთშიც სერიოზული კლებაა. სამეგრელოშიც ასეთივე კლებაა – 2002 წლის აღწერის მონაცემებით, იქ 470 000-მდე ადამიანი ცხოვრობდა, დღეს კი 320 000 მოსახლე გვყავს. ანუ, ხედავთ, რომ რეგიონებში მოსახლეობა შესამჩნევად იკლებს, რაც ძალიან მტკივნეულია ქვეყნისთვის.

ძალიან მნიშვნელოვანია ამ დროს დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა. რამდენი ბავშვი იბადება, რა თქმა უნდა, ეს არის ბევრი რამის განმსაზღვრელი. უნდა ითქვას, რომ ამ 30 წლის

განმავლობაში თითქმის ორჯერ არის შემცირებული საქართველოში დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა. 2017 წელს, მაგალითად, საქართველოში სულ 53 000 ბავშვი დაიბადა. 1989 წელს, როდესაც ჩვენ ჩავატარეთ აღწერა, ანუ 90-იანი წლების დასაწყისისთვის 92 000-93 000 ბავშვამდე იბადებოდა საქართველოში. ე.ი. შობადობა თითქმის განახევრებულია. მაგალითად, 60-70-იან წლებში იყო წელიწადი, როცა 100 000 ბავშვზე მეტი იბადებოდა. (თუ არ ვცდები, 1964 წელი იყო, როცა 105 000-107 000 ბავშვი დაიბადა საქართველოში). რა თქმა უნდა, ძირითადად, ეს ახდენს გავლენას მოსახლეობის შემცირებაზე. ამას თავისი ფაქტორები განაპირობებს. მათი შესწავლა და დაძლევა ძალიან მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, ამას იწვევს და ამის მიზეზი გახლავთ სოციალური პრობლემები, უმუშევრობა, არასტაბილური დასაქმება, არასაკმარისი შემოსავლები ოჯახებისათვის და საცხოვრებლისა თუ ბავშვთა მოვლის პირობებისადმი დაბალი ხელმისაწვდომობა, თუმცა სხვა ფაქტორებიც არსებობს და აი, ამ სხვა ფაქტორების შესახებ ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმ ქალთა რაოდენობა, რომლებიც დღეს მშობლები არიან ან მშობლების როლში უნდა მოგვევლინონ, მკვეთრად დაკლებულია (სწორედ 90-იანი წლებიდან დაიწყო ბავშვთა შობის შემცირება). ეს იმის მაჩვენებელია, რომ რამდენიმე წელიწადს ჩვენ ეს ტალღა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კიდევ დაგვარტყამს, რადგან შობადობის გაზრდა ჩვენ ქვეყანაში, ალბათ, უახლოეს რამდენიმე წელიწადში, შეუძლებელია.

ჩვენდა სამწუხაროდ, მოკვდაობაც მატულობს, განსაკუთრებით ერთ წლამდე ბავშვთა მოკვდაობა. ეს ძალიან საგანგაშოა! ჩვილ ბავშვთა გარდაცვალების ძალიან დიდი მაჩვენებლით საქართველო 3-ჯერ აღემატება დასავლეთის ქვეყნებს. ევროპულ დონეს ასევე, 3-4-ჯერ აღემატება სამუშაო ასაკში (სამუშაო ასაკად, მოგეხსენებათ, ითვლება 15-64 წლები) მყოფი მოსახლეობის მოკვდაობის დონეც, განსაკუთრებით მამაკაცებშია მაღალი ეს დონე. დედათა მოკვდავობის მაჩვენებლებიც საკმაოდ მაღალია და ესეც ძალიან

საგანგაშოა. აი, მაგალითად, ყოველ 100 000 დაბადებულზე 23-ს შეადგენს ეს, რაც ძალიან მაღალ მაჩვენებლად ითვლება და რაც განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად აღემატება.

დემოგრაფიული განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა. ამ სტრუქტურის, განსაკუთრებით ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაცია სახეზეა. აქაც ახალგაზრდული ფენების შემცირების აშკარა ტენდენციაა. მაგალითად, 0-15 წლამდე, ან 0-14 წლის ასაკის ჩათვლით – ეს არის მომავალი მზარდი თაობა; 65 და 65 წლის ზევით. მეცნიერები და გაერო სწორედ ამ ფენებს ითვლის და ამას ანგარიშობს. თუ 65 და უფრო ზევით ასაკის მოსახლეობის წილი 4%-მდეა, მაშინ მოსახლეობა ითვლება ახალგაზრდად; თუ 7%-მდეა, მაშინ დაბერების ზღვარზეა; ხოლო როცა 7%-ს სცილდება, მაშინ უკვე მოსახლეობა დემოგრაფიულად დაბერებულია. საქართველოში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს რთული ციფრებით გამოიხატება. მართალია, მსოფლიო მოსახლეობაც დაბერდა – 8% სწორედ 65 და ზევით ასაკის მოსახლეობაა, მაგრამ საქართველოში ეს უკვე 14%-ს აღწევს.

შეგხედოთ ტენდენციას: რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას, მნიშვნელოვანია, რომ 1897 წელს ჩატარდა პირველი საყოველთაო აღწერა. მაშინდელი მონაცემებით, საქართველოში 65 და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი 4%-მდე იყო, ხოლო 40%, თუ ზუსტად მახსოვს, იყო 15 წლამდე მოსახლეობის რაოდენობა. მერე და მერე ახალგაზრდული ფენის მაჩვენებელი მცირდება. 2002 წლის აღწერის მონაცემებით, უკვე 21%-მდე შემცირდა ამ ახალგაზრდების წილი და 13%-მდე გაიზარდა უკვე 65 წლის ზევით ასაკის მოსახლეობის წილი. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, ახალგაზრდობის ფენა 18%-მდე შემცირდა და 14,4%, ანუ თითქმის 14,5% გახდა 65 წლის და ზევით ასაკის მოსახლეობის რაოდენობა. ე.ი. მოსახლეობა დაბერებულია დემოგრაფიულად და ეს მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ აჭარბებს მსოფლიოს მოსახლეობის ასაკობრივ მაჩვენებელს. ყველაზე სამწუხარო

ის არის, რომ სწორედ დაბერების ზრდის ტენდენცია შეინიშნება. საშუალო ასაკიც ჩვენთან უფრო მაღალია. მაგალითად, საქართველოში მოსახლეობის საშუალო ასაკი გახლავთ 38 წელი და ესეც აღემატება მსოფლიოს საშუალო ასაკს, რაც 29 წელია. ყველაზე მაღალი ეს ასაკი არის რაჭა-ლეჩხუმში, იქ თითქმის 48 წელია საშუალო ასაკი. ქვემო ქართლში კი საშუალო ასაკი 35 წელია.

მცირდება საქორწინო და რეპროდუქციული პოტენციალი. ქორწინებას, ოჯახს დემოგრაფიაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. განქორწინებათა აბსოლუტურმა რაოდენობამ, ბოლო პერიოდში, უკვე 3-ჯერ ზრდას მიაღწია. აი, მაგალითად, 2017 წელს თითქმის 11 000 განქორწინება დაფიქსირდა, მაშინ, როცა 10 წლის წინ 100 ქორწინებაზე 10 განქორწინება მოდიოდა, ახლა კი ყოველ 100 ქორწინებაზე 43 განქორწინება გვაქვს. ე.ი. ქორწინების თითქმის 45% მაინც განქორწინებით მთავრდება.

ძალიან სერიოზული პრობლემებია მიგრაციასთან დაკავშირებითაც. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობაა ქვეყნიდან გასული ხანგრძლივად საცხოვრებლად საზღვარგარეთ. ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის თბილისის მოსახლეობაზე, შემდეგ იმერეთის მოსახლეობაზე. ოფიციალური მონაცემებით, მოსახლეობის ყველაზე მეტი რაოდენობა – 22% წასულია რუსეთში, შემდეგ საბერძნეთში, შემდეგ თურქეთსა და იტალიაში.

გარე მიგრაციის გარდა ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე, შიდა მიგრაციული პროცესებიც. მაგალითად, 2014 წლის აღწერის მონაცემებით, შიდა მიგრანტთა რაოდენობამ მოსახლეობის რაოდენობის თითქმის 29 % შეადგინა. აქედან, კაცებია – 33%, ქალები – 66 %, ანუ ქალები უფრო ინტენსიურად მიგრირებენ. ყველაზე მაღალი მიგრაციული ნაკადები ახასიათებს თბილისს. თბილისში მოდის მიგრანტთა 33 %, მეორე ადგილზეა იმერეთი, სადაც მიგრანტთა 15 % მოდის, მესამე ადგილზე კი არის სამეგრელო, სადაც მიგრანტთა 9%-ია.

ჩვენ ხშირად გვესმის, რომ საქართველოდან გასულია ორი მილიონი, მილიონ ნახევარი, მილიონი ადამიანი საზღ-

ვარგარეთ საცხოვრებლად. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს არ შეესაბამება რეალურ ვითარებას. არც ერთი მონაცემი, არც ათწლეულების განმავლობაში გაანალიზებული ჩვენი ქვეყნის სტატისტიკური მონაცემები, არც იმ უცხო ქვეყნების მონაცემები, სადაც ეს მიგრანტთა ნაკადები შევიდნენ, მსგავს ინფორმაციას არ ადასტურებს და ეს, ალბათ, უფრო პოლიტიკური კონიუნქტურიდან და პოლიტიკური საჭიროებიდან გამომდინარე გავრცელებული მოსაზრებები გახლავთ. ჩვენი ქვეყნიდან ყველაზე დიდი მიგრაციული ნაკადები 90-იან წლებში დაფიქსირდა და ეს ბუნებრივიც არის. იმ პერიოდის პოლიტიკურმა და სოციალურმა მოვლენებმა, ომმა და ა.შ. ეს გამოიწვია. არა ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ სწორედ იმ პერიოდში, დაახლოებით, საქართველოდან გასული მიგრანტების საერთო რაოდენობის 75% მოდიოდა რუსეთზე, 13% – უკრაინაზე, ხოლო დანარჩენი 12% ყველა დანარჩენ ქვეყანაზე. ე.ი. ყველაზე დიდი რაოდენობით საქართველოდან რუსეთში გადიოდნენ. საქართველოდან გასულთა შორის ქართველების წილი იყო მხოლოდ 13%, ე.ი. დანარჩენი სხვა ეროვნების მოსახლეობა გავიდა. მაგალითად, სომხები იყვნენ 11%, აზერბაიჯანელები 14%, ბერძნები 7% და ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო რუსეთის მოსახლეობაში – ე.ი. 36% რუსეთის მოსახლეობისა სწორედ იმ წლებში გავიდა საქართველოდან. ამან გამოიწვია ის, რომ თუ 1989 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში ქართველთა ეროვნული წილი იყო 70%, დღეს, ბოლო აღწერით, საქართველოში ქართველების წილი გახლავთ 87%.

საქსტატის ბოლო მონაცემებით, ემიგრანტად ჩაითვალა პირი, რომელიც 2012 წლიდან 12 თვე და მეტი არ იყო საქართველოში, ან აპირებდა საზღვარგარეთ დარჩენას. აი, ასეთ პირთა ანგარიშით, ემიგრანტების ყველაზე დიდი ნაწილი დღეს ცხოვრობს რუსეთში – 21%, საბერძნეთში – 15%, თურქეთში – 11%, იტალიაში – 10%, გერმანიაში – 7%, აშშ-ში – 5%, ესპანეთში – 4%, საფრანგეთში – 3%, უკრაინაში – 3% და აზერბაიჯანში – 2%. ასეთი გახლავთ მიგრაციული სურათი. ვფიქრობ, დახატული სურათი აშკარად მოითხოვს გავა-



კეთოთ დასკვნა, რომ დემოგრაფიული თვალსაზრისით დღეს საქართველოში უაღრესად კრიზისული სიტუაციაა.

ახლა დავსვათ კითხვა – როგორ მოვიქცეთ ჩვენ? როგორ უნდა მოიქცეს ქვეყანა, რომ თავიდან აიცილოს ის საფრთხეები, რომელიც გველოდება? ასეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ეს საფრთხეები კიდევ უფრო მძაფრდება. ვფიქრობ, სანამ ამ კითხვაზე გავცემდეთ პასუხს, კიდევ ერთხელ უნდა მოვუბრუნდეთ მსოფლიო დემოგრაფიულ პროცესებს. იცით, რატომ? შეიძლება ეს ჩვენთვის ვერავითარი შეღავათია, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ასეთი ნეგატიური ტენდენციები დამახასიათებელია მთელი მსოფლიოსათვისაც. და კიდევ, ისეთი პროცესები მიდის, რომელიც ჩვენც შეგვეხო, გვეხება და მომავალშიც შეგვეხება და სწორედ მათი ანალიზია აუცილებელი, თუ გვინდა, რომ ჩვენ სწორად მოვძებნოთ ამ არსებული პრობლემებიდან გამოსავალი. ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პრობლემების შესწავლა სრულიად შეუძლებელია ასეთი მსოფლიო პროცესების შესწავლის გარეშე.

დავინყოთ იმით, რომ აი, მაგალითად, ყველაზე დიდი „მიგრაციული ცუნამის“ (როგორც ხშირად ეძახიან) გადატანა უწევს ხოლმე ამერიკის შეერთებულ შტატებს. ერთ მაგალითს გეტყვით ამის დასახასიათებლად: მეოცე საუკუნის 60-იან წლებში 16 მილიონ ამერიკელს ჰყავდა არაევროპელი წარმოშობის წინაპარი, ე.ი. არაევროპული წარმოშობის მხოლოდ 16 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა ამერიკაში. მათი რაოდენობა, ანუ რომელთაც არაევროპელი წინაპარი ჰყავთ, 90 მილიონი გახდა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მთელი მოსახლეობის თითქმის მესამედიანა. ასეთი მონაცემებიც არის, რომ უკანასკნელი 40-50 წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში მუდმივად საცხოვრებლად, სადღაც, 70 მილიონი ადამიანი ჩავიდა აფრიკიდან, აზიიდან, ლათინური ამერიკიდან და ეს მიგრაციული პროცესები დღესაც ძალიან მაღალი ტემპით მიმდინარეობს. ევროპისა და აფრიკის მოსახლეობას თუ შევადარებთ, აქაც ძალიან მკვე-

თრი სხვაობაა. 50-იან წლებში აფრიკის მოსახლეობა 2-ჯერ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ევროპის მოსახლეობა; ხოლო 80-იან წლებში მათი რაოდენობა გათანაბრდა; დღეს კი უკვე 2-ჯერ მეტია აფრიკის მოსახლეობა ევროპის მოსახლეობაზე და ასეთი ვარაუდია, რომ 3-ჯერ მეტი იქნება 2030 წლისთვის. ასეთი მონაცემებიც მაქვს: მთლიანად მსოფლიო რომ ავიღოთ, 1960 წელს ევროპული მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის ერთ მეოთხედს შეადგენდა, 2006 წელს მხოლოდ ექვს მეათედზე დავიდა, 2050 წლისათვის, პროგნოზით, ის შეიძლება მეათედი გახდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ხდება. აზიიდან და აფრიკიდან მიგრირებულთა უმრავლესობა არ იღებს იქაურ კულტურას. თქვენ იცით – რას ნიშნავს სუბკულტურა, კონტრკულტურა... ანუ მიგრანტები ქმნიან კონტრ კულტურას, ანუ კულტურას, რომელიც ადგილობრივ კულტურას არამც თუ მხოლოდ ემიჯნება, როგორც სუბკულტურა აკეთებს ამას და ავტონომიურობას ინარჩუნებს, არამედ ებრძვის იქაურ კულტურას. ეს ძალიან დიდი და რთული პრობლემაა.

ევროპაშიც ასეთივე მძიმე პირობებია. ასეთ მონაცემებს ანგარიშობენ, რომ, მაგალითად, 15 წლამდე ევროპელი ბავშვების რაოდენობა 2050 წლისთვის შემცირდება, დაახლოებით, 40%-მდე, ანუ 87 მილიონი ადამიანით. ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს იმას, რომ ეს უდიდეს საფრთხეს შექმნის შობადობის შემდგომი გაზრდისთვისაც. ნობელის პრემიის ლაურეატი, ფრანგი მკვლევარი ალფრედ სოვი მიიჩნევს, რომ ევროპა დგას დიდი რისკის წინაშე – გადაიქცეს იმ მოხუცების კონტინენტად, რომლებიც იცხოვრებენ ძველ სახლებში და დამძიმებული იქნებიან ძველი იდეებით და რომ ევროპას აქვს მხოლოდ ორი გზა: ან შეეგუოს ამას, რაც ნიშნავს, პრინციპში, გადაგვარებას, ან ორჯერ გაზარდოს შობადობა, რაც ძალიან რთული ამოცანაა. მას, ასევე, შეუძლია მიიღოს ძალიან დიდი რაოდენობით იმიგრანტი მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან – სხვა გამოსავალი იქ არ არის. მოკლედ, ასეთი პრობლემების წინაშეა დღეს მსოფლიო და ამისი ყველაზე დიდი გამომწვევი მიზეზი გახლავთ სწორედ შობადობის შემცირება. შობადო-

ბის გაზრდაა დღეს მთელი მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისათვის ნომერ პირველი პრობლემა.

მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფომ თითქოს მორალური უფლება დაკარგა, ჩაერიოს და აწარმოოს, ასე ვთქვათ, პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება დემოგრაფიული პრობლემების გადასაწყვეტად. ეს მთელ რიგ პროცესებთან არის დაკავშირებული: ქალის დამოუკიდებლობის გაზრდა, ოჯახის შესუსტება... მოკლედ გეტყვით, მეცხრამეტე საუკუნეში, მაშინ იყო ოჯახები, აგრარული წარმოება სოფელში და ყველა ერთად მინდორში მიდიოდა – ვექტორი იყო ოჯახიდან მინდორში და მერე ისევ ოჯახში. მეოცე საუკუნეში, მეორე ნახევრიდან უკვე ვექტორი არის ასეთი – ქალების მასიური წასვლა ოფისებში სამუშაოდ და ბავშვების მიტოვება. შობადობის გასაზრდელად ყველა ქვეყანამ მოქმედების თავისი სტრატეგიები, მოდელები შეიმუშავა. მაგალითად, აშშ-ში მიაღწიეს იმას, რომ შობადობის კლება შეჩერებულია, შობადობა მატულობს, რადგან ქალებმა მიაღწიეს ისეთ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რომ უკვე მარტოხელებსაც არ ემინიათ არა თუ ერთი ბავშვის, არამედ ორი და სამი ბავშვის გაჩენაც კი...

აქედან გამომდინარე, ამის გათვალისწინებით ჩვენ გვჭირდება შევიმუშაოთ ჩვენი დემოგრაფიული პოლიტიკა. ძალიან მნიშვნელოვან რამედ მიმაჩნია, რომ 2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია, შეიქმნა მოსახლეობის ეროვნული საბჭო პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით და ამ პრობლემებს ის განიხილავს. მეც მეცნიერთაგან გახლავართ ამ საბჭოს წევრი და ახლა ძალიან ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. ეს მუშაობა კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს და მე ვიქნები მომხრე და ყველანაირად ვცდილობთ, რომ ამაში ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტობაც ჩაერთოს. ვფიქრობ, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენ ოდნავ მაინც დავეძლიოთ ეს პრობლემები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას.

## „მელოდრამატული მედიაკულტურის“ ქართული პარადიგმა

**მანანა  
შამილიშვილი,**  
თსუ-ის  
სოციალურ და  
პოლიტიკურ  
მეცნიერებათა  
ფაკულტეტის  
ჟურნალისტიკისა  
და მასობრივი  
კომუნიკაციის  
მიმართულების  
ასოცირებული  
პროფესორი



ჩვენი დღევანდელი სალექციო თემა მეტად აქტუალურ და პრობლემურ თემას ეძღვნება. კერძოდ, ვსაუბრობთ ინფორმაციის მასობრივი საშუალებებით ტრანსლირებული გასართობი გადაცემების თავისებურებათა შესახებ. პოპულარული კულტურის მედიასეგმენტი მრავალგვარია და მას, ძირითადად, რეკრეაციული – დასვენება-გართობის დატვირთვა აქვს. თუმცა, ამ უწყინარი ამოცანის მიღმა ხშირად ამკარავდება პოლიტიკური მიზანდასახულობაც. სწორედ მსგავს შემთხვევებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

უცხო არავისთვისაა, რომ მედია ინფორმაციის მთავარი წყაროა, საიდანაც აუდიტორიისკენ გამუდმებით მიედინება სიახლეთა ნაკადი. როგორც პოლიტიკური სოციალიზაციის მეორადი რგოლი, იგი ნებისმიერი ადამიანის აღქმაზე, აზროვნებასა და ქცევაზე მოქმედებს. რაც მთავარია, მისი პოლი-

ტიკური გემოვნების ფორმირებასა და საბოლოოდ, არჩევანზე ახდენს გავლენას. მასმედიით გადაცემულ გასართობ პროდუქციას ადრიდანვე, თავის შექცევაზე მეტად, იდეოლოგიური მარკირების ფუნქცია ენიჭებოდა და არც დღესაა დაცლილი ამ შინაარსისგან.

ამგვარი მიზანდასახულობა ამართლებს კიდევ – შეფარვით, ქარაგმულად ნათქვამი, ხან ღია მინიშნებები სწრაფად მიდის ადრესატამდე და უფრო ეფექტურად აღწევს დასახულ მიზანს, ვიდრე მავანი პოლიტიკოსის მიერ საჯაროდ გაცხადებული თვალსაზრისი. უდავოა, რომ თანამედროვე ეტაპზე მსგავსი კიჩ-პროდუქციის პოპულარობა სოციო-კულტურულ და საზოგადოების აქსიოლოგიური პარადიგმის ცვლილებაზე მიუთითებს. ღირებულებათა დეველვაციის პროცესში მედია უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი აქტორია. კვაზიკულტურული დისკურსი, რომელსაც იგი გვთავაზობს, სხვა არაფერია, თუ არა ფასეულობათა გადაფასების, მნიშვნელოვნადან მეორეხარისხოვანზე ყურადღების გადატანის მცდელობა.

ამჯერად ვისაუბრებთ პოპკულტურის მეტადრე გავრცელებულ ნაწილზე, ე.წ. „საპნის ოპერებსა“ და, ზოგადად, სასერიאלო პროდუქციაზე, რომლითაც გაჯერებულია დღევანდელი ქართული ტელევიზია. კონკრეტულ ნიმუშებზე დაკვირვებით, ვეცდებით წარმოვაჩინოთ ჩვენეული ხედვა და ავხსნათ ამ სუბიექტურ მოსაზრებათა მართებულობა.

მერფი ბრაუნმა – საქმიანმა და მიზანსწრაფულმა მარტოხელა ქალმა გადანყვიტა შვილი ქორწინების გარეშე გაეჩინა. მის ამ გადანყვეტილებას ვიცე-პრეზიდენტი დენ კვეილი გამოეხმაურა – თავი ტრადიციული ოჯახური ღირებულებების ქომაგად წარმოაჩინა და ბრაუნი სასტიკად გააკრიტიკა, რის გამოც ლამის მთელი ამერიკის მდებდრობითი სქესის რისხვა დაიმსახურა. მერფი ბრაუნმაც არ დააყოვნა და შური იძია საკუთარი ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტზე – საჯაროდ გაცხადა მალაჩინოსანი, „მოძველებულ კონსერვატიზმში“ დასდო ბრალი და მრავალრიცხოვანი აუდიტორიის გულიც მოიგო.

ეს ამბავი ერთი ბანალური შემთხვევა იქნებოდა, რომ არა განსაკუთრებული ვითარება. საქმე ისაა, რომ მერფი ბრაუნი პოპულარული ამერიკული სერიალის გმირი გახლავთ, ხოლო დენ კვეილი რეალური პერსონა, ვისაც ჯორჯ ბუში უფროსის პრეზიდენტობისას დასახელებული პოსტი ნამდვილად ეკავა. შემთხვევა ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, 1992 წელს მოხდა. სწორედ დენ კვეილმა წამოიწყო დისკუსია სერიალის ვირტუალურ პერსონაჟთან (და არა მისი როლის შემსრულებელ მსახიობთან). ამ უკანასკნელმა კი „საპნის ოპერის“ ერთ-ერთ სერიაში რეალური პოლიტიკოსი გააკრიტიკა: მერფი ბრაუნის გმირი (მსახიობი კენდის ბერგენი) ტელევიზორში იმ ინტერვიუს უყურებდა, რომელშიც ვიცე-პრეზიდენტი მის გმირს კიცხავდა. მერფი ბრაუნმა მკაცრად დაგმო პოლიტიკოსების ჩარევა ქალების პირად ცხოვრებასა და მათ უფლებებში.

ამ არჩევნებში ჯორჯ ბუში დემოკრატ ბილ კლინტონთან დამარცხდა, შესაბამისად, დენ კვეილმაც პოსტი ალ გორს გადაულოცა. ჩვენ მიერ აღწერილ სიტუაციას ცნობილი სოციოლოგი მანუელ კასტელსი განიხილავს, როგორც ნიმუშს მედიის მიერ შექმნილი რეალობისა, ვირტუალობასა და რეალობას შორის ზღვრის ნაშლისა. სწორედ ამის დასტურად მოაქვს მას აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებისა და სატელევიზიო სერიალის გმირის – მერფი ბრაუნის ისტორია. მკვლევარი აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჯორჯ ბუშის დამარცხებას არსებულისა და ვირტუალურის შერწყმას უკავშირებს, რამაც სუპერტექსტი შექმნა. მისი თქმით, სუპერტექსტი რეალური და ვირტუალური დისკურსების შერევის შედეგად წარმოიქმნა. ამ შემთხვევაში ვირტუალურობა რეალური გახდა, რადგან მან დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობაზე იქონია გავლენა.

კასტელსის ამ მოსაზრებას ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა და, მეტ-ნაკლებად, სამართლიანადაც. არც ჩვენ ვართ გულუბრყვილოთა შორის, ვიფიქროთ, თითქოს არჩევნების ბედი აღნიშნულმა შემთხვევამ გადაწყვიტა, თუმცა, არც მისი გარკვეული ზემოქმედების უარყოფა შეიძლება.

პოპულარულ კულტურასა და, განსაკუთრებით, მასმედით გავრცელებულ კიჩურ პროდუქციას რომ დიდი გავლენა აქვს აუდიტორიაზე, მტკიცება არ სჭირდება. რაც უნდა სკეპტიკური იყოს მეცნიერთა ბოლოდროინდელი დასკვნები, რომელთა მიხედვითაც მედიის შეუზღუდავ გავლენაზე საუბარი გადაჭარბებულადაა შეფასებული, მაინც უნდა ითქვას, რომ რეკრეაციულის მიღმა, ამ პროდუქციას პოლიტიკური დატვირთვა აქვს და ხშირად, ზემოაღწერილის მსგავსად, იმაზე მეტი გავლენის მოხდენა შეუძლია, ვიდრე ღიად დეკლარირებულ პოლიტიკურ განცხადებებს. მართალია, მედიის ამ შემადგენლის შესახებ საუბრისას ძნელია ემპირიული დაკვირვების გზით შედეგებამდე მივიდეთ, მაგრამ ეს არ გამორიცხავს – გვქონდეს ინდივიდუალური თვალთახედვა, რომელიც ღირებულებებსა და გემოვნებას დაეფუძნება. ნათქვამის თვალსაჩინოებად არაერთი ნიმუშის მოხმობა შეგვიძლია როგორც ადგილობრივი გამოცდილებიდან, ასევე, სხვა ქვეყნების პრაქტიკიდანაც.

ვირტუალური და რეალური დისკურსების ურთიერთქმედების ნიმუშად შეგვიძლია მოვიხმოთ, ასევე, შემთხვევა, რომელიც ყურნალმა „ნიუსვიკმა“ აღწერა. ინფორმაცია მოგვითხრობდა ერთ-ერთ ამერიკულ სერიალზე, რომლის მთავარმა პერსონაჟმა პუერტო-რიკოს სახელმწიფო დროშა დაცხრილა. ამან ლათინო-ამერიკელი აქტივისტების აღშფოთება გამოიწვია. საქმე ლამის სახალხო მღელვარებამდე მივიდა. შედეგად, სერიალის შემქმნელებმა ბოდიში მოიხადეს და ეპიზოდის ამოჭრის პირობა დადეს.

ამ ამბავთან დაკავშირებით გვახსენდება ამერიკული ბლოკბასტერი, თავის დროზე გახმაურებული მხატვრული ფილმი: „ნითელი სიცხე“, არნოლდ შვარცენეგერით მთავარ როლში. გასული საუკუნის 90-იანების დასაწყისში გადაღებული ეს კინოსურათი, სამყაროს გადამრჩენი უძლეველი კიჩგირით მთავარ როლში, ტრივიალური შინაარსის საკასო ფილმების რიცხვს მიეკუთვნება. მისი აქ მოხმობა იმ ფაქტმა განაპირობა, რომ ფილმში ბოროტების შემმუსვრელი გმირის მთავარ მონინალმდეგეს წარმოდგენს საბჭოეთიდან ემიგრირ-



რებული ნარკომოვაჭრე და მაფიოზი, ყოველგვარი სიბილნის განმასახიერებელი პერსონაჟი სახელად, არც მეტი, არც ნაკლები – რუსთაველი (!). ეს ფილმი დიდი წარმატებით გადიოდა ჩვენს კინოთეატრებში და დღესაც გადაიციმა ტელეარხებით. ეს ფაქტი თავის დროზე ჩვენშიც გააპროტესტეს, მაგრამ ფილმის შემქმნელებისგან წინა შემთხვევის მსგავსი რეაგირება არ მოჰყოლია.

უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე პოპულარული კულტურის არაერთი მკვლევარი მოიხმობს სერიალებს, როგორც ემპირიულ მასალას. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ კულტურის ბრიტანელი კრიტიკოსის ჰობსონისა და ჰოლანდიელი იენ ანგის დაკვირვებები. სატელევიზიო სერილების ინდუსტრია კარგად მოფიქრებული, მაყურებლის ფსიქიკაზე მიზანმიმართულად მოქმედი, რეალობის სიმულაციით ჩამნაცვლებელი პოლიტიკაა, რომელსაც საცდურის ფუნქცია აკისრია. თანამედროვე ქართულ სასერიალო კულტურაში „მასკულტურის იდეოლოგიით“ შეკავშირებული არაერთი პოზიცია იკვეთება, რომლებიც პოლიტიკურ კონტექსტშიც შეგვიძლია განვიხილოთ.

გავიხსენოთ პოპულარული ქართული სერიალი „შუა ქალაქი“, რომლის სანყისი სეზონები ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით წარმატებით გადაიციმოდა. 2007 წელს შექმნილი ამ ცნობილი სიტუაციური კომედიის ერთ-ერთ სერიაში პერსონაჟად ქალაქის მერი გიგი უგულავა გვევლინება, თანაც თვითმმართველობის არჩევნების წინ. აი, სხვა პასაჟიც ამავე სერიალიდან: ტელესაგის ერთ-ერთი გმირი – მარიკა სასნორზე დგება და შედეგით ინონებს თავს – 49 კილო! ირაკლი ეკითხება, როგორ შეძელი გახდომამო, მარიკა კი მიუგებს – „უგულავას დიეტა“! პასუხით კმაყოფილი ირაკლი კვერს უკრავს და ქალაქის მერის საქებად ამბობს – ყოჩაღ, გიგი! კორპუსი გარედანაც გაგვილამაზა და შიგნიდანაცო.

თუკი ქალაქის იმჟამინდელი თავკაცი მუდამ დადებით კონტექსტში, კეთილი იუმორით მოიხსენიება, ოპოზიციის ნებისმიერი წარმომადგენელი გონებაჩლუნგადაა გამოყვანილი და დაცინვის ობიექტია. ასე, მაგალითად, შემთხვევითი

არაა, რომ სერიალის კომიკური პერსონაჟის, დაბნეული და ბრიყვი სანდროს ნაცნობი გოგონა, მასზე უვიცი ვინმე თეო ოპოზიციური პარტიის საარჩევნო შტაბის აქტივისტია. იგი ოჯახთან ერთად ერთი წლით სანკტ-პეტერბურგში გადადის საცხოვრებლად. სერიალის მომდევნო პერსონაჟის – ეკას მიერ ბარში მათთან შეხვედრისას სასხვათაშორისოდ ნათქვამი – „პუტინიც სანკტ-პეტერბურგიდანაა“ – რეციპიენტზე (ტელე მაყურებელზე) ზემოქმედებისათვისაა გამიზნული. აქ აქცენტი პოლიტიკური ოპონენტების რუსეთთან კავშირზე კეთდება.

ეს მაგალითები ნათლად ადასტურებს, რომ ტელესერი-ალები, ისევე, როგორც სხვა გასართობი პროდუქცია, მედიის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ამ კონტექსტს კი ნაწილობრივ მაყურებელი და მისი მოლოდინიც განსაზღვრავს. რო-ლან ბარტის მტკიცებით, „ტექსტი ავსებს იერსახეს, ტვირ-თავს მას კულტურით, მორალითა და წარმოსახვით“. იერსახე კი არ ახდენს ტექსტის ილუსტრირებას, არამედ სწორედ ტე-ქსტი აძლიერებს მის კონოტაციურ პოტენციალს. ბარტი ამ პროცესს მოიხსენიებს, როგორც „გადაცემს“. თუკი მედი-ასაშუალებას წარმოვიდგენთ როგორც „სუპერტექსტს“, ცხა-დი ხდება, რომ 2010 წლის ქალაქის მესვეურის წინასაარჩევნო პერიოდში ტრანსლირებული პროდუქციის კონოტაციურ პო-ტენციალს თავად მედიასაშუალების სარედაქციო პოლიტიკა აძლიერებდა (დარბევის შემდეგ აღდგენილი მაუნყებლობის პირობებში). ისიც აშკარაა, რომ „გადაცემის“ პროცესი იმ აუდიტორიაზე ახდენდა გავლენას, რომელიც პროსახელისუ-ფლოდ მოიაზრებოდა. ამ სეგმენტისთვის ეს გაზიარებუ-ლი კულტურული კოდი იყო საპირისპიროდ აუდიტორიის ოპოზიციურად განწყობილი ნაწილისა, რომელიც ამ კომუ-ნიკაციურ გზავნილს, როგორც მითს, „კონტრმითს“ უპირი-სპირებდა და მისი „წაკითხვის“ ვარიაციად ხელისუფლების აუდიტორიაზე მანიპულირების მცდელობას იჩრევდა.

აქვე დავიმომენტებთ სკანდალური ქართული ტელესერია-ლის „ცხელი ძაღლის“ ნიმუშსაც. შემთხვევითი არაა, რომ ეს გახმაურებული სატელევიზიო დრამა ტელე-„იმედში“ ძველი

მფლობელის პირობებში შეიქმნა (2006 წელს რეჟისორმა ზაზა ურუშაძემ გადაიღო მისი მეოთხე სეზონი, რომლის სიუჟეტი პრემიერ-მინისტრის მხუთავი გაზით საექვო ვითარებაში გარდაცვალების ამბავზე იყო აგებული. ამ ისტორიის ზურაბ ჟვანიას სიკვდილთან მსგავსების გამო, 12 სერია ცენზურის ქვეშ მოექცა და გარკვეული დროით თაროზე აღმოჩნდა). მითს, რომელიც წინა ხელისუფლებამ მისი ბოლო სეზონის აკრძალვით შექმნა, „იმედის“ სარედაქციო პოზიცია აძლიერებდა და მას პოლიტიკური შინაარსით ტვირთავდა. თუკი „იმედის“ მაყურებლისთვის ეს ტელე-ნოველა უსამართლობასთან ბრძოლის სიმბოლოდ აღიქმებოდა, „რუსთავი-2-ის“ მაყურებლისთვის მისი „ნაკითხვა“ ოპოზიციური ძალების მიერ პოლიტიკური რევანშის მცდელობას უკავშირდებოდა. ამ კონკრეტულ მაგალითში კონოტაციური მნიშვნელობა დენოტაციის დონეზეც არსებობდა. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ნაკითხვის ვარიაციები“ მაინც სხვადასხვაა და, ისევ ბარტს თუ დავიმონმებთ, ცოდნის სახეობებზე დამოკიდებული, იმაზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს მკითხველი გამოსახულებას – იქნება ეს პრაქტიკული, კულტურული, ეროვნული, ესთეტიკური თუ სხვა ტიპის განსხვავება.

დღევანდელი ტელემედიის არაპუბლიცისტური შინაარსი, ძირითადად, მელოდრამატული ნიმუშებით – ე.წ. „საპნის ოპერებითა“ გაჯერებული. დროთა განმავლობაში, ისტორიულ კონტექსტზე დამყარებით, მათი „ნაკითხვის“ კოდი იცვლებოდა. ლათინოამერიკული სერიალების ეპოქა, რომელსაც წლების მანძილზე ჰქონდა ჩვენი ტელესივრცე დაპყრობილი, წარსულს ჩაბარდა. მათი ბუმი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. ჯერ კიდევ „გარდაქმნის“ პერიოდში ტელეეკრანებზე „მონა ქალი იზაურა“ გამოჩნდა, ხოლო სერიალმა „მდიდრებიც ტირიან“ ისეთი ფურორი მოახდინა, მთელი საბჭოური აუდიტორია ეკრანებს მიაჯაჭვა. „უცხო ხილისადმი“ ინტერესი იმდენად დიდი იყო, ცენტრალური ტელევიზიის წერილების რედაქცია საქმეს ვერ აუდიოდა. მაყურებელი თვალწინდელი ქვეყნის ყველაზე შორეული კუთხეებიდანაც კი გზავნიდა ბარათებს თხოვნით – გაემხი-

ლათ ყოველი მომდევნო სერიის შინაარსი. მათ შორის მრავლად იყო ასაკოვანი მაყურებელი, მუდარით რომ ავსებდა ტელემესვეურებს, „საპნის ოპერის“ ფინალი გაემჟღავნებინათ – შიშობდნენ, შერყეული ჯანმრთელობის გამო, ვაითუ დასასრულს ვერ მოვესწროთო. დღეს ამაზე გულიანად გვეცინება, მაგრამ იმ ხანაში თავისუფლებამონყურებულ ადამიანებს „ვესტერნულის“ ლამის ყოველგვარი გამოვლინება თავისუფლების სიოს მობერვად და მისი მცირე „ულუფის“ მოხელთებად ეჩვენებოდათ.

ამ ეტაპზე ჩვენი ტელეაუდიტორია თურქული ტელე-ნოველების „ტყვეობაშია“. სანამ სატელევიზიო „რესენტიმენტის“ ამ სეგმენტზე ვისაუბრებდეთ, აუცილებლად უნდა შევნიშნოთ ერთი ტენდენციის შესახებ. კერძოდ, ისეთ გლობალურ პროექტებს, როგორც სერიალი „დალასი“ იყო, კონტრდინების სახით სულ უფრო მეტად უპირისპირდება ლოკალური კულტურებიდან შეთავაზებული პროდუქცია. ცალკეულმა ქვეყნებმა კარგად განავითარეს „საპნის ოპერის“ ინდუსტრია და იგი არა მხოლოდ კომერციული მიზნით გამოიყენეს, არამედ ერთგვარი „საიმეჯო“ მნიშვნელობაც შესძინეს. ამასთან, მათი „ნაკითხვის“ კონოტაციურ დონეზე ხშირად იდეოლოგიური დატვირთვაც აშკარავდება. ასე მაგალითად, თურქული სერიალების „საიმეჯო პოლიტიკა“ პერსონაჟთა მიმართ სელექციურ მიდგომაში ვლინდება. მსახიობების გამორჩეული გარეგნული მახასიათებლების მიხედვით შერჩევა სილამაზის დასავლეთში დამკვიდრებული სტერეოტიპის მსხვერველს ემსახურება, რომელიც ამ ეთნოსს ტრანსკასპიური უდაბნოს მკვიდრის იერსახესთან აიგივებს. ევროპული სტანდარტების მსგავსად, თურქულ სერიალებში იდეალური გარეგნობის პერსონაჟები ჩნდებიან – ცისფერთვალეა, ღია ფერის თმითა და კარგი აღნაგობის მსახიობები მილიონობით მაყურებლის სიმპათიას იმსახურებენ.

სემიოტიკის ენაზე რომ ვთქვათ, ამგვარი მიდგომა თვალის ახვევას ჰგავს – მსგავსად შავგვრემანი ქალისა, რომელიც თმას ქერად იღებავს, ქერასავით გამოიყურება, მაგრამ შავგვრემანივით ფიქრობს. „ქერა თმის სემიოტიკაზე“

საუბრობს სოციოლოგი ჩარლზ ვინიკი ნიგნში – „დესექსუალიზაცია ამერიკელის ცხოვრებაში“ და შეღებულ ქერა თმას ნიშნებით მოცუების მაგალითად მოიხმობს. ამასთან დაკავშირებით, უმბერტო ეკო განმარტავს – თუკი ნიშნებს სიმართლის სათქმელად ვიყენებთ, შეგვიძლია მათი ტყუილის სათქმელად გამოყენებაც: „... თუ რაიმე არ შეიძლება სიცრუისთვის გამოვიყენოთ, ის საერთოდ არაფრის სათქმელად გამოდგება“.

ზემოხსენებული სერიאלები პოპულარულია არა მხოლოდ ქართველ მაყურებელში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშიც – რუსეთში, ბულგარეთში, აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩილეშიც კი! გავრცელების ეს მასშტაბები შეგვიძლია განვიხილოთ დასტურად ცენტრისკენული ძალების რეაქციისა პოპულტურის გლობალურ ცენტრიდანულ მოძრაობაზე, როგორც პასუხი ამერიკულ იდეაზე – მთელი მსოფლიოს საკუთარი კულტურული და პოლიტიკური პრეფერენციებით მონყობის შესახებ. შეიძლება ამ ვარაუდს ბევრი კრიტიკოსი გამოუჩინდეს, მით უფრო, რომ ცდისეულად მისი დადასტურება არ შეგვიძლია, მაგრამ შეუიარაღებელი თვალთაყვანისმცემად ჩანს, რა დიდი გავლენა აქვს თურქულ „საპნის ოპერებს“ ჩვენს აუდიტორიაზე.

ვფიქრობთ, ეს პოპულარობა, გარკვეულწილად, კულტურული და გეოგრაფიული სიახლოვითაა განპირობებული, მსგავსად მასმედიის „დემონსტრირების ეფექტისა“, რომლის მიხედვითაც ერთი საზოგადოების მედიის მომხმარებლები საერთაშორისო მედიის საშუალებით თვალყურს ადევნებენ სხვაგან მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს, რაც საკუთარ ქვეყანაში ცვლილებისთვის სულისკვეთების მიმცემი აღმოჩნდება ხოლმე. ეს ეფექტი უფრო შესამჩნევია, თუკი პროცესი გეოგრაფიულად და კულტურულად ახლო რეგიონში მიმდინარეობს.

ძნელია ამტკიცო ამ ჰიპოთეზის მართებულობა, მაგრამ მეზობელი ქვეყნის ტელესაგათა სულ უფრო მზარდი პოპულარობა და აუდიტორიის გარკვეულ სეგმენტზე მათი გავ-

ლენა ეჭვს არ იწვევს. სოციოლოგ ჰერბერტ განსისეულ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, ეს პროდუქცია მეტადრე სა-შუალოზე დაბალი და დაბალი საჯარო გემოვნების აუდიტორიების თავშექცევის საშუალებაა. ამგვარი დასკვნა შეიძლება ვინმეს გადაჭარბებული ეჩვენოს, მაგრამ რეიტინგების მთვლელი ფიფქმეტრების მონაცემები არ ტყუის! წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სხვა მედიაპროდუქტით ჩაანაცვლებდნენ (ცხადია, არც სიძვირე-სიიაფის საბაზრო პრინციპი უნდა გამოვრიცხოთ).

კიდევ ერთი ფაქტორი უნდა მივიღოთ მხედველობაში. თურქული სერიალების „ექსპანსიამ“ თითქოს შეარბილა კიდევ ნაციონალისტურ-რელიგიური ხისტი განწყობები, რაც ნათლად გამოვლინდა ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებული საპროტესტო მუხტის ქრობაში. მეტიც, ამ სერიალებს ერთგული მაცურებელი სომეხი ეროვნების წარმომადგენელთა შორისაც გამოუჩნდა (ერთმა მათგანმა ჩვენთან საუბრისას ისიც კი აღიარა, რომ ამ ქვეყნის მიმართ, გასაგები მიზეზების გამო, მტრული დამოკიდებულება ცი შემეცვალაო). ფაქტია, გავლენები არსებობს, მაგრამ მათი ერთმნიშვნელოვნად შეფასება არ შეიძლება. თუკი ახალგაზრდა აუდიტორია პოპკულტურის ამ ნაწილს მხოლოდ გართობის საშუალებად და გლობალიზაციის თანმდევ მოვლენად აღიქვამს, უფროსი აუდიტორიისთვის მანიპულაციისა და იდეოლოგიური გავლენის შეფარულ მცდელობად აღიქმება. ნათქვამი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კოდის ამოქმედება სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. პირველადი ამოხსნის დონეზე ესაა მელოდრამატული ისტორია – სენტიმენტალურ ნარატივთა წყება, მეორადი ამოხსნის დონეზე კი ეს გახლავთ სერიალის შემქმნელთა მცდელობა – წარმოაჩინონ თურქული „იმპერიალიზმის“ დადებითი იერსახე.

მართალია, პოპკულტურას ბევრი კრიტიკოსი ჰყავს, მაგრამ მცდარია მოსაზრება, თითქოს მისი შესწავლა ფუჭი და არაპრესტიჟული საქმეა. პირიქით, უმჯობესია საფუძვლიანად ვერკვეოდეთ იმ კულტურაში, რომელიც გარს გვახვევია და დღითი დღე, ნებით თუ უნებლიედ, ჩვენს აზროვნებაზე,

ქცევაზე, ურთიერთობებზე მოქმედებს; უდიდეს ეკონომიკურ გავლენას ახდენს მედიის შინაარსზე. სხვა თუ არაფერი, ეს ხომ საზოგადოებრივი პროცესების ცოდნაა, „გამასმედიებული ხელოვნება“ კი, ამა თუ იმ ფორმით, მთელ საზოგადოებას მოიცავს.



## თავისუფლების კულტურა საქართველოში



**იაგო  
კაჭკაჭიშვილი,**  
თსუ-ის  
სოციალურ და  
პოლიტიკურ  
მეცნიერებათა  
ფაკულტეტის  
პროფესორი,  
სოციოლოგი

პირველ რიგში, აუცილებელია, რომ შევთანხმდეთ თავისუფლების ცნებაზე. ამისათვის მიზანშეწონილია, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ თავისუფლება და თვითნებობა. თავისუფლება ნების შესაბამისად მოქმედებაა, თუმცა, ყველა ნებისმიერი მოქმედება არაა თავისუფლება. თავისუფლება ისეთი ნების (ანუ, სურვილის) შესაბამისი მოქმედებაა, რომელიც, ამავე დროს, ობიექტურობასთან არის წილნაყარი. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, თავისუფალი ვარ მაშინ, როდესაც საკუთარი სურვილით ვმოქმედებ ისე, როგორც უნდა ვიმოქმედო (ანუ, როდესაც „მინდა“ და „უნდა“ უერთდება ერთმანეთს). შესაბამისად, თვითნებობა არის „მინდას“ პრინციპის გააბსოლუტურება „უნდას“ გათვალისწინების გარეშე.

მოდერნული დისკურსი (აზროვნება) „უნდა“-ს პრინციპის გაუქმებას საზოგადოების დელეგიტიმაციის ტოლფასად მიიჩნევს, რადგან ისპო-

ბა სოციალური წესრიგი და ხდება ქაოსის გამეფება; ხოლო პოსტმოდერნული დისკურსისთვის „უნდა“-ს პრინციპის გაუქმება ადამიანისთვის სრულფასოვანი თავისუფლების მინიჭებაა.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ დევიაცია არსებობს მხოლოდ თავისუფლებისა და თვითნებობის განსხვავების შუქზე, ხოლო თუ მათ შორის ტოლობის ნიშანია დასმული, მაშინ დევიაცია უქმდება, მის არსებობას, უბრალოდ, აზრი ეკარგება.

თუმცა, აქ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია: რა არის „უნდას“ წყარო, რომელიც თავისუფლების განსხვავებულ გაგებას იძლევა, იმის მიღმა, რაც მას თვითნებობისაგან განსხვავებს? იმის მიხედვით, თუ რა არის „უნდას“ წყარო, შეგვიძლია გავიღეთ საზოგადოებებს/კულტურებს შორის განსხვავებებზე.

1. სამოქალაქო/ლიბერალური/დემოკრატიული საზოგადოებისთვის „უნდას“ წყარო კონვენციური ნორმები, ანუ კანონებია; თანაც, ლიბერალური ღირებულებების სულისკვეთების მატარებელი კანონები. სამოქალაქო საზოგადოება აღიარებს კანონის უზენაესობას და თავისუფლება გაიზომება სწორედ კანონებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

2. ტრადიციული საზოგადოებისთვის „უნდას“ წყარო არის ადათები, ჩვევები, ანუ საუკუნეებით განმტკიცებული სოციალური პრაქტიკები. აქ ადათი პრევალირებს კონვენციურ/ლია კანონზე.

3. თეოკრატიული საზოგადოებისთვის „უნდას“ წყარო არის რელიგიური სწავლება და წმინდა წერილები.

4. ტოტალიტარულ საზოგადოებაში „უნდას“ წყარო არის უსაზღვრო ძალაუფლებით აღჭურვილი ბელადი, ის კანონზე მაღლა დგას და თავისი ხუშტურებით მართავს.

აქ შეიძლება მივიღეთ ასეთ პარადოქსამდე: თუ გავიზიარებთ, რომ თავისუფლება არის უნდაობითი რეალიზაცია, თავისუფალი შეიძლება ენოდოს ისეთ ადამიანს, რომელიც საკუთარი ნებით აღმერთებს დიქტატორს (მაგალითად, ჩრდილოეთ კორეაში). ამ პარადოქსს რომ თავი დავაღწიოთ,

უნდა შემოვიტანოთ პოზიტიური და ნეგატიური თავისუფლების ცნებები.

ერთი განსხვავება მათ შორის ასეთია: ნეგატიურ თავისუფლებასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც ადამიანი ახერხებს იმას, რომ მოიქცეს ისე, როგორადაც მას არ სურს მოიქცეს, თუმცა ვერ ახერხებს იმას, რომ მოიქცეს ისე, როგორადაც მას სურს მოიქცეს. ასეთ დროს, იგი გარკვეულ წინააღობებს გადალახავს, მაგრამ საკუთარ თავს ვერ იმკვიდრებს.

თუმცა მე სხვა განსაზღვრებას შემოგთავაზებთ (თუ ეს განსხვავება არ შემოვიტანეთ, ჩვენ შეიძლება მივიდეთ, ერთი შეხედვით, პარადოქსულ დებულებამდე) – თუ ჩვენ ვამბობთ, რომ თავისუფლება არის ნებელობითი მოქმედება, რომელიც უერთდება „უნდას“ და ამ „უნდას“ ერთ-ერთ წყაროდ დავასახელებთ უსაზღვრო ძალაუფლებით აღჭურვილ ბელადს, მაშინ ვდგებით ასეთი დაშვების წინაშე, რომ ის ადამიანიც კი, რომელიც საკუთარი ნებით ბელადს ემორჩილება – ბელადს, როგორც „უნდას“ წყაროს – თავისუფალია.

ვუნოდოთ თუ არა დიქტატორებისადმი მორჩილ ადამიანს თავისუფალი ადამიანი?

აქ, რასაკვირველია, გარკვეული უხერხულობა იქმნება და ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ძალიან სასარგებლო დახმარებას გაგვინევს განსხვავება პოზიტიურ და ნეგატიურ თავისუფლებას შორის.

კერძოდ, პოზიტიურ თავისუფლებაში უნდა ვიგულისხმოთ ისეთ ჯერარსზე, ისეთ „უნდაზე“ სწორება, რომელიც უპიროვნო, ანონიმურ ჯერარსზე სწორებაა. რა შეიძლება იყოს ასეთი უპიროვნო და ანონიმური ჯერარსი? ეს შეიძლება იყოს, ვთქვათ, კანონი. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოზიტიურ თავისუფლებაში იმყოფება ადამიანი, რომელიც კანონმორჩილია. ასევე – ასეთი უპიროვნო ჯერარსი შეიძლება იყოს ღმერთი და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოზიტიურ თავისუფლებაში იმყოფება ის ადამიანი, რომელიც მორწმუნეა. პოზიტიური თავისუფლების ველში ჩვენ შეგვიძლია შემოვიყვანოთ ტრადიციებსა და ადათებზე ორიენტირებული ან კონსერვატორი და ტრადიციონალისტი ადა-

მიანიც; ტრადიცია და ადათი ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც უპიროვნო, ანონიმური, ამ შემთხვევაში, კოლექტიური ნების თვალსაზრისით.

რაც შეეხება ნეგატიურ თავისუფლებას, მას შეიძლება ვუნოდოთ ე.წ. გაპიროვნებულ ჯერარსზე სწორება. ასეთი გაპიროვნებული ჯერარსი, პირველ რიგში, შეიძლება იყოს და არის ავტორიტარი. შესაბამისად, ნეგატიურ თავისუფლებაში იმყოფება ის ადამიანი, ვინც ავტორიტარის მონაა. არ შევცდები, ალბათ, თუ ვიტყვი, რომ ასეთ გაპიროვნებულ ჯერარსს შეიძლება, აგრეთვე, წარმოადგენდეს საკუთარი თავი – როდესაც ადამიანი ახდენს საკუთარ თავზე სწორებას, საკუთარი თავის გააბსოლუტურებას, საკუთარი თავის ჯერარსად ქცევას. ასეთ ადამიანს ჩვენ შეგვიძლია ვუნოდოთ ნარცისი ან ეგოცენტრიკი. შესაბამისად, პოზიტიურ თავისუფლებაში მყოფ ადამიანებს შეიძლება ვუნოდოთ კანონმორჩილი, მორწმუნე, ტრადიციებზე ორიენტირებული ადამიანი, ხოლო ნეგატიურ თავისუფლებაში მყოფებს – ბელადის მიმართ უპირობო მორჩილებაში მყოფები ან ნარცისები.

აქ მინდა კიდევ ერთი ცნება შემოვიტანო – ეს არის ათეიზმის ცნება, ოღონდ ამ ცნებას შევხედოთ უფრო ფართო მნიშვნელობით, ვიდრე მას რელიგიური სწავლება განიხილავს. ათეისტად ჩვენ შეგვიძლია დავსახოთ ისეთი ადამიანი, რომელიც უარყოფს აბსოლუტს, უარყოფს ღმერთს ან/და მას ანაცვლებს ისეთი რამით ან ვინმეთი, რომელიც პრინციპულად ან კატეგორიულად არ შეიძლება იყოს ასეთი. ასეთ ყოფიერებას ჩვენ დავარქმევთ ფსევდოაბსოლუტურ ყოფიერებას.

როდესაც ვლაპარაკობთ უპიროვნო ჯერარსზე სწორებაზე, როგორც პოზიტიურ თავისუფლებაზე, ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვყავს მორწმუნეები, რომლებიც აღიარებენ აბსოლუტს, თუმცა, ასევე, მხედველობაში გვყავს ის ათეისტებიც, რომლებიც აბსოლუტს ანაცვლებენ ფსევდოაბსოლუტით, იქნება ეს კანონი, სამართალი თუ ტრადიცია. ვებერს ან სხვა სოციოლოგებს დავესესხები: ისინი ამბობენ – გასაგებია, რომ მონესრიგებულ საზოგადოებას სჭირდება კანონმორჩილი ადამიანი, მაგრამ კანონსაც არ

უნდა შევხედოთ აბსოლუტური აზრით, ანუ კანონს არ უნდა შევხედოთ, როგორც ჩაკეტილ სისტემას. კანონი – ეს არის ღია სისტემა, რომელსაც უნდა შევხედოთ, როგორც კონვენციურ პრინციპს, ადამიანთა შორის შეთანხმების პროდუქტს, ხოლო ის, რაც ადამიანთა შორის შეთანხმების პროდუქტია, შეიძლება შეიცვალოს. მაშ, კანონი ფსევდოაბსოლუტია, რადგან ის, ერთი მხრივ, მოითხოვს მასზე, როგორც უპიროვნო ჯერარსზე სწორებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ღია სისტემაა – ის არ არის უცვლელი, მარადიული და ა.შ.

იგივე შეგვიძლია ვთქვათ ადათზე. ადათს დროის განმავლობაში გამომუშავებული და შექნილი მეტნაკლები მდგრადობა გააჩნია, მაგრამ მაინც გახლავთ ღია სისტემა, ურთიერთობების ღია მოდელი, რადგან შესაძლებელია მოხდეს ადათების რევიზია, გადასინჯვა, გარკვეული ჩვევების უარყოფა და სხვ.

როდესაც პოზიტიურ თავისუფლებაზე ვსაუბრობთ აბსოლუტთან და ფსევდოაფსოლუტთან მიმართებით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ადამიანები, რომლებიც კანონის, რელიგიის, ტრადიციის ან ადათის ფარგლებში რჩებიან, შეგვიძლია პოზიტიური თავისუფლების ველში დავტოვოთ და ასეც უნდა მოვიქცეთ.

განვიხილოთ ტიცინ ტაბიძის ლექსი – „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა“ – როგორ შეიძლება ადამიანი აღიარებდეს, რომ ის დაიბადა მონად და ამით ამაყობდეს? მაგრამ თუ სხვაგვარად შევხედავთ, ვნახავთ, რომ აქ ტიცინის მხედველობაში ჰქონდა სწორედ მონობა პოზიტიური თავისუფლების ფარგლებში. ამ შემთხვევაში ის ლაპარაკობს საქართველოზე, მის ჩვევებზე, მისი ტრადიციების მიმართ ერთგულებაზე, კონსერვანტული პრინციპების ერთგულებაზე („მონობაზე“), ამიტომ ეს არ არის ნეგატიური თავისუფლება. თუმცა ყველა ის შემთხვევა, როცა საქმე გვაქვს ავტორიტარის მიმართ უპირობო მორჩილებასთან, ან როდესაც სახეზეა საკუთარი თავის გააბსოლუტურება, ეს გახლავთ ათეიზმის ან ფსევდო-აბსოლუტივიზმის ისეთი გამოვლენა, რომელიც ნეგატიური თავისუფლების ფარგლებში უნდა მოთავსდეს.

კიდევ ერთ რამეზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება. ეს არის სინდისის ფენომენი. ყველა ის ფაქტორი, ჯერარსის ყველა ის წყარო, რომელიც აღვწერე, იქნება ეს კანონი, ადათი, რელიგიური მოძღვრება თუ ავტორიტარი, არის ე.წ. გარეფაქტორები – დავარქვათ ამას ობიექტური ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ადამიანზე და განსაზღვრავენ მათი სურვილების და მათი ნებელობის მიმართულებას. თუმცა არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, შინაგანი უნარი ან შინაგანი ჩვევა – ეს არის სინდისი, როგორც თავისუფლების „სუბიექტური“ გარანტი. ცნება „სუბიექტური“ აქ შეგნებულად არის ჩასმული ბრჭყალებში იმიტომ, რომ სინდისი არ გახლავთ ზედმინევით სუბიექტური მოვლენა, ეს არის სუბიექტურ-ობიექტური მოვლენა, რაც იმას ნიშნავს, რომ სინდისი არის ის, რასაც ადამიანი ვერ მართავს ბოლომდე, მიუხედავად მისი სურვილისა. ყველაზე კარგად ამას აჩვენებს ისეთი საინტერესო მოვლენა, როგორც არის სინდისის ქენჯნა. რას ნიშნავს – „სინდისი მქენჯნის“? რა პროცესია ეს? სინდისის ქენჯნა ჩვენ შეიძლება ვუწოდოთ საკუთარ თავზე ზენოლას, რომ მოვიცეთ არა ისე, როგორც გვსურს, არამედ ისე, როგორც უნდა მოვიცეთ. ამ შემთხვევაში რალაც ინსტანცია – ჩვენგან დამოუკიდებელი – გვკარნახობს, რომ ის, როგორც გვინდა მოვიცეთ, არ არის სწორი, ამიტომ ასე არ უნდა მოვიცეთ.

საინტერესოა სინდისის მიმართება ნეგატიურ ან პოზიტიურ თავისუფლებასთან. ნეგატიური თავისუფლების ფარგლებში სინდისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, არ არის სუფთა. როცა ვამბობთ, „სუფთა სინდისით აკეთებს საქმეს“ – ეს მიესადაგება პოზიტიურ თავისუფლებას. ნეგატიური თავისუფლების ფარგლებში სინდისი მოქმედებს, მაგრამ, თუ ადამიანს სინდისი იმიტომ ქენჯნის, რომ ბელადის მოთხოვნა არ შეასრულა, ეს არის სინდისის შერყვნა, „დაბინძურებული“ სინდისი.

სინდისის ქენჯნა არის ადამიანის არსებობის წესის შემადგენელი ნაწილი. ის, ვისაც სინდისი არ ქენჯნის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანად ყოფნის უფლებას ემშვიდობება,

კარგავს. ამიტომ, ვფიქრობ, ამ სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინება, როდესაც თავისუფლებაზე ვლაპარაკობთ, ძალიან მნიშვნელოვანია.

მოდით, დავახასიათოთ ქართული საზოგადოება თავისუფლების ცნების იმ შინაარსიდან გამომდინარე, რაზეც აქამდე ვისაუბრე.

ვფიქრობ, რომ ქართული საზოგადოება – ეს არის ნეგატიური თავისუფლებიდან პოზიტიური თავისუფლებისაკენ სვლა, ვგულისხმობ თუნდაც პოსტსაბჭოთა ქართულ საზოგადოებას, რომელსაც, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც დღევანდელ, ანუ ანმყოში მოცემულ საზოგადოებად განვიხილავ. ეს სვლა ნეგატიური თავისუფლებიდან პოზიტიური თავისუფლებისაკენ ხორციელდება ჰიბრიდულ რეჟიმში. ქართული საზოგადოება ჰიბრიდული საზოგადოებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ის საკუთარ თავში აერთიანებს ჩემ მიერ ჩამოთვლილი ოთხივე საზოგადოების ელემენტებს, თუმცა – გარკვეული აქცენტებით.

ჩემი აზრით, ქართულმა საზოგადოებამ მეტნაკლებად „მოინელა“ ე.წ. ნეგატიური თავისუფლების ბაცილა, ანუ თავი დააღწია ავტორიტარიზმს, როგორც ათეიზმის სპეციფიკურ ნაირსახეობას. ამის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად გამოდგება ის, რომ, თანამედროვე ქართულმა საზოგადოებამ ძალაუფლების მოყვარეობისთვის დასაჯა პოსტსაბჭოთა საქართველოს ორი ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკოსი: ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ სააკაშვილი. (ვფიქრობ, მესამე ხელისუფლებაც აქეთ მიდის). ეს ნამდვილად მეტყველებს იმაზე, რაც უკვე მოგახსენეთ, რომ სწორება ისეთ გაპიროვნებულ ფერარსზე, როგორიც არის ავტორიტარი, აღარ არის ქართული საზოგადოებისთვის მიმზიდველი, თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოში დღესდღეობით ერთმანეთს ექიშპება სამი ნაკადი, ეს არის სამოქალაქო ან ლიბერალური, ტრადიციული და კლერიკალური ან თეოკრატიული.

ამ ურთიერთმეჯახებას, ამ კოლიზიას, ამ დაპირისპირებას გააჩნია თავისი აღწერა. ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი აღწერა იქნება ის, რომ ფორმალური ინსტიტუტებისა და



კანონმდებლობის დონეზე საქართველო სამოქალაქო ლიბერალური წესრიგის მქონეა – ნებისმიერ სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, ანუ ფორმალური ინსტიტუტები სწორედ დემოკრატიულ სტანდარტებზე ახდენს სწორებას. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ყველაზე უფრო საკამათო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც მიიღო ქართულმა საზოგადოებამ. ეს კანონი ჩვენთან არსებობს როგორც ევროპულ სივრცესთან ჩვენი ახლობლობის ერთ-ერთი გარანტი. ანუ, ფორმალურ-ინსტიტუციურად, სამართლებრივ დონეზე, ჩვენ ვართ ლიბერალური საზოგადოება, თუმცა ამ ფორმალური წესრიგის ნებაყოფლობით გამზიარებელთა წილი, არა მგონია, რომ დიდი იყოს და ამას სხვადასხვა კვლევა აჩვენებს.

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფორმალურ-ინსტიტუციური ნორმების ინტერნალიზება ანუ გაშინაგნება საქართველოში ჯერ კიდევ ხდება უპირატესად სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების, ამ ინსტიტუტების წევრების და აქტივისტების მიერ. მაინც მგონია, და ჩემს დასკვნას ამყარებს კვლევები, რომ საქართველოს საზოგადოების დიდი ნაწილი, შეგვიძლია ვთქვათ, უმრავლესობაც, განწყობების, დამოკიდებულებების და გარკვეული ქცევითი მზაობების დონეზე, მზად არის სამოქალაქო ლიბერალური წესრიგი შესწიროს როგორც ტრადიციების, ისე რელიგიური მოთხოვნების მიმართ ერთგულებას. ამ თვალსაზრისით, შინაარსობრივად ანუ ინტერნალურად, ქართული საზოგადოება არ პასუხობს სამოქალაქო საზოგადოების ძირითად სტანდარტებს. სამართლებრივი თვალსაზრისით, ყველაფერი წესრიგშია ანუ, ფაქტობრივად, ვერ ნახავთ სოციალური ცხოვრების რომელიმე ისეთ სფეროს, რომელიც ევროპული დემოკრატიის ტრადიციით არ იყოს ნასაზრდოები, თუმცა ეს არის უფრო გარედან შემოსული ან ზემოდან თავს მოხვეული წესრიგი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ხვდება ნებელობა, არ ხვდება შინაგანი თანხმობა.

ყველაზე რელიეფურად, სადაც ჩანს ქართული საზოგადოების არალიბერალური ნაკადი, ეს არის, მაგალითად,

ოჯახში გენდერული როლების განაწილება. სანიმუშოდ წარმოგიდგინთ ეროვნული შერჩევის რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, რომელიც გაეროს განვითარების სააგენტომ დაუკვეთა კვლევით ორგანიზაციას ACT. ეს კვლევა საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 2013 წელს, თუმცა, არ ვფიქრობ, რომ ამ თვალსაზრისით შედეგები და ვითარება დრამატულად შეიცვალა. აქ ჩამოთვლილია რამდენიმე დებულება, მათ შორის, წყვილადი დებულებები და თითოეულ დებულებაზე რესპონდენტების დათანხმების ხარისხია გაზომილი.

ავიღოთ პირველი დებულება: „კარგი ცოლი ემორჩილება მეუღლეს მაშინაც კი, როცა არ ეთანხმება მას“. ამ დებულებას 63 % ეთანხმება; მეორე: „ქალი უფრო სახლის მოვლისა და ბავშვის გაზრდით უნდა იყოს დაკავებული და არა პროფესიული წინსვლით“, – ამას 61 % ეთანხმება. შემდეგ არის წყვილადი დებულება – „ქალს უნდა შეეძლოს საკუთარი ამხანაგების, მეგობრების არჩევა მაშინაც კი, თუ მეუღლე ამის წინააღმდეგია“, – ამას არ ეთანხმება უმრავლესობა – 55 %. როდესაც იგივეს ვეკითხებით მამაკაცზე, ამ შემთხვევაში ეთანხმება უმრავლესობა – 58%. მაშ, ქალის არჩევანი ისეთ უმტკივნეულო საკითხშიც კი, როგორც არის მეგობრების არჩევა, ქართული საზოგადოების თვალსაზრისით, გაცილებით შეზღუდულია მამაკაცთან შედარებით.

შემდეგი წყვილადი დებულებები ეხება გენდერული როლების განაწილებას. „იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ოჯახი, ცოლმა უნდა მოითმინოს გარკვეული შეურაცხყოფა მეუღლისგან“, – ამ მოსაზრებას 45 % ეთანხმება. „იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ოჯახი, ქმარმა უნდა მოითმინოს გარკვეული შეურაცხყოფა მეუღლისგან“ – 61% არ ეთანხმება ამ დებულებას. ეს გარკვეული ნაწილია ინდიკატორების და სრულიად ნათლად აჩვენებს, რომ სოციალური ცხოვრების ისეთ სფეროში, როგორცაა ოჯახური ცხოვრება/ოჯახში გენდერული როლების განაწილება, ქართული საზოგადოება უფრო მეტად ორიენტირებულია ტრადიციულ, კონსერვატიულ და არალიბერალური დემოკრატიის ღირებულებებზე.

შემდეგ მონაცემში უკვე ჩანს კოლიზია კლერიკალიზმსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის: კითხვაზე – „თქვენი აზრით, უნდა ეცნობოდნენ თუ არა პოლიტიკოსები ეკლესიის პოზიციას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გადანყვეტილების მიღების დროს?“ – 27% ამბობს: „დიახ, ნებისმიერ საკითხზე“, 51% პასუხობს: „დიახ, მხოლოდ გარკვეულ საკითხებზე“. თუ დავაჯამებთ ამ ორ პოზიციას, აღმოჩნდება, რომ ქართული საზოგადოების გამოკვეთილი უმრავლესობა აღიარებს, რომ სახელისუფლო სტრუქტურებმა არა უბრალოდ უნდა ითანამშრომლონ, არამედ მენტორად უნდა გაიხადონ ეკლესიის წარმომადგენლები და მათთან უნდა შეათანხმონ უმნიშვნელოვანესი გადანყვეტილებები. გადანყვეტილების მიღების პროცესში ჩართული უნდა იყოს ეკლესია, როგორც უმნიშვნელოვანესი და სერიოზული აქტორი.

მოგეხსენებათ, რაც მოხდა 2013 წლის 17 მაისს, როდესაც მართლმადიდებლური ეკლესიის წევრები და მოსახლეობის ნაწილი დაუპირისპირდნენ მცირე ჯგუფს, რომელსაც სექსუალური უმცირესობების მხარდასაჭერი აქციის გამართვა სურდა. ისევ გთავაზობთ კვლევის მონაცემებს – როგორ ხდება ამ მოვლენის შეფასება? კითხვაზე: „სექსუალური უმცირესობების მხარდასაჭერი აქციის მოწინააღმდეგეთა რეაქციას როგორ აფასებთ?“ – უფრო დიდი ნაწილი ამბობს, რომ დადებითად აფასებს. პარალელისთვის – თავად სექსუალური უმცირესობების მხარდასაჭერად აქციის მოწყობას დადებითად აფასებს ერთზე ცოტა მეტი პროცენტი, ხოლო მართლმადიდებელი სასულიერო პირების მოქმედებას დადებითად აფასებს უმრავლესობა – 52%. მოგეხსენებათ, რომ მაშინ დააკავეს რამდენიმე სასულიერო პირი კანონდარღვევისთვის და ძალადობისთვის. ეს კვლევა ჩატარებულია ამ მოვლენიდან რამდენიმე ხანში და კითხვაზე: „გამართლებულია თუ არა 17 მაისის აქციაში მონაწილე საეკლესიო პირების პასუხისგებაში მიცემა?“ – უმრავლესობა, 57% ამბობს, რომ საეკლესიო პირების დაკავება დაუშვებელია. სასულიერო პირი არის ხელშეუხებელი ადამიანი, რომელიც კანონზე მაღლა დგას.

დასკვნის სახით მოგახსენებთ, რომ თანამედროვე საქართველოში თავისუფლების კულტურა ფორმალურად განსაზღვრულია დემოკრატიული პრინციპებით, თუმცა შინაარსობრივად უფრო მეტად საზრდოობს ტრადიციებითა და კლერიკალიზმით. დემოკრატიის ფორმალურობა მის გარედან ან ზემოდან უზრუნველყოფას ნიშნავს, რასაც არ უერთდება მოქალაქეთა შინაგანი ინტერნალური ნება. ეს დემოკრატიას ნაკლოვნად აქცევს, რადგან ის, მეტწილად, იძულებით ხორციელდება და არა ნებაყოფლობით. ეს თეზისი შემონმბებულია კვლევების საფუძველზე და სტატისტიკურად შეჭიდულია სხვადასხვა ცვლადთან იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობს ადამიანი, რა განათლება აქვს მას, რომელი რელიგიის მიმდევარია და რა ასაკისაა. ახალგაზრდა, განსაკუთრებით 18-24 წლის თაობა, უფრო მეტად განთავისუფლებულია სამოქალაქო საზოგადოების სუბორდინაციის კლერიკალიზმზე ან ტრადიციებზე სუბორდინაციის აღკვეთისგან თუ მოთხოვნისგან.

## პოლიტიკური იდეოლოგიები და მაკროეკონომიკური პოლიტიკის ტრანსფორმაცია საქართველოში

ნოდარ  
სადური,  
თსუ-ის  
ეკონომიკისა  
და ბიზნესის  
ფაკულტეტის  
პროფესორი,  
ეკონომისტი



მაკროეკონომიკური პოლიტიკა ბევრ საინტერესო ფაქტორს ეყრდნობა, მათ შორის: ქვეყნის და საზოგადოების განვითარების დონეს, სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, ლიდერის ინსტიტუტს და ა.შ. ეს არის ის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ – თუ როგორი უნდა იყოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ფორმირებასაც, თავის მხრივ, იდეოლოგია უდევს საფუძვლად. იმისათვის, რომ გავიგოთ – იდეოლოგიურად სად ვართ და ვნახოთ – რა ტრანსფორმაციას განიცდის ჩვენი ეკონომიკა, უნდა გავიხსენოთ სოციალიზმისა და კომუნიზმის ეპოქა, საიდანაც, ისტორიული გარემოებების გამო, ჩვენც მოვდივართ და უნდა გავიხსენოთ ამ ორი საზოგადოებრივი ფორმაციის „დიადი“ პრინციპები. ერთ შემთხვევაში იდეოლოგია ეყრდნობოდა პრინციპს: „ყველასაგან

შესაძლებლობის მიხედვით და ყველას – შრომის მიხედვით“, მეორე შემთხვევაში კი პრინციპს: „ყველასაგან შესაძლებლობის მიხედვით და ყველას – მოთხოვნილების მიხედვით“. ცოტა ხნის წინ ჩვენს ქვეყანაში ეს ეპოქა დასრულდა. ახლა საინტერესოა, საით მივდივართ?

საქართველომ ახალ ფორმაციაზე გადასვლისთვის ტრანსფორმაციის რაღაც ნაწილი უკვე გაიარა, თუმცა გასავლელი დარჩა მნიშვნელოვანი ეტაპები, მათ შორის: არჩევანის და მენარმეობის თავისუფლება, კერძო ინტერესი, კონკურენცია, ფასების სისტემა, ანუ საბაზრო მექანიზმი და სახელმწიფოს შეზღუდული როლი, ანუ ე.წ. კაპიტალისტური იდეოლოგია, რომელსაც ქვეყანა უნდა ეყრდნობოდეს.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის შექმნის რამდენიმე სერიოზული კონცეფცია შემუშავდა, თუმცა ქვეყანა მაინც მძიმე დღეში აღმოჩნდა, რადგან ეკონომიკის განვითარებაზე მაშინ ნაკლებად ზრუნავდნენ. შედეგად, საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიდან ეკონომიკურად ყველაზე დიდი დარტყმა – 75-პროცენტიანი დაცემა – საქართველომ მიიღო. ჩვენზე ცუდ მდგომარეობაში იყო მხოლოდ ერთი ქვეყანა – ტაჯიკეთი. დღესაც, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, საქართველო, მოლდოვა და ტაჯიკეთი არიან ის ქვეყნები, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს საბჭოთა კავშირის დაშლის დროს არსებულ ეკონომიკურ დონეს.

თავიდან რეფორმები ემყარებოდა ე.წ. ვაშინგტონის კონსენსუსს, ანუ შოკურ თერაპიას, თუმცა, არა ბოლომდე, ვინაიდან არსებობდა საკითხები, რომლებშიც არათანმიმდევრულები ვიყავით. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ უფრო რუსულ გზას გავყევით, ვიდრე იმ გზას, რომელსაც კლასიკური შოკური თერაპია ითვალისწინებდა. საბოლოოდ, მხოლოდ 1994 წლიდან მოხერხდა მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. 1996-1997 წლები საქართველოში ეკონომიკის აღმავლობის ძალიან საინტერესო წლები იყო (დაფიქსირდა 10 პროცენტზე მეტი ეკონომიკური ზრდა). ასეთი სულ ოთხი წელი გვქონდა საქართველოს ისტორიაში: 1996, 1997,

2003 და 2007. ამ წლებში ჩვენ ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვექონდა. 2007 წლის შემდეგ კი, რადიკალურმა პოლიტიკამ ეკონომიკაშიც და სახელმწიფო მმართველობაშიც, საერთოდ დაანგრია ქვეყანაში ყველაფერი, მათ შორის, ლიბერტარიანიზმის მთავარი პრინციპი – კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა. როდესაც ჩვენ ვამაყობდით, რომ, თურმე, საქართველოში 15 წუთშია შესაძლებელი – შექმნა სანარმო და ამან უნდა დააინტერესოს ინვესტორები, არავის ხმამაღლა არ უთქვამს, რომ, ასევე, 15 წუთში იყო შესაძლებელი – ადამიანს თავისი ოფლით შექმნილი ქონება დაეკარგა. ინვესტიციების დიდი ნაწილი, რომელიც 2007 წელს ჩაიდო საქართველოში და რაც 2 მილიარდ დოლარს აღემატებოდა, იყო არა რეალურად ინვესტიცია, არამედ უძრავი ქონების მეპატრონის შეცვლა (ხშირ შემთხვევაში, უკვე პრივატიზებული ქონების წართმევისა და ხელახლა გაყიდვის ხარჯზე).

თეორიაში ძალიან ხშირად განიხილება პრივატიზაცია, როგორც არა ქონების, არამედ ფუნქციების გაყიდვა, სახელმწიფოს მხრიდან მათ ნაწილზე უარის თქმა და კერძო სექტორისათვის გადაცემა. თავისთავად ცხადია, რომ ყველა ფუნქციის გადაცემა წარმოუდგენელია, მაგრამ „უძრაობის პერიოდში“ სახელმწიფო იღებდა ვალდებულებებს ისეთ რამეზე, რომლის შესრულების ეფექტიანობა სახელმწიფოს ხელში გაცილებით დაბალი იქნებოდა, ვიდრე კერძო სექტორის ხელში. ამის შედეგებს ჩვენ დღესაც ვიმკით. მაგალითად, ქვეყანაში 400 სახელმწიფო სანარმოა, საიდანაც რეალურად მომგებიანია 5. და ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფო სანარმო არ შეიძლება იყოს მომგებიანი, არამედ იმიტომ, რომ ის 396 სანარმო არის იმ ფუნქციების მატარებელი, რომელიც არ უნდა იყოს სახელმწიფო ფუნქცია.

მნიშვნელოვანია, რომ იზრდება დამამუშავებელი მრეწველობისა და ადგილობრივი წარმოების უკლებლივ ყველა მიმართულების ექსპორტი, გაორმაგებულია ღვინის წარმოებისა და ქვეყნიდან გატანის მაჩვენებელი, ხოლო ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდგომ საქართველოს აქვს კარგი შესაძლებლობა, რომ გახდეს პლაცდარმი ექს-



პორტისათვის ევროკავშირში, მით უფრო, რომ საქართველო არის ტრანზიტული ქვეყანა.

რაც შეეხება გავლენებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, ამ სეგმენტზე უარყოფითი გავლენა მოახდინა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, თუმცა ეკონომიკური პრობლემები გაცილებით ადრე, მაისში დაიწყო. ამ პერიოდთან ბანკები უკვე უარს ამბობდნენ სესხების გაცემაზე. მართალია, გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა საქართველოზეც მოახდინა გავლენა, მაგრამ საქართველოს ჩართულობა ეკონომიკის გლობალურ ფინანსურ ბაზარზე დაბალი იყო, რამაც ქვეყანას, ასე ვთქვათ, გარკვეული იმუნიტეტი შეუნარჩუნა. ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ ომის შემდგომ საქართველომ საკმაოდ დიდი ოდენობის დახმარება მიიღო.

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი დღეს არის ინვესტიციების ხელშეწყობა, რომელიც თავისუფლებას და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტიებს უნდა ეყრდნობოდეს. ქვეყნის ეკონომიკაში წამყვანი ძალა კერძო სექტორი უნდა იყოს და არა სახელმწიფო, რადგან, თუ სახელმწიფო იქნება განმსაზღვრელი – თუ სად რა უნდა აშენდეს, ვინ უნდა ააშენოს, რამდენად, როგორ და ა.შ., ქვეყნის ეკონომიკური განვითარება შორს ვერ წავა.

აქვე შევეხები ხარისხიანი განათლების მიღების პრობლემასაც. მიუხედავად იმისა, რომ დიპლომების რაოდენობით საქართველო მსოფლიოში, ალბათ, ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა, განათლების დონით, სამწუხაროდ, სტანდარტებს ჩამოვრჩებით. ერთი მაგალითი უნდა მოგიყვანოთ. ჩვენ, დაახლოებით, ერთი წელია, კონკურსი გვაქვს გამოცხადებული ინფორმაციის დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელფასი ცუდი არ არის (დაახლოებით 5 ათას ლარამდეა), ვერავინ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. ასევე ვეძებთ შიდა აუდიტის უფროსს. ჩემდა გასაკვირად, ვერც ამ ვაკანსიაზე წამოყენებულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა კერძო სექტორში. როცა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ცნობილი ნავთობსადენის მშენებლობა მიმდინარეობდა, ბიპი-მ პაკისტანიდან

შემოიყვანა შემდუღებლები, რადგან შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანები საქართველოში ვერ ნახა. ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ პროფესიულ განათლებას მივაქციოთ ყურადღება.

ყურადღებას გავამახვილებ სამ მთავარ პრობლემაზე, რომელიც განაპირობებს სხვა დანარჩენი პრობლემების არსებობას, ესენია: კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასაკმარისად განვითარებული ადამიანისეული კაპიტალი და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა. ამ პრობლემების გადაწყვეტის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ საქართველოს ეკონომიკაში განვითარების უფრო სწრაფი ტემპები დაიწყოს.

## იოანე პეტრინის პლატონური თეოლოგია და ინტელექტუალური ცხოვრება ბიზანტიაში



**ლევან  
გიგინეიშვილი,**  
თსუ-ის  
ჰუმანიტარულ  
მეცნიერებათა  
ფაკულტეტის  
პროფესორი

დღეს ვისაუბრებ იოანე პეტრინზე და ძირითადად, ვისაუბრებ იმ ფონზე, რა ფონზეც ის ქმნიდა თავის ფილოსოფიას. ეს თუ არ გავითვალისწინეთ, შეიძლება ვერც გავიგოთ კარგად, თუ რა რევოლუციური როლი აქვს მას არა მარტო ქართულ კულტურაში, არამედ ბიზანტიური კულტურის კონტექსტში. ეს ეხება ძალიან ღრმა საკითხს: ფილოსოფიისა და რელიგიის, კერძოდ კი, ქრისტიანული რელიგიის, ურთიერთობას, რადგან ფილოსოფია (რომელიც წარმოიშვა საბერძნეთში ძვ.წ. მე-6 საუკუნეში) გულისხმობდა ახალ მიდგომას რეალობის მიმართ – ახალ მეთოდს. აქ იყო განცდა იმისა, რომ შენ თუ არ ჩაატარე ფიქრის აქტი, ლოგოსი, ანუ მსჯელობა თუ არ შექმენი რეალობაზე, შენ შეიძლება ვერც გაიგო, თუ რა არის რეალობა, რადგან შენს კულტურაში, რელიგიურ-მითოპოეტურ გადმოცემებში უფრო დაშორება იყოს ნამდვილი

რეალობისგან, ვიდრე დაახლოვება მასთან. ის ემპირიული, რაც გრძნობაში არის უშუალოდ მოცემული, შეიძლება ფარავდეს რაღაც უფრო ფუნდამენტურს: ნამდვილ არსს, ნამდვილ ყოფას, რასაც ბერძნები „ონტოს ონ“-ს უწოდებდნენ. ხოლო, ამ „ონტოს ონზე“ გასვლა შესაძლებელია მსჯელობით – ლოგოსით; ანუ „ლეგო“ ნიშნავს „ვმსჯელობ“, მაგრამ იგივე ზმნა – „ლეგო“, ამავე დროს, ნიშნავს „ვაკავშირებ“. ჩვენ ამ მსჯელობით ვაკავშირებთ სამყაროს სხვადასხვა ასპექტს ერთმანეთთან და ვქმნით უნივერსუმს – ერთიან სამყაროს; ვქმნით კოსმოსს არა რელიგიური სტანდარტებით: ღმერთებით, ოლიმპოს მთის სტრუქტურებით, რაც მითოლოგიაში გვეძლევა, არამედ ჩვენ თვითონ უნდა დავამყაროთ კოსმოსი ჩვენი მსჯელობით.

ფილოსოფია დაიწყო ასეთი მსჯელობის კულტურით, სადაც ღიაა მსჯელობა ყველას მიმართ, ვინც მასში ჩაერთვება. არ აქვს ფილოსოფოსს ასეთი პრეტენზია, რომ ის მოსე ნინასწარმეტყველია და ჩამოიტანა ქვის ფიცრებზე დაწერილი ცნებები, რომელიც ღმერთმა დაუნერა, ანუ მისით იმეტყველა ღმერთმა და თავად წარმოადგენს მედიუმს ღმერთსა და ადამიანს შორის.

ფილოსოფიაში ასე არ არის. აქ შენ აყენებ შენს მსჯელობას და პატიუბ სხვასაც – „აი, შემომონმე, თუ რამე არასწორად ვთქვი, მე მზად ვარ მოგისმინო“. ფილოსოფიური კულტურა, გარკვეული აზრით, დემოკრატიული კულტურაა. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ფილოსოფიასთან ერთად წარმოიშვა დემოკრატიული კულტურა ქალაქებშიც. შენ თუ სამყაროზე მსჯელობ ასე თავისუფლად, გახსნილად, არა ავტორიტეტზე აგებულად (როგორც ჰერაკლიტე ამბობდა, მე ნუ მისმენთ და უსმინეთ ლოგოსს, ანუ ჩემს ავტორიტეტზე ნუ დაამყარებთ ცოდნას, არამედ შემეკამათეთ), ანუ რადგან სამყაროზე გაქვს ასეთი გახსნილი მსჯელობა, მაშინ რატომ არ უნდა მქონდეს პატარა სამყაროზე ანუ ქალაქის სამყაროზე ასეთივე გახსნილი მსჯელობა?

ფილოსოფიის კულტურასთან ერთად წარმოიშვება დემოკრატიული მსჯელობის კულტურა. ფილოსოფია არის რო-

გორც დიალოგი, ისე დიდი კამათიც. ასეთი ცეცხლოვანი კამათი არც ერთ სხვა სფეროში არ არის. კამათი არის იმაზე, თუ როგორ შევხედოთ რეალობას სწორად, რომელია ნამდვილად „ონტოს ონი“ – ანუ „ნამდვილად ნამდვილი“? ფილოსოფოსები ეკამათებიან ერთმანეთს ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, თუ ვინ იცის ნამდვილად ნამდვილი, რომელმა გამოხატა ის სწორად. შესაძლებელია შენმა სისტემამ, შენმა ფიქრმა მე კი არ დამაახლოვოს რეალობასთან, პირიქით, დამაშოროს და დროც დამაკარგვინოს. ბერძნების წარმოდგენაში, ონტოლოგია, მეტაფიზიკა, როგორ შეხედავდი შენ სამყაროს ან რა იქნებოდა შენთვის კოსმოსი, წარმოდგენდა საფუძველს, რაზეც აიგებოდა ყველაფერი დანარჩენი. შეიძლება მე არასწორი პოლიტიკა ან ეთიკა ავანყო, იმის მიხედვით, რომ არასწორი წარმოდგენა მაქვს, ზოგადად, სამყაროზე. ამიტომაც სხვადასხვა ფილოსოფოსების განუწყვეტელი კამათი ერთმანეთთან. არისტოტელე პლატონის მონაფე იყო 20 წელი, მაგრამ დაუპირისპირდა თავის მასწავლებელს ძალიან ფუნდამენტურ საკითხში – არის თუ არა იდეები განყენებული? მისი აზრით, არ არსებობს განყენებული იდეები, ყველა იდეა უნდა იყოს განხორციელებული რაღაც კონკრეტულ მატერიალურ რეალიაში. არისტოტელეს ეთიკურ და პოლიტიკურ თეორიაზეც აქვს პირდაპირი და გადამწყვეტი გავლენა. შენ თუ პლატონის განყენებული იდეები წარმოადგინე, მაშინ მიიღებ სულ სხვა ტიპის ეთიკასა და პოლიტიკას, რის გამოც, არისტოტელეს აზრით, ფუჭად დაკარგავ დროსა და ენერგიას. ცხადია, პლატონს თავისი პასუხები მოეძებნებოდა ამ კრიტიკაზე. ამდაგვარი, ლოგოსზე დაფუძნებული კამათები იყო უწყვეტად ფილოსოფოსებს შორის.

ჭეშმარიტება ლოგოსში დიალექტიკურ და დიალოგურ მსჯელობაში უნდა გამოვლენილიყო. შენ თუ ამ ლოგოსს არ ააგებდი, ანუ მსჯელობას არ ააგებდი, არც გეკნებოდა გასასვლელი ჭეშმარიტებაზე. ჭეშმარიტებაზე გადიხარ სწორედ დიალექტიკური მსჯელობით. ეს არის დიდი ტრადიცია ელინური ფილოსოფიის. დიალექტიკით, როგორც ონტოლოგიური ლოგიკით, გავდივარ ნამდვილად ნამდვილზე, შეიძლება

პარადოქსულ შეხედულებებზეც. ლოგიკით მე მივდივარ პარადოქსამდე და მე უნდა ვთქვა, რომ პარადოქსი ნამდვილად ნამდვილია და არა ის, რაც ყველას ეჩვენება, რომ მართალია, მაგრამ მხოლოდ ჩანს ასეთად. მაგალითად, ვხედავ, რომ ლიანდაგის ორი რელსი სადღაც შორს ერთდება, მაგრამ მე თუ ამაზე ავაგე ლოგოსი, მე ვიტყვი, რომ არც ერთდება და არც მცირდება მათ შორის მანძილი. ლოგოსით გამოდის, რომ უფრო ხედავ მატყუებს – ლოგოსი არ მომატყუებს. გონით სანვდომი უფრო სანდო არის, ვიდრე გრძნობით. რელსების მაგალითი ნაკლებად პარადოქსულია, მაგრამ უფრო პარადოქსულია, პარმენიდე იტყოდა, მაგალითად, რომ მოძრაობა ილუზიაა, რომ ჩემი ლოგიკა ამას აჩვენებს და უნდა დაუჯერო ამ ლოგიკას, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ემპირიული დაკვირვება მეუბნება, რომ ეს სიგიჟეა და მთელი სამყარო მოძრაობაშია. პლატონთანაც ასეთივე ლოგიკაა პარადოქსული, რითიც პლატონის ფილოსოფია რევოლუციურ მუხტს შეიცავს. შენ ლოგოსი გეუბნება რაღაცას და კულტურული მოცემულობა რადიკალურად განსხვავებულია. ჰოდა, მით უარესი კულტურული მოცემულობისთვის! – მე შევცვლი კულტურულ მოცემულობას ლოგოსის შუქზე და ამ შუქის იმპერატივით. ამას ვგულისხმობ, რომ ლოგოსის მიდევნას, დიალექტიკას, აქვს თავის თავში რევოლუციური პოტენციალი.

ეს არის ბერძნული ან უბრალოდ ფილოსოფიური მეთოდი რეალობასთან ურთიერთობის, მაგრამ რა ხდება, როდესაც შემოდის ქრისტიანობა, როგორც გამოცხადებული რელიგია? გამოცხადებული რელიგია გეუბნება, რომ შენ არ გჭირდება ხანგრძლივი დიალექტიკური პროცესი, შენ არ გჭირდება ჩააბარო პლატონის აკადემიაში, ისწავლო მათემატიკა, გეომეტრია, მუსიკა, არითმეტიკა, ასტრონომია, ლოგიკა – დიალექტიკის ძალიან რთული დისციპლინა. მაგალითად, მხოლოდ არისტოტელეს აქვს გამოვლენილი 127 ლოგიკური შეცდომის ტიპი. ბიბლიურ ტრადიციაში ამეების ცოდნა ზედმეტი ჩანს, რადგან შენ უკვე გაქვს ქადაგება, ჭეშმარიტება, რომ ღმერთი მოვიდა და თვითონ განგიცხადა ყველაფერი. უნდა იცხოვრო ამ ცნებებით და მიაღწევ სულის ხსნას. შეა-

გროვე ქრისტესთან და ეს იქნება სწორედ ნამდვილმყოფი, ანუ ნამდვილად ნამდვილი და გაუფანტავი ცხოვრება: „ვინც ჩემთან არ აგროვებს, ის ფანტავს“ (მათე 12:30).

ფილოსოფიური ცხოვრებაც ასე იყო გაგებული: ფილოსოფიის ნებისმიერი სკოლის ადეპტი ცდილობს, რომ არ გაიფლანგოს არამნიშვნელოვანზე, არამედ კონცენტრირდეს მნიშვნელოვანზე და ნამდვილად ფასეულზე. ფილოსოფოსები ანესრიგებენ ცხოვრებას, აი, ამ ფიქრის მიხედვით. ამდენად, ძვ. ბერძნული გაგებით, ფილოსოფია არის ცხოვრების ნესიცი. ფილოსოფიურად ცხოვრება ნიშნავს მონესრიგებულად ცხოვრებას, ანუ ცხოვრებას ლოგოსის მიხედვით.

თავდაპირველად ფილოსოფია თითქოს არ არის ქრისტიანობის აუცილებელი ნაწილი, არამედ არის კერიგმა (□□□□□μ□) – სახარების ქადაგება. მაგრამ, კერიგმაშიც რაღაც ფილოსოფიური ელემენტები არის, რადგან, სხვა თუ არაფერი, მოციქულებმა ბერძნებსაც ხომ უნდა უქადაგონ – უფრო სწორედ, მთელ ელინურ – რომაულ სამყაროს. ამ სამყაროში კი რაღაც იდეები გამოიხატება ფილოსოფიური გზით. მაგალითად, თუნდაც ის, რომ იოანემ თავისი სახარება დაიწყო ასე: „პირველითგან (ან, დასაბამში) იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“. ეს „სიტყვა“ – „ლოგოსი“ ნიშნავს, რომ ის რაღაც ელინური კულტურის გავლენას განიცდიდა. ეს „სიტყვა“ არ შეიძლება რეზონანსში არ მოვიდეს ჰერაკლიტეს „სიტყვასთან“ – „ლოგოსთან“, რომელიც არის სამყაროს მონესრიგების და არა შექმნის პრინციპი. ჩვენი აზროვნების პრინციპიც ეს არის, რომელსაც უნდა მოვუსმინოთ და რომლითაც, სტოელების სწავლებით, ფილოსოფიურ აპათიას (უგრძნობელობას) უნდა მივაღწიოთ. იოანეს „სიტყვა“ – „ლოგოსი“ რეზონანსში მოდის ჰერაკლიტურ „ლოგოსთან“, სტოიკოსების „ლოგოსთან“. ამიტომ „პირველითგან რადგან იყო სიტყვა“, შეუძლებელია ბერძნულმა ყურმა არ მოისმინოს ეს ფრაზა ამ რეზონანსების გაუთვალისწინებლად. ეს „ღმერთის ძის“ სახელრქმევა, რომ მას „სიტყვა“ დაარქვა იოანემ, უკვე ნიშნავს, რომ სახარების ეს ტექსტიც ფილოსოფიურ კულტურაში მონაწილეობს. იო-



ანეს თანამედროვე ებრაელი ფილოსოფოსი ფილონ ალექსანდრიელიც ფიქრობდა ლოგოსის კატეგორიაში: მის სწავლებაში არის ღმერთი და არის მისი ლოგოსი. ის არ აკეთებს ამ ლოგოსის პერსონიფიცირებას, მაგრამ ერთ ნაბიჯზეა ამისგან, რადგან მკაფიოდ მიჯნავს ერთმანეთისგან ღმერთს და მის ლოგოსს. ქრისტიანებმა კი ლოგოსი ცალკე ჰიპოსტაზად – პიროვნებად აღიარეს.

დადგა საკითხი – როცა ვრცელდება ქრისტიანობა, რა როლი აქვს ფილოსოფიას ამაში, და საერთოდ, ფილოსოფია საჭიროა თუ არა? ადრეულ ქრისტიანულ მოაზროვნეებში იყო ასეთი ამბივალენტური დამოკიდებულება – საჭიროა თუ არა საერთოდ ეს ფილოსოფიური მეთოდი? უკვე ხომ გვაქვს ქრისტეს ცნებები, გვაქვს საშუალება, მივყვეთ ამ ცნებებს, გვექონდეს ასკეტური გამოცდილება, რომ შევეწინააღმდეგოთ ჩვენში ცოდვებს, მივიღოთ ღმერთის ინტენსიური დასწრება, როგორც პავლე ამბობს: ჩვენ ვატარებთ ღმერთის გონებას ჩვენში და ის ზრდის ჩვენს გონებას „მამაკაცად სრულად“ – სრულყოფილ ადამიანად. ეს სიტყვებიც ძალიან ჰგავს არისტოტელეს, რადგან არისტოტელესთანაც არის „აქტიური ინტელექტი“, იგივე ღმერთი, რომელიც უნდა შემოვიდეს ჩვენში გარედან და ჩვენი პასიური ინტელექტი სრულყოფაში მოიყვანოს.

პარადიგმულად ეს ძალიან ჰგავს იმას, რასაც პავლე ამბობს, რომ ჩვენ ქრისტეს გონებას ვატარებთ, რომელიც გვზრდის სრულყოფილ ადამიანად. ამბივალენტური იყო ქრისტიანი თეოლოგების დამოკიდებულება ადრეულ საუკუნეებში. მაგალითად, ტერტულიანე (მე-2 საუკუნის ქრისტიანი თეოლოგი) ძალიან ნეგატიურად უყურებდა ფილოსოფიას. ის ამბობდა: რად გვინდა ფილოსოფია, როცა გვაქვს გამოცხადება, „რა კავშირი აქვს ქრისტესთან სატანას; რა კავშირი აქვს იერუსალიმთან ათენს“? – სვამდა ტერტულიანე რიტორიკულ შეკითხვას. ანუ ჩვენ უკვე იერუსალიმში ვართ ქრისტეს მცნებებით, უფრო სწორედ ამ მცნებებით გვაქვს საშუალება, შევიდეთ ღვთის სამეფოში (რომელსაც სიმბოლურად სახარება „ზეციურ იერუსალიმს“ უწოდებს): „მიდი და

„მიიტაცე“ ეს სასუფეველი, ხომ გაგიხსნა ქრისტემ გზა და მოგცა ძალა, რომ „მიგეტაცა“. რად გინდა ფილოსოფია?“. ტერტულიანე ამბობს, რომ რწმენის მოქმედება უფრო მეტია ჩვენში, ვიდრე მხოლოდ დიალექტიკური პროცესი. ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ ჩვენში, ასე ვთქვათ, „რწმენის ნახტომი“ – რწმენითი ურთიერთობა ამ რეალობასთან, რომელიც უფრო მაღალია, ვიდრე დიალექტიკურ-ლოგიკური რეალობა. ამიტომ, ჩვენ ჩვენშიც უნდა ვიპოვოთ ის ძალა და მოქმედება, რომელსაც რწმენა ჰქვია და რომელიც დიალექტიკაზე მაღალია. „მნამს იმიტომ, რომ აბსურდია“, ამბობს ტერტულიანე; ესე იგი, რწმენის შესაფერისი ჭეშმარიტება აბსურდია იმიტომ, რომ უფრო მეტია, ვიდრე არა-აბსურდი, ანუ დიალექტიკური მეთოდით მიღწევადი ჭეშმარიტება; ამიტომ ამგვარ აბსურდთან მაქვს რწმენითი და არა დიალექტიკური ურთიერთობა, და სხვანაირი ვერც მექნება. დასკვნა გამოდის: გადავაგდოთ დიალექტიკა და ვიცხოვროთ ასე – რწმენით.

მაგრამ, უფრო მეინსტრიმული იყო სხვა ტრადიცია, რომელიც ახამებდა ერთმანეთთან ფილოსოფიურ მეთოდს და რწმენას, ანუ საჭიროა ფილოსოფიაც. ფილოსოფიაში დიდი სიბრძნე, დიდი სიმართლე დევს და ლოგიკური პროცესით ჩვენ მივდივართ ნამდვილ მყოფამდე, ნამდვილ არსამდე. ეს არ კარგავს მნიშვნელობას ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთადაც კი. ძალიან კარგი, გვაქვს გამოცხადება, მაგრამ ეს ფილოსოფიური ლოგოსიც საჭიროა, თუნდაც იმიტომ, რომ გამოცხადება უკეთესად გავიგოთ. აი, ასეთი თეოლოგები იყვნენ, მაგალითად ორიგენე, კლიმენტ ალექსანდრიელი და იუსტინე მონამე. მაგალითად, იუსტინე წერს თავის აპოლოგიებს და ამბობს, რომ ის დაიმონი, რომელიც სოკრატეს შეაგონებდა, თუ როდის ცდებოდა, და აიძულებდა ეფიქრა, თუ რა იყო სწორი, აი, ის დაიმონია ზუსტად ქრისტე. ანუ, სოკრატეს „დაიმონი“ არის ის ლოგოსი, რომელიც განკაცდა. სოკრატეს ღვთის ლოგოსი ასწავლიდა, თორემ სხვანაირად როგორ მიხვდებოდა, რომ ხელით გამოკვეთილ ღმერთებს არ უნდა სცე თაყვანი და რომ ღმერთი უხილავია. ამას სოკრატე ვერასდროს გაიგებდა, ეს ლოგოსი რომ არ ყოლოდა მასწავ-

ლებლად. ამდენად, იუსტინე ფიქრობს, რომ ერთი კონტინუუმი ფილოსოფიასა და გამოცხადებულ ქრისტიანობას შორის. ვინც გამოაცხადა ქრისტიანობა წინასწარმეტყველებისა და მოციქულებისთვის, ამავე დროს თვითონვე ის პრინციპი, ვინც დიალექტიკის გზით შეაცნობინებს ადამიანებს ქრისტიანობას.

ასეთი ამბივალენტური დამოკიდებულება გაგრძელდა შუა საუკუნეებში მთელი ბიზანტიის და მთელი ევროპის ფილოსოფიის ისტორიაში. მე ვიტყვდი, კი არ გაგრძელდა შუა საუკუნეებში, ეს დღესაც გრძელდება. დღესაც არანაკლებ აქტუალურია ეს საკითხი, თუ რა როლი აქვს ფილოსოფიას, დიალექტიკას, როცა უკვე გვაქვს ბიბლიური გამოცხადება. თუ ქრისტიანს სწამს, რომ ის არის ქრისტიანობა, რაც წერია ბიბლიაში, ანუ თვითონ რეალობის პრინციპმა, ღმერთმა, გამოუნოდა მას ხელი და უწყალობა ეს გამოცხადებული ქრისტიანობა, რასაც თავად ვერ მიაღწევდა გონებით, მაშინ რა საჭიროა გონებრივი ქრისტიანობა? ან რა საჭირო იყო გამოცხადება, თუ ადამიანი ამ გამოცხადების შინაარსს მიაღწევდა გონებრივი ძალისხმევითაც? ეს დიდი საკითხია.

ამ საკითხს უკავშირდება პეტრინის როლიც. მე ახლა ვისაუბრებ, თუ რა დროს მოვიდა პეტრინი და რა კულტურულ-სააზროვნო ვითარება უძლოდა მას წინ ბიზანტიაში.

ბიზანტიას სულ გასდევს ეს დაძაბულობა ინტელექტუალურ და ანტიინტელექტუალურ დამოკიდებულებებს შორის რელიგიის მიმართ და სულის ხსნის მიმართ. არიან ინტელექტუალები, მაგალითად, ე.წ. ორიგენისტები და არიან მათი საპირისპირო ანტიორიგენისტები, რომლებიც ფილოსოფიის როლს სულის ხსნაში უარყოფენ და ამობენ, რომ ასკეტური ღვაწლია საკმარისი; მათი აზრით, ჩვენი სული თავად შეიცავს თავის თავში ქრისტიანობის მჭვრეტელობის „თვალეებს“; მთავარია, ეს თვალეები გავწმინდოთ ცოდვებისაგან. თუ შენ შეებრძოლები ცოდვებს და დაამარცხებ მათ ლოცვით ან ასკეტური პრაქტიკით, მაშინ გაგწმინდება ეს სულიერი მზერა და თავად დაინახავ ყოველგვარი მათემატიკის, გეომეტრიის, მუსიკის ან სხვა მსგავსის გარეშეც. როგორც

თვალს არ სჭირდება, რომ ასწავლოს ვილაცამ, რომ ხედავდეს. ის ისედაც ხედავს: მოაცილებ თვალს ლიბრს და ის თავისით დაინახავს ფიზიკურ რეალობას, მოაცილებ სულს ცოდვების საბურველს და სული თავად დაინახავს ღვთიურ რეალობას, ყოველგვარი დიალექტიკის გარეშეც. ეს არის ერთი ტიპის ასკეტური ტრადიცია, რომელსაც არ სჭირდება დიალექტიკა თავისი მიზნისთვის.

იყო მეორე ტრადიციაც, როცა დიალექტიკა ძალიან საჭიროა. ესაა რალაც ღვთიური პროცესი ჩვენში. ჩვენ დიალექტიკურად უნდა გავიგოთ თუნდაც ბიბლიური ჭეშმარიტებები იმიტომ, რომ ბიბლიაშიც არ დევს ყველაფერი ზედაპირზე. თუნდაც ქრისტეს ღვთაებრიობა, საიდან უნდა გავიგოთ? ვინმე ასკეტი გეტყვის, მაგალითად, ანტონი ეგვიპტელი, რომ შენ თუ შეიცანი შენი თავი, მიხვდები, რომ ქრისტე ღმერთია, რადგან მართო ღმერთით, და არა რაიმე ქმნილებით, შეძლებდი ამ ცოდვების დაძლევას. ქრისტემ დაგაძლევინა მხოლოდ, ანუ ისაა ღმერთი და ასკეტური ღვანლი გაჩვენებს, რომ ის ღმერთია. მე არ მჭირდება აქ ზედმეტი დიალექტიკა, რომ ამას ჩავწვდე, ამას მე ასკეტური გამოცდილებით ჩავწვდი, გეტყვის რომელიმე ასკეტი. სხვები გეტყვიან, რომ ასე არ არის. მე რომ არიოზს დავუმტკიცო, რომ იესო არის მამის, თანადაუსაბამო, თანამარადიული, მე უნდა ვიმსჯელო და უნდა ვანახო პასაჟი სახარებიდან. ეს პასაჟი უფრო ობიექტურად ასე განიმარტება და არა – ასე. მოდი, გრამატიკულად და ლოგიკურად ვიმსჯელოთ: შეიძლება ეს ასე იყოს და იესო ქმნილებაა, როცა ის ამბობს, რომ არ შეუძლია სხვა რამ აკეთოს, გარდა იმისა, რასაც მამა აკეთებს? თუ არ შეუძლია, ეს „არ შეიძლება“ ხომ ყოვლისშემძლეობის ექვივალენტია და მაშ, ის ღმერთია. მაგრამ ახლა ჩვენ სილოგისტური დასკვნა გავაკეთეთ, რაც არ იდო ტექსტის ზედაპირზე. იესოს ღვთაებრიობის ჩვენებისთვის გვჭირდება გარკვეული დიალექტიკური პროცესი. როგორც ეკლესიის მამები ამბობენ, გამოცხადება და საღი აზრი ერთად, ორივე საჭიროა. საღი აზრი კი სწორედაც არის დიალექტიკა, მსჯელობა, აზროვნება, რაც სახარებაშიც ჩანს. იესო იყენებს ამგვარ აზროვნებას. მაგალითად,

იესოს აბრალებენ, რომ შენ დემონებს აგდებ ადამიანებისაგან დემონებისვე ძალით და იესო ამტკიცებს, რომ თუ ოჯახის წევრები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, მაშინ როგორ შენარჩუნდება ოჯახი? თუ დემონებს დემონების ძალით ვაგდებ, ესე იგი, დემონებს ვუფუჭებ საქმეს, მათ სამეფოს ვანგრევ მათივე ძალით, რაც აბსურდია. ანუ არისტოტელეს ლოგიკას მიმართავს იმისთვის, რათა დაუმტკიცოს, რომ დემონების ძალით არ აგდებს დემონებს, აუცილებელი გამომდინარეობა კი იქნება, რომ ღვთიური ძალით აკეთებს ამას.

თვითონ სახარებაშიც არის ეს მომენტები. არ არის გამიჯნული დიალექტიკური პროცესი ჭეშმარიტებისაგან. თვითონ სახარების ჭეშმარიტება უფრო კარგად შეიძლება გამოავლინო დიალექტიკით და იმ ფილოსოფიური ტერმინოლოგიითაც, რომელიც სახარებამდე შეიქმნა უკვე ბერძნულ ფილოსოფიაში. ამიტომ ქრისტიანული თეოლოგია სხვა არაფერი არაა თუ არა ბიბლიური გამოცხადების დაკავშირება ელინურ ფილოსოფიურ ტრადიციასთან. მთელი თეოლოგიური ტერმინოლოგია შემოვიდა აქედან: არსება-უსია (ὄντια), ჰიპოსტასი – (Υπόστασις). ეს ყველაფერი არის ფილოსოფიურ ტრადიციაში ჩამოყალიბებული ტერმინები, რაც შემდეგ გამოიყენეს ეკლესიის მამებმა.

ბრძოლა ფილოსოფიასთან მე-6 საუკუნეში გამძაფრდა. ათენის ნეოპლატონური აკადემია, რომელიც იყო წარმართული აკადემია, განსაკუთრებით თავის უკანასკნელ წარმომადგენლებში, ქრისტიანობას დაუპირისპირდა და წარმართობის იდეოლოგიურ ფორპოსტად იქცა. მანამდეც ხდებოდა ეს, ცხადია: ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი პლოტინოსის მოწაფე პორფირიოსი ტრაქტატს წერს ქრისტიანების წინააღმდეგ. იულიანე განდგომილიც, ქრისტიანობიდან წარმართობაზე დაბრუნებული იმპერატორი, ასეთივე ტრაქტატს წერს „გალილეელების (ანუ ქრისტიანების) წინააღმდეგ“ და ბერძნულ ფილოსოფიურ ტრადიციას უპირისპირებს ქრისტიანობას და ამ დაპირისპირებას თავისი პოლიტიკური პროგრამის ლაიტმოტივად აქცევს. იყო დიდი კონფლიქტი ქრისტიანობასა და ფილოსოფიას შორის როგორც სუფთად

მსოფლმხედველობრივ-მეტაფიზიკურ, ისე პოლიტიკურ-კულტურულ დონეზე. თუმცა, ნასესხობები ერთმანეთისგან იყო საკმაოდ მჭიდრო და ბევრი.

ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი, პლოტინოსის მასწავლებელი იყო ქრისტიანი ამონიოს საკასი. მისი უახლოესი მეგობარი იყო ორიგენე. მეცნიერთა ნაწილი ამბობს, რომ, იყო ორი ორიგენე – წარმართი და ქრისტიანი, მაგრამ მე ვემხრობი მათ მოსაზრებას, ვინც თვლის, რომ ერთი ორიგენე იყო და ეს იყო ქრისტიანი ორიგენე. როგორი დიდი უნდა ყოფილიყო ქრისტიანობის გავლენა ნეოპლატონიზმზე, როცა ამ სკოლის დამფუძნებლის მასწავლებელი ქრისტიანი იყო, ხოლო მისი თანასტუდენტი – ქრისტიანობის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე. ნასესხობები არის ქრისტიანობაშიც პლატონიზმისგან. გრიგოლ ნოსელს რომ წაიკითხავთ, აკეთებს ასეთ რამეს, რომ სულის ურთიერთობა ქრისტესთან თითქმის იმ ტერმინებში აქვს წარმოდგენილი, როგორც პლოტინოსთან არის სულის ურთიერთობა ინტელექტთან. ურთიერთნასესხობები ბევრია. რა თქმა უნდა, ეს ერთი და იგივე არ არის და დიდი პოლემიკა აქვთ ერთმანეთში და ამის გამო, ძალიან კარგად ესმით ერთმანეთის ენაც. ისინი ერთი ფილოსოფიურ-თეოლოგიური „უარგონით“ მანიპულირებენ. ძალიან საინტერესოა არა მარტო იმის სწავლა, თუ რა გავლენა მოახდინა ნეოპლატონიზმმა ქრისტიანობაზე, როგორც ეს უფრო ხშირად ხდება თანამედროვე მეცნიერებაში, არამედ პირიქითაც, თუ რა გავლენა მოახდინა ქრისტიანობამ ნეოპლატონიზმზე. თუნდაც ის, რომ თეურგიული კულტურა განვითარდა გვიან ნეოპლატონიზმში, რაც შეიძლება იყოს ქრისტიანული ლიტურგიული კულტურის ანალოგი ეს არის შესასწავლი სფერო.

რადგან ასეთი სამკვდრო-სასიცოცხლო პოლემიკა იყო ერთმანეთთან ნეოპლატონისტ და ქრისტიან მოაზროვნეებს შორის, იმპერატორმა იუსტინიანემ ჩათვალა, რომ ეს ათენის ფილოსოფიური სკოლა სახიფათოა და 529 წელს სპეციალური ედიქტით შეუწყვიტა მას სახელმწიფო დაფინანსება, რის შემდეგაც იგი დაიხურა. თუმცა, პლატონური ფილოსოფია

გაგრძელდა ბერძენ, ანუ აღმოსავლეთ ქრისტიან თეოლოგებში.

დიონისე არეოპაგელი, მაგალითად, უფრო სწორედ, ფსევდოდ დიონისე არეოპაგელი, როგორც ჩანს, მე-6 საუკუნის სირიული წარმოშობის ავტორი, ან შეიძლება ქართველიც, ყოველ შემთხვევაში ბერძენი არ იყო (ცნობილი ირლანდიელი მეცნიერი ჯონ დილონი ამბობს უფრო კომპლიმენტის, ვიდრე კრიტიკის სახით, რომ, როცა კითხულობ ფსევდოდ დიონისე არეოპაგელს, განცდა გაქვს, რომ ნაბოკოვის ინგლისურს კითხულობო – მისი ბერძნული არ არის ბერძენის ბერძნული). დიონისე არეოპაგელმა შემოიტანა ძალიან დიდი დოზით ფილოსოფიური დისკურსი, ფილოსოფიური მსჯელობა და ცნებები ქრისტიანულ მეტყველებაში. თუნდაც ეროსის იდეა, რომ შეგიძლია განიხილო ადამიანის ურთიერთობა ღმერთთან ეროსის, ანუ პლატონური ეროსის/ტრფიალების კატეგორიებში, რომ სულს უყვარს ღმერთი და პირიქითაც, რომ ღმერთსაც უყვარს სული, ანუ „ეროს პრონოეტიკოს – ἔρως προνοητικός (განგებთი ეროსი), რაც გამოჩნდა გვიანდელ ნეოპლატონიზმში, კერძოდ კი პროკლესთან, ხოლო ფსევდოდ დიონისე არეოპაგელმა, რომელიც შეიძლება პროკლეს უშუალო მონაფე იყო, იგივე სწავლება ორმხრივ ეროსზე იგივე ტერმინოლოგიით გადმოიტანა თავის ქრისტიანულ თეოლოგიაში: ანუ მასთანაც გვხვდება „ეროს პრონოეტიკოს“ – ღმერთის სიყვარული სულისადმი და, ასევე, სულის სიყვარული ღმერთისადმი. ეროსის შემოტანა მეტყველებაში ძალიან ნიშანდობლივი და საინტერესოა. ეს არის იდეა ფსევდოდ დიონისე არეოპაგელის (რაც შემდეგ პეტრინმაც გაიმეორა), რომ პავლე მოციქული ბერძნულ ფილოსოფიას ღვთიურ სიბრძნეს უწოდებს, რომელიც არ იყო საკმარისი, რომ ადამიანს საბოლოო ჭეშმარიტება შეეცნო, მაგრამ ის სიბრძნეც ღვთიური იყო. ვერ შეძლესო ბერძენებმა ღვთიური სიბრძნით ღმერთის შეცნობაო, ამას წერს პავლე. „ღვთიური სიბრძნით შეცნობა ღმერთის“, შეიძლება განმარტო იმ აზრით, რომ ბერძენებს არ ჰქონდათ ღვთიური სიბრძნე, რის გამოც ვერ შეიცნეს ღმერთი. მაგრამ, შეიძლება განმარტო სხვანაირად, ანუ ისე,



რომ ეს სიბრძნე მათ ჰქონდათ, მაგრამ ისიც კი არ იყო საკმარისი ღმერთის სრულყოფილი შეცნობისთვის, რაც მხოლოდ ქრისტეს ჯვარცმით („ჯვრის საიდუმლო“) გახდა შესაძლებელი. ეს პასაჟები ორივენიარად შეიძლება განმარტო. ანუ, მეორე განმარტებით, ბერძნებმა ვერ შეიცნეს ღმერთი, მიუხედავად იმისა, რომ ღვთიური სიბრძნე ჰქონდათ, რადგან ეს არ იყო საკმარისი, საჭირო იყო დამატებითი გამოცხადება. როგორც რჯულის შემდეგ ქრისტეს მოსვლა იყო საჭირო და რჯული არ იყო საკმარისი, ასე ფილოსოფია არ იყო საკმარისი და საჭირო იყო ქრისტეს მოსვლა.

ფს. დიონისე არეოპაგელი აყვედრის წმინდა აპოლოფანეს, რომელიც შეიძლება სულაც პროკლე იყოს, „შენ მართალი ხარო, რომ ღვთიურ სიბრძნეს უწოდებ ელინების სიბრძნესო, მაგრამ რატომ არ აღიარებ ღვთიურ ღვთისმსახურებასაც – ქრისტიანობას“. დიონისე არეოპაგელის აზრით, ღვთისმსახურება, ქრისტიანობა, ქრისტიანული კულტი და ბერძნული ფილოსოფია ერთიან მთლიანობას უნდა შეადგენდეს. ასეთი დიდი სინთეზი მოაქვს დიონისე არეოპაგელს.

შემდეგ იყო მაქსიმე აღმსარებელი, რომელიც ასევე ძალიან ფილოსოფიური თეოლოგია. პლატონის იდეების თეორია თავის ლოგოსების თეორიაში განავითარა, რომ ღმერთი ქმნის ლოგოსებს და ყველაფერს თავისი ლოგოსი აქვს, როგორც იდეა. შემდეგ უკვე დავით აღმაშენებელს აქვს ეს გამოყენებული, როცა ამბობს, რომ „შენებრ არსთა სიტყვებისა ჩემს შორისცა და შეკრებითა“, ანუ ლოგოსს აქვს „არსთა სიტყვები“ თავის თავში – ე.ი. არსთა ლოგოსები (შდრ. იდეები) მას თავის თავში აქვს თავმოყრილი და ამ ლოგოსებით ქმნის მთელ სამყაროს.

პლატონური ფილოსოფია გრძელდება ბიზანტიაში, მაგრამ ძალიან თეოლოგიურ მიმართულებას იძენს და მთლად მასზე დამოკიდებული არ არის. ხდება უფრო დიდი დოზით ფილოსოფიის შემოსვლა და ფილოსოფიის გარკვეული დამოუკიდებელი როლის ჩვენება ფილოსოფიისა პლატონის და არისტოტელეს ტექსტების განახლებული დაინტერესებით ბიზანტიაში. ინტერესის ამგვარ ამოხეთქვებს უწოდებენ ბი-

ზანტიურ რენესანსებს. ბიზანტიური რენესანსი საჩოთირო ტერმინია, რადგან რენესანსი ხდება იქ, სადაც არის დიდი აფეთქება და დიდი აფეთქება ხდება იქ, სადაც არის დიდი ხნის განშორება. როდესაც ყოველთვის, შენს გვერდითაა პლატონიც და არისტოტელეც, თან შენსავე ენაზე, ამას არ შეიძლება ჰქონდეს იგივე გავლენა, რაც მრავალი საუკუნით რომ არ წაგიკითხავს და შემდეგ წაიკითხე. მაგალითად, გემისტოს პლეთონმა ფლორენციაში წაგაკითხა პირველად პლატონი – ლექციები ჩაგიტარა და იქ აფეთქება მოხდა, და მარსილიო ფიჩინო გამოჩნდა. ეს ყველაფერი ბიზანტიაში შეუძლებელია. შეიძლება ისაუბრო უფრო ინტენსიურ კავშირზე პლატონთან, არისტოტელესთან, ბერძენ ფილოსოფოსებთან, პროკლესთან, პლოტინოსთან და არა დიდ აფეთქებაზე. კავშირების ასეთი გაინტენსიურება უფრო მე-11 საუკუნეში იყო, მიქაელ პსელოსის დროს. ის იყო ფილოსოფოსი, იყო პირველი რექტორი ანუ ჰიპატოსი სკოლის, რომელიც კონსტანტინე მონომახოსმა 1046 წელს დააარსა. ამ ფილოსოფიურ სკოლაში ისინი უშუალოდ ფილოსოფიურ ტექსტებს სწავლობდნენ. ეს იყო საერთაშორისო ფილოსოფიური სკოლა. პსელოსი იმასაც ლაპარაკობს, რომ ბერძნებს არ აინტერესებთ ისე ფილოსოფია, როგორც ჩამოსულებს – სხვადასხვა ერის ხალხები მოდიან და სწავლობენ ფილოსოფიასო. იტალიიდან იყო ჩასული იტალოსი, რომელიც მეორე რექტორი იყო. ძალიან თავისუფალი სული ტრიალებდა ამ სკოლაში. პსელოსი ამბობს, რომ მიხარია, როდესაც თქვენ რაღაც იდეებს წამოაყენებთ, თუნდაც არასწორსო, რადგან როგორც დედას თავისი მახინჯი შვილიც უყვარსო, ისე მე თქვენი არასწორი იდეებიც მიყვარსო, ოღონდ თქვენი საკუთარი აზრი გამოთქვითო. ასეთი ჰუმანური სული ტრიალებდა ამ აკადემიაში და ზოგადად, ასეთი სული დატრიალდა მე-11 საუკუნის ბიზანტიაში. პსელოსის მეგობარი იყო იოანე მავროპუსი და ერთი ასეთი ეპიგრამა აქვს: ქრისტეს სთხოვს, რომ კი ბატონო ისენი არ მოესწრნენ შენს მოსვლას და ვერ არიან სამოთხეში, მაგრამ ამ ორი ადამიანისთვის გთხოვ: პლატონისთვის და პლუტარქესთვის; მათი ბრალი არ იყო, რომ შენ მოსვლამდე დაიბად-

ნენ, მაგრამ რამდენი ღირსება არის მათ ნაწარმოებებში, როგორ შეიძლება შენ გარეშე დაენერათ და ამიტომ ორივესთვის გთხოვ, რომ გადაიყვანე სამოთხეშიო. ასეთი სულისკვეთება ტრიალებს პსელოსის წრეში. აქ არის მიქაელ პსელოსი, იოანე მამავროპუსი, იოანე ქსიფილინოსი, რომელიც შემდეგ პატრიარქი გახდა. მან იქიდან, პატრიარქის ტახტიდან, შეუტია პსელოსს, რომ ზედმეტად ფილოსოფოსობ, რა საჭიროა ეს მათემატიკა და არარსებული ხაზებიო. ქსიფილინოსი გაპატრიარქდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიკავა ულტრა-დოგმატური, ანტიფილოსოფიური პოზიცია. პსელოსს აქვს ძლიერი წერილი გაპატრიარქებული ქსიფილინოსის მიმართ. ის მას ახსენებს, რომ „ახალგაზრდობაში განა ერთად არ ვიყავით აღტაცებულები პლატონის იდეებით სამართლიანობაზე და სულის უკვდავებაზე; მართალია, იქედან ყველაფერი არ ავიღეთ, მოვაცილეთ ჭუჭყი – გავცარით და ახლა შენ გინდა, რომ უარყო პლატონი? კი ბატონო, ხაზები არ არსებობენ სივრცეში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არ არსებობენ საერთოდ. ეს ხაზები არის მათემატიკური ცოდნა და მათემატიკური ცოდნა არის შუალედური ცოდნა მეტაფიზიკურ ცოდნამდე, როგორ შეიძლება ამის ასე უგულვებელყოფა და გატრიზავება ისე, როგორც შენ აკეთებ“. ასეთი მძაფრად კრიტიკული ტონი აქვს პსელოსის ამ აპოლოგეტიკურ წერილს.

პსელოსს არ ჰქონდა მარტივი ურთიერთობა ეკლესიის „ესთაბლიშმენტთან“, როგორც ქსიფილინოსთან მისი ურთიერთობაც აჩვენებს. პსელოსი ძალიან ფრთხილია ფილოსოფიისადმი თავისი მიჯაჭვულობის გამოხატვაში: ის ყოველთვის ცდილობს აჩვენოს, რომ, მიუხედავად მრავალი სწორი მიგნებისა, აი, აქ და აქ ყველაზე დიდი ფილოსოფოსებიც ცდებიან. მას აქა-იქ კრიტიკული და უარყოფითი დამოკიდებულებაც აქვს, რათა გვაჩვენოს, რომ ჩვენ ქრისტიანები სხვა ვართ და ისინი – მაინც სხვა. თუმცა, მაინც პსელოსის აზრით, ფილოსოფიას გაცილებით ბევრი ღირსება აქვს ვიდრე ნაკლი. ის არა მარტო პლატონს, არისტოტელეს და ნეოპლატონისტებს, არამედ ქალდეურ ორაკულებსაც აქცევს ყურადღებას, რომელიც იყო წარმართული პროფეტული გა-

მოცხადებები: მე-2 საუკუნეში იყვნენ მამა-შვილი იულიანები და მათ ჰქონდათ ეს გამოცხადება და ჩანერეს ეს სიტყვები ფილოსოფიური ლექსების სახით. ამას ინახავდნენ პლატონისტი ფილოსოფოსები „ქალდეური ორაკულების“ სახელწოდებით. ამას განმარტავდნენ, როგორც მეტაფიზიკურ ტექსტებს. პსელოსი ამ ქალდეურ ტექსტებსაც მიმართავს, მაგრამ არ მიმართავს როგორც უპირობო ავტორიტეტს. მისთვის უპირობო ავტორიტეტი არის სახარება, წმინდა მამები და წმინდა ტრადიცია.

იოანე იტალოსი უფრო შორს მიდის. ის, როგორც ვთქვით, პსელოსის მოწაფე იყო და „იტალოსიც“ იმიტომ ერქვა, რომ ლომბარდიიდან იყო ჩამოსული მამამისთან ერთად. იტალოსი არის ნამდვილი დიალექტიკოსი. ისიც იჩენდა გარკვეულ სიფრთხილეს, მაგრამ მაინც უფრო თამამია ვიდრე პსელოსი. მისი მეთოდი ასეთია, რომ მე სადაც ჩემი დიალექტიკური ხედვა მაჩვენებს რალაცას და ლოგიკა ამას მიდასტურებს, მე უნდა მას მივყვე, რადგან ჩემი გულწრფელობა სწორედ ამაში დევს; მე ვერ მოვიჩვენებ თავს, რომ ერთი რამ მწამს, თუკი ჩემმა ლოგიკამ სხვა რამ აჩვენა; მე რაც მაქვს, ის მაქვს; ყველაზე კარგი და ღირებული კი ის დიალექტიკური პროცესი მაქვს, საიდანაც ამა თუ იმ დასკვნამდე მივდი და თუ შენ უკეთესი ვარიანტი გაქვს, კი ბატონო, მე დაგეთანხმები, მაგრამ, ასე ვთქვათ ასე ვთქვათ, „თავში ნუ ჩამარტყამ ტრადიციის ჩაქუჩს“, რადგან მე ნებისმიერ ტრადიციას, მათ შორის ეკლესიის ტრადიციასაც, მხოლოდ მაშინ გავიგებ და მივიღებ, როცა შენ დამიმტკიცებ მის სისწორეს ამავე დიალექტიკური მეთოდით და ლოგიკური პროცესის ძალით – ამავე დისკუსიის მოედანზე შემოიყვან ეკლესიის ტრადიციას სწორედ ისე, როგორც ამას ეკლესიის ძველი მამები აკეთებდნენ. ისინი ხომ საეკლესიო კრებებზე დიალექტიკურ პროცესში ადგენდნენ ამა თუ იმ დოგმას? ტრადიციაც აგებულია დიალექტიკაზე და არა ციდან ჩამოფრენილ რალაც ანგელოზის ნათქვამ სიტყვაზე. კრებებზე მიმდინრეობს რთული, მრავალთვიანი დიალექტიკური მსჯელობები, საიდანაც მიდიან რალაც დასკვნამდე და ამ დასკვნას შეგიძლია და უნდა მოაყ-

ოლო კიდევ მთელი თავისი არგუმენტაცია. თუ ეს არ ჰქენი, ესე იგი ის დასკვნა ჯერ კიდევ შენი არ გამხდარა.

იოანე იტალოსი მიდის იქამდე, რომ მეთოდი უნდა იყოს ბოლომდე ფილოსოფიური. ეს ძალიან სახიფათო აღმოჩნდა მაშინდელი რელიგიურ-პოლიტიკური „ესთაბლიშმენტისთვის“, რადგან ეს ძალაუფლების არსებულ სტრუქტურებს შეიძლება დამუქრებოდა. შენ თუ იტყვი, რომ უნდა დამიბტკიცო დიალექტიკურად, ფილოსოფიურად, მაშინ აღარ არის ის ავტორიტეტი, რომელიც გეტყვის „ეს ასეა, იმიტომ, რომ მე გეუბნები, მორჩა და გათავდა“ და გაგაჩერებს. ანუ აქ მე ვამთავრებ შენთან კამათს და გეუბნები, რომ კამათის მიღმა დამიჯერო და დამემორჩილო. იტალოსის მეთოდი კი ამგვარ დაჯერებას გამორიცხავდა და ამიტომ წარმოდგა, როგორც საფრთხე. იმპერატორმა იგრძნო, რომ ეს საფრთხე მნიფდებოდა იტალოსის სკოლაში და რომ ჩაექროთ ეს ფილოსოფიური დუღილი, მათ იტალოსი დაგმეს, როგორც ერეტიკოსი ძალიან მიკერძოებულ სასამართლო განხილვაზე. არადა, იტალოსი არანაირი ერეტიკოსი არაა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რადგან მას არ ჩამოუყალიბებია ერეტიკული/ქრისტიანული სწავლება. იტალოსს მოსთხოვეს, რომ, აი, შენ თქვი, თუ როგორ უყურებ ქრისტეს განკაცებას, როგორ უყურებ სამებას და იტალოსი პასუხობს. შედეგად მას ეუბნებიან, რომ შენ, აი, ეს ტერმინი გაქვს გამოყენებული, ესე იგი ერეტიკოსი ხარ. ანუ, ეს არ იყო იტალოსის უკვე არსებული აზრების გამოტანა-განხილვა სასამართლოზე, არამედ უფრო წააგავდა ინკვიზიტორულ პროცესს, როცა ცდილობდნენ კითხვებით მის პასუხებში გამოევლინათ მისი მიკუთვნებულობა რაიმე ერესთან. იტალოსი კი სთხოვდა, რომ შეცვალებოდა როგორც და რაც გინდათ ჩემს ფორმულირებებში თუ რამე მეშლებათ. ამიტომ ის არ იყო ერესიარხი. უბრალოდ, მას საბაბად მოუგონეს ეს. დიახ, იტალოსს მიაწერეს ეს ერესი, მაგრამ ეს იტალოსის მოფიქრებული არ იყო, როგორც ერესი არსების შემთხვევაშია. მისგან მომდინარე მთავარი საფრთხე იყო ის, რომ მან შემოიტანა რადიკალური დიალექტიკური მეთოდი ბიზანტიაში და ამით გარკვეული ავტორიტეტები შეაშინა – მათ შორის იმ-

პერატორი – და დაიხურა მანგანის ფილოსოფიური აკადემია. ამის შემდეგ ფილოსოფია ჩამკვდარი იყო ბიზანტიაში. ფილოსოფიური სკოლა, სადაც შეგვიძლო მიგელო სტანდარტული ფილოსოფიური განათლება თავისი გრამატიკით, რიტორიკით, ლოგიკით, მათემატიკური დისციპლინებით, მეტაფიზიკური სწავლებით აღარ არსებობდა ბიზანტიაში. ყველაფერი ეს დაემორჩილა ეკლესიის ცენტრებს. ამ სიტუაციაშია ზუსტად სალაპარაკო იოანე პეტრინზე. ზუსტად იმ წელს, 1083 წელს, როდესაც ალექსი კომნენოსმა თავისი ედიქტით დახურა იტალოსის სკოლა და ის გადასცეს ანათემას, იხსნება პეტრინონის აკადემია/მონასტერი ბულგარეთში. საკამათოა, მოდის თუ არა მისი სახელი პეტრინონიდან. ყოველ შემთხვევაში, თარიღების ეს დამთხვევა ძალიან საინტერესოა.

ქალბატონი თამარ ფარჩუკიძის კვლევაში არის მოხსენებული ერთი მიგნება პეტრინონში: ორნამენტი, რომელზეც არის აღბეჭდილი მზის თვალი/დისკო ჩახაზული გადაშლილ ნიგნში, ანუ ზუსტად ისეთი ემბლემა, როგორც გელათშია. ეს ემბლემა გვაძლევს ვარაუდის გაკრვეულ საფუძველს, რომ იქაც იყო პეტრინი და იქიდან გადმოიტანა ეს ტრადიცია გელათში. სამწუხაროდ, არ გვაქვს ტექსტები – დაიკარგა. ისინი რილას მონასტერში, ბულგარეთში გადაიტანეს და შემდეგ დაიკარგა. ამ ტექსტებიდან, სადმე რომ აღმოჩნდეს რამე ფილოსოფიური ტრაქტატი, მაშინ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პეტრინონშიც პრაქტიციკრებდნენ ფილოსოფიას და ეს ტრადიცია შემდეგ გელათშიც გადმოვიდა.

გელათი დაარსდა როგორც „სხვა ათინა და სხვაი იერუსალიმი“, ანუ მეორე ათენი და მეორე იერუსალემი. გავიხსენოთ ტერტულიანეს სიტყვები, „რა კავშირი აქვს ათენს იერუსალიმთან?“. აი, გელათი უნდა ყოფილიყო სწორედ ამ ორი რალაცის გადაჯაჭვა – ფილოსოფიის და ბიბლიის. გელათი მართლაც იყო ასეთი ჯაჭვი. ეს ჯერ კიდევ ეფრემ მცირიდან დაიწყო, რომელმაც არეოპაგელის კორპუსი თარგმნა მთლიანად. ასევე არსენ იყალთოელიდან და ეფრემიდან ისევ, რომლებმაც არისტოტელეს ლოგიკური კატეგორიები თარგმნეს იოანე დამასკელის გადამუშავებაში. თავად იოანე დამასკელ-

მა გამოიყენა პორფიროსის „ისაგოგე“ (Ἰσαγογή), ანუ ნეო-პლატონისტიმა ფილოსოფოსმა პორფიროსმა ძალიან დახვეწილად და სხარტად დაამუშავა არისტოტელეს ლოგიკა და დაწერა შესავალი არისტოტელეს ლოგიკაში – „ისაგოგე“, რაც შესავალს ნიშნავს და ეს იყო ლოგიკის კომპენდიუმი მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში. ეს თარგმნის ეფრემმა და არსენმა და ქართული ტერმინოლოგიური აპარატი შექმნეს ლოგიკური მსჯელობისთვის, დიალექტიკური აზროვნებისთვის. გელათში დაიწყო სპეციფიურად ფილოსოფიური ნიგნების თარგმნაც. მათ უკვე აღარ ეშინოდათ, მარტო ქრისტიანულად გადამუშავებული ფილოსოფია კი არა, პირდაპირ ფილოსოფია ეთარგმნათ. გელათშია ნათარგმნი ამონიოს ერმიასის ფილოსოფიური ნაშრომი, სადაც, სხვათა შორის, წერია, რომ ფილოსოფია არის უდიდესი საჩუქარი, რაც ღმერთებმა მისცეს ადამიანებს; რომ ფილოსოფია არის ის, რითიც ადამიანი ყველაზე მეტად ემსგავსება ღმერთს. „ჰომიოსის თეუ“ (ὁμοιωσις θεῶν) – ეს არის პლოტინოსის სიტყვები – დამსგავსება ღმერთთან. რომელი ფილოსოფია? არა სპეციფიკურად ქრისტიანული ფილოსოფია, არამედ აქ იგულისხმება ზოგადად ფილოსოფია. გელათელების გაგებაში, და პეტრინი ხაზგასმით ამბობს ამას, რომ ფილოსოფია, თუ ის ნამდვილია, არ შეიძლება ქრისტიანული არ იყოს, იმ აზრით, რომ თუნდაც არაქრისტიანი ფილოსოფოსები როდესაც აგნებდნენ ქვეშარიტებას, ამას ღვთიური სიტყვის და სულიწმინდის მეშვეობით აღწევდნენ. ფილოსოფიის წყარო არის ღვთიური ლოგოსი. ეს ლოგოსი არის ჩვენი გამყვანი ქვეშარიტ ხედვებზე. ამიტომ, თუ ფილოსოფოსებში მოქმედებდა ეს ლოგოსი და პეტრინის აზრით, ეს ასეც იყო, ისინიც არიან გარკვეული აზრით ქრისტიანები.

პეტრინი ძალიან თამამია ფილოსოფიური ლოგოსის, დიალექტიკური მეთოდის ტრადიციის აღორძინებაში/აღდგენაში გელათის სკოლაში. ის თავის თავში ატარებს ზუსტად იმ სოკრატულ სულისკვეთებას, რომ ჩვენში არსებობს „ჩვენ შორისი სიტყვა“ – შინაგანი სიტყვა. ხანდახან ამას პეტრინი „ჩვენ შორისს ერმის“, ანუ შინაგან ჰერმესს უწოდებს.



რა არის ეს „ჩვენ შორისი ერმი“? ეს არის დიალოგური სიტყვა, ანუ „ჩვენ შორისი მიდმო სიტყვაი“. პეტრინი ამბობს: ჩვენში არის დიალოგური სიტყვა, ანუ დიალექტიკური სიტყვა, რითაც ჩვენ შეგვიძლია შევიცნოთ რეალობა. ეს დიალექტიკური სიტყვა უნდა იყოს კავშირში ღვთიურ ლოგოსთან. თუ ჩვენ ჩავერთავთ, ავამოქმედებთ ამ დიალექტიკურ სიტყვას, მამა-ღმერთი თავისი მკლავის მოქმედებას გვაზიარებს, „რომელ არს ძეო“. ანუ შენ ოღონდ დაიწყე აზროვნება და ღმერთი ხელს გამოგიწვდის და მისი ძე დაგეხმარება, რომ სწორედ იმსჯელო, ანუ შენი შინაგანი სიტყვა უნდა მოვიდეს ურთიერთობაში ღვთიურ ლოგოსთან და მაშინ შენ გაიგებ რეალობას. რეალობის გაგება კი არის რეალობის თანაშემოქმედება. შენ რომ იგებ რეალობას, შენ ქმნიკიდეც ამ რეალობას, ანუ შენ რეალობის შექმნის პროცესში მონაწილეობ, რადგან ეს რეალობა თავად ლოგოსმა შექმნა. შენ თუ ლოგოსთან თანამშრომლობით იმეცნებ რეალობას, გარკვეული აზრით ლოგოსთან თანა-ქმნი კიდეც ამ რეალობას.

პეტრინი ხაზგასმით ამბობს ამას, რომ ჩვენ ვერაფერს ვერ შევიმეცნებთ ლოგიკის გარეშე. ჩვენს სულს აქვს ლოგიკურ-დიალექტიკური ბუნება. ეს, რა თქმა უნდა, პლატონიდან მოდის. პლატონიც ამბობდა, რომ ჩვენს სულს აქვს ლოგიკურ-დიალექტიკური ბუნება, მათემატიკური ბუნება. ლოგიკისა და მათემატიკის სწავლით ჩვენ ვფხიკავთ ჩვენი სულიდან ზედმეტს და მის მათემატიკურ სტრუქტურებს, ჭეშმარიტ სტრუქტურებს ვავლენთ ამ მეცადინეობებით. პეტრინისთანაც ლოგიკის სწავლა და მათემატიკური დისციპლინის სწავლა არის ნმინდა და რელიგიური საქმე, როგორც თვითონ უწოდებს, ერთგვარი „მღვდელმოქმედება“. მისთვის მათემატიკური დისციპლინები არ არიან არააუცილებელი და თავისთავადი დისციპლინები, რომელიც შეიძლება გქონდეს ან არ გქონდეს. ეს დისციპლინები სრულიად აუცილებელია, რომ შენ ფიზიკური და მათემატიკური სამყაროს შემეცნებიდან გადახვიდე მეტაფიზიკური სამყაროს შემეცნებაზე.

მეტაფიზიკური ხედვით უნდა მიხვდე, რომ ასევე უნდა ნაიკითხო ბიბლიაც. ბიბლია შენ თუ არ გელაპარაკება მეტა-

ფიზიკაზე, მაშინ ვერ გაგიგია ბიბლია, რადგან ის გამოცხადებაა და გამოგიცხადა იმან, ვინც თვითონ არის მეტაფიზიკური იდეების შემქმნელი და თვითონ არის ის, ვისაც უნდა, რომ შენი სული დააკავშიროს ამ მეტაფიზიკურ იდეებთან. ამიტომ, ადამის ჩამოვარდნა პეტრინს ესმის როგორც მეტაფიზიკური ფენომენის მეტაფორა: რას ნიშნავს ადამიანის ჩამოვარდნა სამოთხიდან? რა არის ეს სამოთხე? ამას პირდაპირი მნიშვნელობით ხომ ვერ გაიგებ, რომ ეს არის ბალი, რომ ადამი გამოაგდეს ბალიდან. არანაირი ფიზიკური ბალი ეს არ არის.

ადამის ბალი პეტრინის განმარტებაში, ეს არის იდეების სისავსე. რა არის ეს იდეები? ცხადია, სრულყოფილი არამატერიალური იდეები და ადამი ამას იმეცნებდა; ადამი ამ იდეების ამალღებულ ეროტიულ-ტრფიალებით შემეცნებაში იყო და მათი შემეცნების სისავსე ჰქონდა. როცა დაკარგა კონტემპლაციური ანუ მჭვრეტელობითი თვალეები ჩამოვარდა და უკვე მარტო ხილულს უყურებს. პატრინი ამ ხილულს ჯოჯოხეთს არქმევს. განა ჯოჯოხეთი არ არის ხილული სამყარო, სადაც ყველაფერი ბრძოლაშია? – ერთი ფორმა მეორეს ებრძვის. აი, ეს ლითონი თუ ამ კომპიუტერის ფორმამ დაიპყრო, სხვა ფორმა მასში აღარ იქნება, ამიტომ ამ ფორმამ განდევნა სხვა ფორმა. ტოპოსი, სადაც არის დრო და სივრცე, არის გამუდმებული ურთიერთბრძოლის სივრცე. მაგრამ, არის ზესივრცული სამყარო, სადაც ყველაფერი არის ერთმანეთთან ძმობაში, სიყვარულში, ჰარმონიაში. ჩვენი მიზანია, რომ აქ ჩამოვარდნილ მდგომარეობაში ჩვენი სული, რომელიც მარტო ხილულს და წარმავალს ხედავს, ამალღედეს ისევ და დაინახოს უხილავის სიმყარე და წარუვალობა; შეიცნოს, რომ ყველაფერი ხილული ფლუიდური და წარმავალია. ამ ფლუიდურ ბუნებას თავსი შემეცნებითი ფუნქცია და დანიშნულება აქვს. ჩვენ შეგვიძლია ამ ფლუიდური ბუნების შესწავლით, მისდამი მათემატიკის მიყენებით ავმალღდეთ არაფლუიდური, არამერყევი და არაცვალებადი ბუნების სისავსემდე, რაც აუცილებლად არამატერიალური ბუნება უნდა იყოს. აი ამ დროს, თუ ის დაიბრუნებს ძველ მჭვრეტელობას, ადამი დაბრუნდება თავის სახლში, ადამის ბაღში,

ამბობს პეტრინი. ფაქტობრივად, აქ ცხადად გვაჩვენებს, რომ ბიბლიური „დაბადების“ ამბავი პეტრინს ესმის დიალექტიკურად და მეტაფიზიკურად. პლატონისტი ფილოსოფოსებიც არიან ისინი, ვინც ცდილობს, რომ დაბრუნდეს სამოთხეში, რადგან კონტემპლაციურ თვალებს ისინიც ავითარებენ. ეს მეტაფორა პეტრინს პლატონის „ფედროსიდან“ მოაქვს. „რას გავსო სული“, კითხულობს პეტრინი, „რომელიც ველარ ჭვრეტს გონებრივ იდეებსო? ეს სული გავსო ფრთაჩამოცვენილ ფრინველსო (აქ პეტრინი პირდაპირ ციტირებს პლატონის „ფედროსს“ და ტრანსლიტერაციით ახსენებს ამის ბერძნულ ვარიანტს „პეტეროროუსა“). პეტრინი ამბობს, რომ სათნოებების მოგებით და მჭვრეტელობითი თვალების მოგებით ისევ შეისხავს სული თავის ძველ ფრთებს და ამალდდება ღმერთთან. რალაცნაირად ათანაბრებს ნეოპლატონურ და ქრისტიანულ ტრადიციას. ამიტომ, მასთან ხდება თეოლოგიზაცია ამ „არტეს ლიბერალეს“, „თავისუფალი მეცნიერებების“; ანუ ჩამოთვლილია: გრამატიკა, რიტორიკა, ლოგიკა რაც შეადგენდა ბიზანტიელთა „ლოგიკეპაიდეიას“ (λογικεπαιδεια), ანუ სიტყვიერ აღზრდას და შემდეგ მოდის მათემატიკური დისციპლინები: არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა, ასტრონომია. ეს ყველაფერი მათემატიკური დისციპლინებია. როცა შენ ამ აუცილებელ ურთიერთობებს სწავლობ რიცხვებს შორის, სწავლობ მუსიკალურ ჰარმონიებს, ასევე ჰარმონიებს სფეროებს შორის მოძრაობისა. ეს ყველაფერი არის მათემატიკური დისციპლინები, სადაც უნდა დაადგინო „ნოტაცია“ ამ ყველაფრის – ვარსკვლავების და პლანეტების მოძრაობის ნოტაცია და თუ რა ქმნის მუსიკის სილამაზეს. ამ დისციპლინებს პეტრინი ათეოლოგიზირებს და ამბობს, რომ ესენი სამებას გამოხატავენ. მათემატიკაში არის ერთი და აქედან მოდის ორი, როგორც გზა სხვა რიცხვების წარმოშობის და მერე სამი, როგორც პირველი კენტი რიცხვი. ამ სამიდან წარმოიშვა ყველა სხვა რიცხვი ისე, როგორც წმინდა სამება წარმოშობს ყველაფერ დანარჩენს.

გეომეტრიაც საჭიროა, რადგან ესეც წმინდა სამებას უკავშირდება. ნერტილია პირველი, შემდეგ „წაიღვარება“, ანუ

გაიშლება ნერთილი და გამოვა წირი. შემდეგ გაიშლება ეს წირი და გამოვა წრენი. აქაც სამი არის და ყველა ფიგურა აქედან მოდის. გამოდის, რომ გეომეტრიაც სამებაზე არის და მუსიკაც ასეა. მუსიკასიც სამი ხმა გვაქვს მთავარი და ეს სამი ხმა ქმნის ჰარმონიას. ჰარმონია ვერ იქნება, თუ არ შედგება განსხვავებულთა ერთიანობა. გამოდის, რომ პეტრინს უნდა გაათეოლოგიუროს ეს დისციპლინები, რომ დაანესოს მათი აუცილებელი სწავლება გელათის აკადემიაში. უამისოდ ჩვენ ვერ ავალთ ვიზიკურიდან მეტაფიზიკურამდე. ულოგიკოდ გონიერი სული ვერაფერს ვერ შეიმეცნებს. მან ზუსტად ის შემოიტანა გელათში, რის გამოც ალექსი კომენოსმა დახურა ფილოსოფიური სკოლა ბიზანტიაში. როგორც ჩანს, პეტრინი ამ სკოლის ადეპტი იყო, რადგან ასეთი სისტემური განათლება მას სხვაგან არ შეიძლება რომ მიეღო. მიწისქვეშა თუ არალეგალურ წრეებში ძნელია ასეთ სისტემური განათლება მიეღო, რადგან პეტრინი ასწავლის სისტემურად ლოგიკას, ანთროპოლოგიას, ასწავლის მეტაფიზიკას. მან ზუსტად ის სულისკვეთება შემოიტანა, რაც იტალოსისსკოლაში არსებობდა.

კარგი ცხოვრება ჰქონდა პეტრინს? რა თქმა უნდა, არ ჰქონდა კარგი ცხოვრება არც საქართველოში და არც საბერძნეთში. ის ამბობს, რომ ბერძნებიც მდევნიდნენ და ახლა ქართველებიც მდევნიან. ქართველები კიდევ უფრო მდევნიანო ამბობდა, რადგან ისეთები განსჯიან ჩემს იდეებს, რომლებსაც არ უსწავლიათ ეს ზემოხსენებული „არტეს ლიბერალეს“. რა უფლება აქვთ რომ განმსაჯონ? მაგრამ მაინც ხომ მსჯიან, ამბობდა ის. ვერ ხვდებიანო, თუ მე რამხელა რაღაც გავაკეთე და ჩემს ენაზე შევექმენი ფილოსოფიური ტერმინოლოგია, რომლითაც მეტაფიზიკური მოგზაურობის შესრულება შესაძლებელია და აი, ამ ენით უკვე შეგვიძლია ავმადლდეთ ხილულიდან უხილავამდეო. მაგრამ იმის მაგივრად, რომ ეთქვათ, რომ ღვთის განგებამ ასეთი კაცი მოგვივლინა, რომ ასეთი რამ შექმნა ჩვენს ენაზეო, დაიწყეს ჩემი დევნაო. არ მომცეს საშუალება, რომ ჩემი საკუთარი მეტაფიზიკა გამეფითარებინაო. ასეთი დასკვნა გამოაქვს პეტრინის. თუმცა, მან

მინც განავითარა საკუთარი მეტაფიზიკა, როცა პროკლეს თარგმნიდა და განმარტავდა. ამასთან, პეტრინი პროკლეს ისე განმარტავს, რომ პროკლე არ მოანერდა ყველაფერს ხელს, რასაც პეტრინი მასზე ამბობს. პეტრინი დამოუკიდებელ მეტაფიზიკას ავითარებს, როცა განმარტავს პროკლეს.

შუა საუკუნეებში ხშირად ხდებოდა, როცა შენი დამოუკიდებელი აზრები გამოგქონდა როცა განმარტავდი ან აკომენტარებდი სხვა ფილოსოფოსს – პეტრელომბარდიელის სენტენციები იქნებოდა ეს თუ პლატონის ან არისტოტელეს ტექსტები ნეოპლატონიზმში ან პეტრინის შემთხვევაში ნეოპლატონისტური ტექსტი, როდესაც ის მას თავისებურად განმარტავს. საინტერესოა ისაა, რომ განსხვავებით ფსელოსისა და იტალოსისაგან პეტრინი მეტად მოურიდელები და თავისუფალია. ფსელოსი და იტალოსიც კი აკეთებენ რაღაც დისტანცირებას თავისი თავის ფილოსოფიისაგან. პეტრინი არასდროს არ აკეთებს თვისი თავის დისტანცირებას ჭეშმარიტი ფილოსოფიისაგან, რომელიც მისთვის არის ნეოპლატონიზმი. ის დისტანცირებს რაღაცა ფილოსოფიური იდეებისაგან, რომელიც არ ჯდება ამ ფილოსოფიაში. ის ზოგიერთ პერიპატეტიკოსს უპირისპირდება, მაგალითად, ალექსანდრე აფროდისიელს. ვერ გაიგეს მათ არისტოტელე, რომ ის არ უპირისპირდება სინამდვილეში პლატონს. არამედ ის ლაპარაკობს, დაბალ დონეზე იდეის გამოვლენაზე და ენტელექიაზე. პეტრინი ჰარმონიის მომხრე არის, მაგრამ მიაჩნია, რომ ზოგი არესტოტელიკოსი ცდება და არასწორად განმარტავს არისტოტელესა და პლატონს. მაგრამ, ნეოპლატონისტებს არასდროს არ უპირისპირდება. ერთადერთი, ამბობს ასეთ რამეს, რომ ქრისტემო ჩვენი სულები ყველაზე მაღლა აიტანაო. აქ ძალიან საინტერესო პასაჟია, პეტრინი აქვე ამბობს, რომ იყო ცალ-ცალკე მდგომი გოდლები, რომელიც ერთმა თავკიდურმა ლოდმა შეაერთაო. ეს თავკიდური ლოდი კი არის ქრისტეო. ცალ-ცალკე მდგომი გოდლები კი სხვადასხვა კულტურის სიბრძნეა, რომელიც მათ მიეცათ სული წმინდისგანო. ეს კულტურები არის ებრაული ბიბლიაო, ქალდეველი მათემატიკოსებიო და ბერძენი ფილოსოფოსები. ანუ პეტრი-

ნი დიდად ან საერთოდ არ ასხვავებს ამათ. ყველა მათგანმა მიიღეს სიბრძნე სულიწმინდისგან სხვადასხვა დროსო. ამიტომ ქრისტიე ახლა მოვიდაო და ყველა ამ გოდლის კენწეროში მოიქცაო. ყველა დაემორჩილა ქრისტეს, როგორც მონაფეები თავიანთ მოძღვარს. ასეთი თამამია პეტრინი.

პეტრინს ინტერკულტურული მიდგომა აქვს, რომ ლოგოსი მოქმედებს ყველა კულტურაში. შენ შეგიძლია ლოგოსის კულტურა დაინახო იმ ჭეშმარიტებაში, რაც სხვა კულტურამ აღმოაჩინა. ამიტომ, ებრაელსაც უნდა აინტერესებდეს ფილოსოფია, ფილოსოფოსსაც უნდა აინტერესებდეს ბიბლია, ამ ორივეს უნდა აინტერესებდეს ბაბილონური მათემატიკა, რადგან მათემატიკა რაღაც ობიექტურ სტრუქტურებზე ლაპარაკობს, რომელიც შესაცნობია – ის შენ არ მოგიგონია. ასეთი დამოკიდებულება უნიკალური მაშინდელ აღმოსავლეთ საქრისტიანოში, ასეთი თამამი სინთეზების გაკეთება სხვა პეტრინის თანამედროვეებში არ გვხვდება. ამიტომაც პეტრინი უნიკალური და საჭიროა მისი შესწავლა არა მხოლოდ ქართული კულტურისთვის, არამედ ბიზანტიური კულტურის შეცნობისათვის. უნდა ვნახოთ, რომ ის, რაც ჩანისხლა ალექსი კომენოსმა, რეალურად რა იყო; რა პრაქტიკას ენეოდნენ „მინისქვეშეთში“ და არალეგალურად ბიზანტიელი სხვა მოაზროვნეები, რაც შემდეგ გამოჩნდა. იოანე პეტრინი ამ ყველაფერს აჩვენებს და ასეთი თამამი სინთეზი იმ დროს არავის არ აქვს ბიზანტიაში. არა თუ ბიზანტიაში, დასავლეთშიც კი. თომა აქვინელს ჰქონდა ძალიან დიდი აქცენტი ბუნებრივ გონებაზე (ლუმენ ნატურალე), მაგრამ ის ასე შორს არ მიდიოდა. ის ამბობდა, რომ შენ ვერ შეიცნობ ღმერთის სამებას მარტო გონებით. ღმერთი რომ სამებაა, გამოცხადება გჭირდება. პეტრინი უფრო შორსაც მიდის და ამბობს, რომ პლატონისტი ფილოსოფოსები დიალექტიკით მივიდნენ ღმერთის სამობით ჭვრეტამდეო. ასეთი სითამამე აქვს პეტრინს.

ამიტომ ვფიქრობ, რომ პეტრინი მნიშვნელოვანი არის ზოგადად შუასაუკუნეების ფილოსოფიის შესწავლისათვის და არა მხოლოდ ჩვენი ეროვნული სიამაყისთვის, რომ „აი,

ასეთი დიდი ფილოსოფოსი გვყავდა“. უბრალოდ, ნაკლები იქნება შუასაუკუნეების ქრისტიანული ფილოსოფიის შესწავლა ზოგადად, შუასაუკუნეების კურიკულუმები მსოფლიოში პეტრინის ფილოსოფიის გაგების გარეშე.

ცუდი იყო, რომ ბიზანტიაში ჩანჩხლეს ფილოსოფია. რა თქმა უნდა, არის ბიზანტიურ დამოკიდებულებაში, პალამიზმში მაგალითად, ანტიინტელექტუალურ ტრადიციაში თავისი შარმი და სიმართლეც. მაგალითად, არის ამაში ლოგიკა: ქრისტე ჩვენთვის მოვიდა და მე თავისი ცნებები მომცა, მან ამავე დროს არ მითხრა: „პლატონის აკადემიაში წადი და იქ ისწავლე“. თუ ასეა, რატომ უნდა წავიდე მათემატიკური დისციპლინების შესასწავლად? მე ხომ უკვე უკვე მეფე ვარ, რადგან ქრისტე ჩემთვის მოკვდა, ანუ ასეთი თავგანწირული სიყვარული გამოხატა. მე რაში მჭირდება ზედმეტი ფილოსოფია და დიალექტიკა, უკვე მივსდევ ქრისტეს ცნებებს, ვლოცულობ და მეფე ვარ.

შეიძლება ამაშია ის მეზადურულ-მეთევზური განზომილება ქრისტიანობის, რომ ღვთის სიბრძნე ბავშვისთვის ღიაა და ფილოსოფიისთვის დახურულია. ეს არადიალექტიკური თუ ნაკლებად დიალექტიკური სივრცე იყო გადარჩენილი პალამიტურ მიდგომაში. თავისი პრობლემები ახლავს ამ მიდგომას, რომ სტაგნაცია ხდება ფილოსოფიურ-მეცნიერული აზრის. ეს თუ ხდება ასე, მაშინ სტაგნაცია ხდება ტექნოლოგიის და მეცნიერების განვითარების. ეს პოლიტიკურადაც ვლინდება შემდეგ, პოლიტიკურ მარცხში. შესაძლოა, ბიზანტიის პოლიტიკური მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ესეც ყოფილიყო, როცა დიალექტიკა და ფილოსოფია ჩანჩხლეს, მაგრამ ეს მსოფლმხედველური საკითხია და ცალკე მსჯელობას იმსახურებს.





2019